ტურიზმი და ტუროპერატორი

B1+

სახელმძღვანელო

2018

ქვანიას სკოლა

ტურიზმი და ტუროპერატორი

სახელმძღვანელო

B 1+

თბილისი

2018

„ტურიზმი და ტუროპერატორი“ B1+
სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი
ნინო შარაშენიძე

ავტორები:
ნინო შარაშენიძე
რუსუდან ჭუმბურიძე
თეა ქამუშაძე

დარგობრივი ექსპერტი:
კახაბერ ჭეიშვილი

რედაქტორები:
ნინო შარაშენიძე
რუსუდან ჭუმბურიძე
თეა ქამუშაძე

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „New and Grand“-ში

ISBN 978-9941-8-0879-1

სარჩევი

I თავი **ტურიზმის არსი**
I ნაწილი ვინ არის ტურისტი? 5
II ნაწილი ტურიზმის ისტორია 9
III ნაწილი მოგზაურობის ფორმები 14

II თავი **ტურიზმის სახეები**
I ნაწილი რატომ მოგზაურობენ ადამიანები? 19
II ნაწილი საერთაშორისო ტურიზმი 24
III ნაწილი შიდა ტურიზმი 29

III თავი **მასპინძლობის ინდუსტრია**
I ნაწილი მასპინძლობის ინდუსტრიის არსი და მახასიათებლები 34
II ნაწილი განთავსება და სასტუმროების ბიზნესი 39
III ნაწილი რესტორნები და კვების ინდუსტრია 44

შემაჯამებელი თავი I 50

IV თავი **ტურიზმი საქართველოში**
I ნაწილი საქართველოს კურორტები 56
II ნაწილი საქართველოს დაცული ტერიტორიები 62
III ნაწილი საქართველო და იუნესკოს კულტურული მემკვიდროების სია 69

V თავი **გიდი**
I ნაწილი გიდის პროფესია 76
II ნაწილი ტურის დაგეგმვა 81
III ნაწილი გიდი და მუზეუმის ექსკურსია 86

VI თავი **ტურიზმის მარკეტინგი და რეკლამა**
I ნაწილი ტურიზმი და რეკლამა 93
II ნაწილი ტურიზმი და სახელმწიფო პოლიტიკა 99
III ნაწილი საქართველოს ტურისტული პოტენციალი და განვითარების ტენდენციები 105

შემაჯამებელი თავი II 112
მოსასმენი ტექსტები 118
გრამატიკა 132

I თავი ტურიზმის არსი

I ნაწილი ვინ არის ტურისტი?

1.1. კითხვები გამოწვევისათვის:

1. რა აქვთ საერთო ამ ფოტოებს?
2. დაასახელეთ ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი მოგზაურისთვის
3. რატომ მოგზაურობენ ადამიანები?
4. თქვენ სად გიმოგზაურიათ?
5. სად გსურთ მოგზაურობა?

1.2. დააკავშირეთ ფოტოები დასახელებებთან:

ზურგჩანთიანი ტურისტები	მოგზაურობის დროა	ტურისტული აბრა	ავიაბილეთები

_____ _____

_____ _____

1.3. დაეთანხმე ან უარყავი: არსებობს მოსაზრება, რომ მხოლოდ მდიდარი ადამიანები მოგზაურობენ. (თქვენი აზრი დაასაბუთეთ 1–2 არგუმენტით)

1.4. ისაუბრეთ:

იმუშავეთ წყვილებში, შემდეგ იმსჯელეთ: რითია საქართველო საინტერესო ტურისტებისთვის?

1.5. წაიკითხეთ ტექსტი:

მოგზაურობა ტურიზმის ნაწილია, თუმცა ყველა **მოგზაური ტურისტი** არაა. მოგზაური ტურისტია, თუ იგი თავისი **ადგილსამყოფელიდან** გადაადგილდება გართობის ან რაიმე საქმიანობის გამო. თუ პიროვნება სამსახურებრივი ან სასწავლო მიზნით მოგზაურობს, ტურისტად არ ითვლება. ხშირად გამოიყენება ტერმინი **ვიზიტორიც** (მნახველი). ვიზიტორი უფრო ფართო გაგებისაა და ტურისტთან ერთად ექსკურსანტებსაც მოიცავს. **ექსკურსანტი** ტურისტისგან განსხვავებით, **დანიშნულების ადგილას** შეიძლება მხოლოდ ერთი დღით დარჩეს.

იასპერ ბლეკი ჰოლანდიელი ჟურნალისტია. ბოლო რამდენიმე წელია, ესპანეთში ცხოვრობს. მას განსაკუთრებულად უყვარს მოგზაურობა. იასპერმა შექმნა საკუთარი **მოგზაურთა ბლოგი**. ბლოგის საშუალებით იგი ადამიანებს უზიარებს **მოგზაურობის შთაბეჭდილებებს**. მას მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქვს ნანახი. იგი 2016 წლის მეექვსმილიონე ტურისტი აღმოჩნდა საქართველოსათვის. ამ ფაქტის აღსანიშნავად ჯასპერს საქართველოს პრემიერმინისტრმა და **ტურიზმის დეპარტამენტმა** სიურპრიზი მოუწყო. მას **პატივით დახვდნენ** აეროპორტში და **ესკორტით** გააცილეს.

საქართველოს მეექვსმილიონე **სტუმარს,** იასპერს, პრემიერმინისტრმა **დაათვალიერებინა** თბილისი და შემდეგ **ვახშამზე დაპატიჟა** მთაწმინდაზე. იასპერისათვის ქართული **მასპინძლობა** დაუვიწყარ მოგონებად იქცა.

1.6. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რით განსხვავდება ექსკურსანტი ტურისტისაგან?
2. რა პროფესიისაა იასპერ ბლეკი და სად ცხოვრობს?
3. რატომ მოუწყო სიურპრიზი იასპერს ტურიზმის დეპარტამენტმა?
4. სად ივახშმეს საქართველოს პრემიერმინისტრმა და იასპერმა?

1.7. ტექსტის მიხედვით დაასრულეთ წინადადებები:

1. მოგზაური ტურისტია, თუ იგი თავისი ადგილსამყოფელიდან .....
2. ექსკურსანტი შეიძლება მხოლოდ ერთი დღე დარჩეს .....
3. ჯასპერს უყვარს მოგზაურობა, მან შექმნა საკუთარი .....
4. ბლოგის საშუალებით ჯასპერი ადამიანებს უზიარებს .....
5. ჯასპერს აეროპორტში დახვდნენ და .....

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
მოგზაური ტურისტი ვიზიტორი სტუმარი მასპინძელი ესკორტი პატივი შთაბეჭდილება დათვალიერება	ნანახი ფილმი / ქვეყანა დაუვიწყარი მოგონება ტურისტისგან განსხვავებით ბლოგის საშუალებით/დახმარებით სასწავლო მიზნით ადგილსამყოფელიდან გადაადგილება ესკორტით გაცილება ვახშამზე/ვახშმად დაპატიჟება შთაბეჭდილების გაზიარება დანიშნულების ადგილი მოგზაურთა ბლოგი ტურიზმის დეპარტამენტი დაუვიწყარი მოგონება

დაიმახსოვრეთ!

სიტყვათწარმოება
მოგზაური–მოგზაურობა ადგილი–გადაადგილება საქმე–საქმიანობა მასპინძელი–მასპინძლობა სტუმარი–სტუმრობა

1.8. წაიკითხეთ წინადადებები და შეარჩიეთ სწორი ფორმა:

1. მე ძალიან მიყვარს მოგზაური / მოგზაურობა.
2. ზაფხულში მოგზაური–მოგზაურობა ყოველთვის სასიამოვნოა.
3. ეს ადგილი / გადაადგილება ტურისტებს ძალიან მოსწონთ.
4. ზამთარში ადგილი / გადაადგილება ძალიან რთულია.
5. ნათიას ძალიან ბევრი საქმე / საქმიანობა აქვს.
6. ეს საქმე / საქმიანობა ძალიან სასიამოვნოა.
7. ჩემი მასპინძელი / მასპინძლობა კეთილი ქალია.
8. ქართული მასპინძელი / მასპინძლობა ყველასთვის ცნობილია.
9. ჩემი სტუმარი / სტუმრობა ამერიკიდან ჩამოვიდა.
10. მათი სტუმარი / სტუმრობა დიდხანს გაგრძელდა.

დაიმახსოვრეთ!

წარსული	ახლანდელი	მომავალი
დაპატიჟა	პატიჟებს/ეპატჟება	დაპატიჟებს
დაათვალიერა	ათვალიერებს	დაათვალიერებს
დაათვალიერებინა	ათვალიერებინებს	დაათვალიერებინებს
დარჩა	რჩება	დარჩება
იმოგზაურა	მოგზაურობს	იმოგზაურებს
დახვდა	ხვდება	შეხვდება
გააცილა	აცილებს	გააცილებს
გაუზიარა	უზიარებს	გაუზიარებს
მოუწყო	უწყობს	მოუწყობს

1.9. დაიყავით წყვილებად და შექმენით მინიდიალოგები მოცემული ზმნების გამოყენებით:

სინონიმები	
ითვლება – მიიჩნევა	ტურისტი – მოგზაური
გაკეთება – შექმნა	ძალიან – განსაკუთრებულად
აცნობს – უზიარებს	ფაქტი – მოვლენა
დაპატიჟება – მოწვევა	ბევრი – მრავალი
შესაძლებელია – შეიძლება	დანიშნულების ადგილი – დანიშნულების პუნქტი

1.10. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, მოცემული სინონიმებიდან რომელი გხვდებათ ტექსტში:

1.11. იმსჯელეთ:

წყვილებში ან ჯგუფში: სად წაიყვანთ და რას აჩვენებთ საქართველოში ჩამოსულ სტუმარს? (შეარჩიეთ ტურისტისათვის საინტერესო ერთი ან ორი ადგილი)

1.12. წაიკითხეთ დიალოგი მეწყვილესთან ერთად, წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით:

დიალოგი ადგილობრივსა და ტურისტს შორის

— გამარჯობა, შეგიძლიათ დამეხმაროთ?
— დიახ, გისმენთ, რით შემიძლია დაგეხმაროთ?
— ტურისტი ვარ... როგორ მივიდე სასტუმრო ,,მერიოტთან?“
— რუსთაველის პროსპექტზე უნდა წახვიდეთ.
— დიდი მადლობა... ახლოსაა აქედან?
— დიახ, ახლოსაა... თქვენ იმ სასტუმროში გაჩერდით?
— არა, მეგობარს უნდა შევხვდე, აქ შვებულებას ვატარებთ.
— დიდი ხანია, ჩამოხვედით?
— არა, გუშინ ჩამოვედი და ახლა ქალაქის დათვალიერებას ვაპირებთ.
— პირველად ხართ საქართველოში?
— დიახ.
— სასიამოვნო დასვენებას გისურვებთ!
— გმადლობთ!

1.13. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ვინ ჩამოვიდა საქართველოში?
2. რა პროფესიისაა ჩამოსული სტუმარი?
3. რატომ ჩამოვიდა იგი საქართველოში?
4. ვინ ურჩია მას საქართველოში ჩამოსვლა?

1.14. მოსმენილი დიალოგის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
მოხალისე მასწავლებელი 2 წლით დარჩება საქართველოში		
ამერიკიდან ჩამოსული მასწავლებლის მეგობარი ინგლისურის სპეციალისტია		
მოხალისე მასწავლებელი მოსწავლეებს ინგლისურში დაეხმარება		
მოხალისე მასწავლებელი პირველადაა საქართველოში		
მოხალისე მასწავლებელი უკვე 1 თვეა, რაც საქართველოშია		
მოხალისე მასწავლებლის მეგობარს ძალიან უყვარს მოგზაურობა		

1.15. რას დაარქმევდით დიალოგს?

_____

1.16. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **სად მინდა მოგზაურობა**

_____

_____

_____

II ნაწილი ტურიზმის ისტორია

2.1. წაიკითხეთ ტექსტი:

ტურიზმის ისტორია უძველესი პერიოდიდან იწყება და ვაჭრობის განვითარებას უკავშირდება. პირველი ვაჭრები და მოგზაურები ფინიკიელები იყვნენ. ისინი **ზღვაში სამოგზაუროდ** მცირე და დიდი ზომის **ხომალდებს** აგებდნენ. მათი **გემები** საოცრად გამძლე და სწრაფი იყო. ვაჭრობის მიზნით მოგზაურობდნენ ძველი ბერძნებიც. 3500 წლის წინ ძველი ბერძნები, არგონავტების გემით საქართველოში გამოჩნდნენ. ეს შემთხვევა საქართველოში ტურიზმის დასაწყისად შეიძლება ჩავთვალოთ, ხოლო არგონავტები – პირველ ტურისტებად.

ძველი ბერძნები ტურიზმს რელიგიური და სპორტული მიზნებისათვის იყენებდნენ. ოლიმპიაში იმართებოდა სპორტული თამაშები. იმ დროისათვის ოლიმპია ერთ–ერთი ყველაზე **პოპულარული** დანიშნულების ადგილი (**დესტინაცია**) იყო. ოლიმპიადა ათასობით **მნახველ**ს **იზიდავდა**. სპორტული **სანახაობისათვი**ს აქ ჩამოდიოდნენ საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქიდან და **უცხო ქვეყნებიდან**. ძველი ბერძნებისათვის ამგვარი მოგზაურობა ძირითადად ტრადიციების დაცვას უკავშირდებოდა.

ძველი ბერძნებისაგან განსხვავებით, რომაელებმა მოგზაურობა **გართობისა** და **დასვენების** საშუალებად აქციეს. პირველად რომაელებმა განავითარეს **საგზაო ქსელი**. გზების გაყვანამ მოქალაქეებს იმპერიის მასშტაბით მოგზაურობის საშუალება მისცა. მგზავრობისას შეეძლოთ „**სასტუმროებში**“ გაჩერებადადასვენება. რომაელებიტურიზმს**განტვირთვისა**და**სიამოვნებისათვი**ს იყენებდნენ. ტურიზმზე რომაელების შეხედულება ყველაზე ახლოსაა თანამედროვე მიდგომებთან.

2.2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ვინ იყვნენ პირველი ვაჭარი–მოგზაურები?
2. როგორი იყო ფინიკიელების მიერ აგებული გემები?
3. რა მიზნით მოგზაურობდნენ ძველი ბერძნები?
4. რატომ ჩამოდიოდა ათასობით მნახველი ოლიმპიაში?
5. რომელ ქვეყანაში განვითარდა პირველად საგზაო ქსელი?
6. რა მიზნით მოგზაურობდნენ რომაელები?

2.3. მიუთითეთ ტექსტის მიხედვით სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
ტურიზმი ვაჭრობის განვითარებას უკავშირდება		
არგონავტები საქართველოში ზღვით შემოვიდნენ		
არგონავტები 3500 წლის წინ შემოვიდნენ საქართველოში		
ოლიმპია პოპულარული იყოს სპორტული თამაშების გამო		
ოლიმპიაში მხოლოდ საბერძნეთის ქალაქებიდან ჩამოდიოდნენ სტუმრები		
რომაელებს საგზაო ქსელმა იმპერიაში მოგზაურობის საშუალება მისცა.		
ტურიზმზე ძველი ბერძნების შეხედულება ყველაზე მეტად ჰგავს თანამედროვეს		

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
ვაჭარი მნახველი ხომალდი პერიოდი განტვირთვა შემთხვევა სიამოვნება შეხედულება	უძველესი პერიოდიდან ვაჭრობის განვითარება სპორტული თამაში/სანახაობა სასტუმროში გაჩერება მნახველის მიზიდვა საგზაო ქსელი ტრადიციების დაცვა თანამედროვე მიდგომები

2.4. ფოტოებს მიუწერეთ სახელწოდებები:

თანამედროვე ხომალდი	კოსმოსური ხომალდი	არგონავტების ხომალდი	ძველი გემი



_____ _____



_____ _____

დაიმახსოვრეთ!

წარსული	ახლანდელი	მომავალი
დაუკავშირდა ის მას	უკავშირდება ის მას	დაუკავშირდება ის მას
ააგო მან ის	აგებს ის მას	ააგებს მას
გამოიყენა მან ის	იყენებს ის მას	გამოიყენებს ის მას
მოიზიდა მან ის	იზიდავს ის მას	მოიზიდავს ის მას
განავითარა მან ის	ავითარებს ის მას	განავითარებს ის მას
იმოგზაურა მან	მოგზაურობს ის	იმოგზაურებს ის
ჩათვალა მან	თვლის ის	ჩათვლის ის
გაიმართა ის	იმართება ის	გაიმართება ის
გამოჩნდა ის	გამოჩნდება ის	გამოჩნდება ის

2.5. დაიყავით წყვილებად და შექმენით მინიდიალოგები ან წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

სინონიმები	
პერიოდი–დრო	აგება–აშენება
შემთხვევა–ფაქტი	ჩათვლა–მიჩნევა
მნახველი–მაყურებელი	განტვირთვა–დასვენება
ხომალდი–გემი	გამართვა–ჩატარება
მცირე–პატარა	დაცვა–შენახვა
სწრაფი–ჩქარი	შეხედულება–მოსაზრება
ცნობილი–პოპულარული	დესტინაცია–დანიშნულების ადგილი

2.6. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, მოცემული სინონიმებიდან რომელი გხვდებათ ტექსტში:

ანტონიმები	
ძველი–ახალი	ახლოს–შორს
უძველესი–უახლესი	უცხო–ნაცნობი
მცირე–დიდი	იწყება–მთავრდება
სწრაფი–ნელი	დასაწყისი–დასასრული

2.7. შემოთავაზებულ წინადადებებში ხაზგასმული სიტყვა შეცვალეთ შესაბამისი ანტონიმით:

1. ფინიკიელები მხოლოდ <u>მცირე</u> ხომალდებს აგებდნენ.
2. <u>ნაცნობ</u> ქალაქში გასეირნება სასიამოვნოა.
3. ფილმის <u>დასასრული</u> ძალიან საინტერესოა.
4. ქალაქის <u>ძველი</u> უბნები დავათვალიერეთ.
5. <u>უახლეს</u> შენობებს ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს.
6. ტურიზმი <u>ნელი</u> ტემპით ვითარდება
7. ბერძნების შეხედულება <u>ახლოსაა</u> თანამედროვე მიდგომებთან.
8. ისტორიული უბანი აქ <u>მთავრდება</u>.

2.8. იმსჯელეთ:

წყვილებში ან ჯგუფში: რით ჰგავს თანამედროვე მოგზაური ძველი დროის მოგზაურებს ან რით განსხვავდება მათგან? (ყურადღება გაამახვილეთ მოგზაურობის მიზნებზე ახლა და ძველად)

2.9. წაიკითხეთ დიალოგი მეწყვილესთან ერთად. შემდეგ წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით:

— მალე არდადეგები დაიწყება. უკვე გადაწყვიტე, სად დაისვენებ?
— ჯერ არ მიფიქრია დასვენებაზე. შენ უკვე იცი სად წახვალ?
— წელს პირველად მივდივარ იტალიაში. საგზური უკვე ვიყიდე.

— მშვენიერია, პირველად მიდიხარ საზღვარგარეთ დასასვენებლად?
— კი, პირველად მივდივარ და ძალიან მიხარია.
— რამდენ ხანს დარჩები იტალიაში?
— ათი დღე... 5–6 ქალაქის დათვალიერებას შევძლებ...
— ძალიან კარგი, გამიზიარე შთაბეჭდილებები, როცა ჩამოხვალ!
— რა თქმა უნდა, ყველაფერს დეტალურად მოგიყვები და ფოტოებსაც გაჩვენებ!

2.10. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

— სად იყო ნინო?
— რამდენი ხნით იყო წასული ნინო?
— რატომ წავიდა ნინო ქალაქიდან?
— როგორია ის ქალაქი, სადაც ნინო იყო?

2.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
ნინო წასული იყო 2 თანამშრომელთან ერთად		
ნინო კიდევ აპირებს ბაქოში წასვლას		
ნინო ბაქოში 2 კვირით დარჩება		
ნინოს კონფერენციის შესახებ ინფორმაცია უკვე აქვს		
კონფერენცია წელსაა დაგეგმილი		

2.12. რას დაარქმევდით დიალოგს?

_____

2.13. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **რატომ მოგზაურობენ ადამიანები**

_____

_____

_____





3.1. კითხვები გამოწვევისათვის:

1. როგორ, რით შეიძლება იმოგზაუროს ადამიანმა?
2. თქვენი აზრით, რამდენად კარგი იქნება ველოსიპედით მოგზაურობა?
3. რა შეგიძლიათ თქვათ სურათზე გამოსახულ ადამიანზე? თქვენი აზრით, ის მოგზაურია?
4. თქვენს ნაცნობებში არიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან უყვართ მოგზაურობა? არიან ისინი ნამდვილი მოგზაურები?

3.2. წაიკითხეთ ტექსტი:

რატომ მოგზაურობენ ადამიანები?

ისტორიულად მოგზაურობის სხვადასხვა ფორმა ჩამოყალიბდა. მოგზაურობის ფორმები დამოკიდებულია ადამიანის მიზანზე, მოტივსა და შესაძლებლობებზე. დღეს ადამიანები **სახმელეთო** –(ავტომობილით), **სარკინიგზო** (მატარებელი), **საჰაერო** (ვერტმფრენი, თვითმფრინავი) და **საზღვაო** (საკრუიზო გემი) **მიმოსვლით** სარგებლობენ და **კოსმოსშიც** კი მოგზაურობენ. ავტომობილის შექმნასა და შემდგომ სარკინიგზო ხაზის გაყვანამდე ადამიანები **ცხენითა** და **ეტლით** მგზავრობდნენ, რაც საკმაოდ **ნელი** და **დამღლელი** იყო.

დღეს **დედმიწის გარშემო** მოგზაურობა არავის უკვირს, მაგრამ სულ სხვაა ჯუმბერ ლეჟავას ამბავი. მან დედამიწის გარშემო **ველოსიპედით** 9 წელი იმოგზაურა. იგი მარტო მოგზაურობდა.

ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობისას 232 ქვეყანა **მოიარა**. **ქარში**, **ავდარში**, **წვიმაში**, **სეტყვაში**, **თოვლში**, **პაპანაქება სიცხეში** აღმართსა თუ დაღმართში. იმოგზაურა აზიაში, აფრიკაში, ავსტრალიაში, ევროპაში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში. ველოსიპედით გაიარა 264 ათასი კილომეტრი, ერთიც ამდენისა ზღვაო და **საჰაერო** კილომეტრი. დედამიწის ხუთივე კონტინენტზე ადგილი რომ აღარ ეყო, ანტარქტიდას მიადგა და იქაც თავისი ველოსიპედის **ნაკვალევი დატოვა.**

საქართველოში ის ისეთივე **მხნე** დაბრუნდა, როგორიც აქედან წავიდა. მას შეხვდნენ მილოცვებით, ყვავილებით, ცეკვა–თამაშით, მაგრამ შვილიშვილებმა ვეღარ იცნეს. ან როგორ იცნობდნენ, როცა ბაბუის დიდი მოგზაურობის დაწყებისას უფროსი შვილიშვილებიც კი სულ პატარები იყვნენ...

ჯუმბერ ლეჟავას უამრავი **ჯილდო** აქვს მიღებული, არაერთხელ ,,მოგზაურობის მეფე“ უწოდეს,

ხოლო იუნესკომ ,,მსოფლიო მოქალაქის“ **საპატიო** წოდება გადასცა. რაც მთავარია – ჯუმბერ ლეჟავა გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით პირველი მოგზაური!

3.3. უპასუხეთ კითხვებს ტექსტის მიხედვით:

1. რაზეა დამოკიდებული მოგზაურობის ფორმები?
2. ავტომობილის შექმნამდე როგორ რით მგზავრობდნენ?
3. ვინ იყო ჯუმბერ ლეჟავა?
4. რამდენი ქვეყანა მოიარა ჯუმბერ ლეჟავამ?
5. რამდენი კილომეტრი გაიარა სულ მოგზაურობისას?
6. რომელ კონტინენტებზე იმოგზაურა ჯუმბერ ლეჟავამ?
7. როგორ შეხვდნენ საქართველოში დაბრუნებულ ჯუმბერ ლეჟავას?
8. რა უწოდეს მას?
9. რა წოდება გადასცეს მას?
10. როგორ შევიდა ჯუმბერ ლეჟავა გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში?

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
მიმოსვლა ეტლი დამღლელი აღმართი დაღმართი ავდარი პაპანაქება ნაკვალევი მხნე ჯილდო	დედამიწის გარშემო დამოკიდებულია მიზანზე სარკინიგზო ხაზი დამოკიდებულია მოტივსა და შესაძლებლობაზე მსოფლიო რეკორდების წიგნი მსოფლიო მოქალაქე საპატიო წოდება

3.4. ისაუბრეთ:

თქვენ როგორი მოგზაურობა მოგწონთ? რით ისურვებდით მოგზაურობას და რომელ ქვეყნებში?

დაიმახსოვრეთ!

- სარკინიგზო ხაზის გაყვანამდე ადამიანები ცხენითა და ეტლით მგზავრობდნენ.
- მოგზაურობის ფორმები დამოკიდებულია ადამიანის მიზანზე, მოტივსა და შესაძლებლობებზე.
- ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობისას 232 ქვეყანა მოიარა. ქარში, ავდარში, წვიმაში, სეტყვაში, თოვლში, პაპანაქება სიცხეში აღმართსა თუ დაღმართში.
- როცა ორი სახელი ერთ ბრუნვაშია და „და“ კავშირითაა შეერთებული, პირველ სახელს ემატება „ა“.
- თუ წინადადებაში რამდენიმე სახელი ერთი და იმავე თანდებულით არის გამოყენებული და დაკავშირებულია „და“ ან „თუ“ კავშირით, კავშირის წინ მდგომი სახელი იღებს ბრუნვის ფორმას და არა თანდებულს.

3.5. შეადგინეთ წინადადებები ზემოთ მოცემული პრინციპით:

დააკვირდით!

სიტყვათწარმოება
სა – ო – დანიშნულების სახელები ხმელეთი – სახმელეთო რკინიგზა – სარკინიგზო ჰაერი – საჰაერო ზღვა – საზღვაო კრუიზი – საკრუიზო

3.6. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

3.7. დააკვირდით ფოტოებს და მიუწერეთ: ტრანსპორტის რომელი სახეობაა:

სახმელეთო	სარკინიგზო	საჰაერო	საზღვაო

_____ _____ _____

_____ _____ _____

3.8. იმსჯელეთ, რა განსხვავებაა ქვემოთ მოცემულ წინადადებებს შორის:

1. სარკინიგზო ხაზის გაყვანამდე ადამიანები ცხენითა და ეტლით **მგზავრობდნენ.**
2. ადამიანები უძველესი დროიდან **მოგზაურობდნენ.**

მგზავრობს – სადმე რაიმე ტრანსპორტის მიდის;

მოგზაურობს – სხვადასხვა მხარის დასათვალიერებლად, გასაცნობად მიდის

3.9. შეარჩიეთ ზმნის სწორი ფორმა:

1. თბილისიდან ქუთაისამდე დიდი ავტობუსით ვიმგზავრე. (ვიმგზავრე/ ვიმოგზაურე)
2. ზაფხულში დასავლეთ საქართველოში ---------- (ვიმგზავრე/ ვიმოგზაურე) და ბევრი რამე ვნახე.
3. კარგად ----------? კი, ძალიან კარგად ----------, ძალიან კარგი ავტობუსი იყო. (იმგზავრეთ / იმოგზაურეთ; ვიმგზავრეთ / ვიმოგზაურეთ;)
4. გიყვართ ----------? ძალიან მიყვარს და ვცდილობ ხშირად ----------. (მგზავრობა / მოგზაურობა; ვიმგზავრო / ვიმოგზაურო)

დაიმახსოვრეთ!

წარსული	ახლანდელი	მომავალი
ჩამოყალიბდა ის	ყალიბდება ის	ჩამოყალიბდება ის
სარგებლობდა ის	სარგებლობს ის	ისარგებლებს ის
გაუკვირდა ამას ის	უკვირს მას ის	გაუკვირდება მას ის
დაბრუნდა ის	ბრუნდება ის	დაბრუნდება ის
გადასცა მან მას ის	გადასცემს ის მას მას	გადასცემს ის მას მას

3.10. დაიყავით წყვილებად და შექმენით მინიდიალოგები ან წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

3.11. წაიკითხეთ დიალოგი მეწყვილესთან ერთად. შემდეგ წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით:

სტუდენტი და ლექტორი

— ბატონო დავით, პრეზენტაციასთან დაკავშირებით თქვენი რჩევა მჭირდება...
— გისმენ, ლევან... აბა, რა თემაზეა პრეზენტაცია?
— თემა მოგზაურობასა და მოგზაურებს ეხება. მინდა ძველი და თანამედროვე დროის მოგზაურებზე ვისაუბრო.
— უკვე იცი ,რომელ მოგზაურზე ისაუბრებ?
— ძველი დროის მოგზაურებიდან ჯეიმს კუკის ცხოვრება შევარჩიე...
— თანამედროვეებიდან?
— აი, სწორედ ამაზე მინდოდა თქვენთან დალაპარაკება.
— შეგიძლია, ცნობილი ქართველი მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას შესახებ მოიპოვო ინფორმაცია...
— როგორ არ გამახსენდა.... დიდ მადლობას გიხდით რჩევისთვის, ბატონო დავით!

3.12. თქვენ თავად მოიძიეთ ინტერნეტში დამატებითი ინფორმაცია ჯუმბერ ლეჟავას შესახებ და წარმოუდგინეთ პრეზენტაცია თქვენს აუდიტორიას ამ მოგზაურის შესახებ:

3.13. მოუსმინეთ ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რის შესახებ არის ტექსტი?
2. რას ფიქრობენ ფსიქოლოგები მარტო მოგზაურობის შესახებ?
3. რატომ არის კარგი მარტო მოგზაურობა?
4. რს აღმოაჩენთ მარტო მოგზაურობის დროს?

3.14. მოსმენილი ტექსტის მიხედვით მონიშნეთ, რომელი ინფორმაცია არის ტექსტში (+) და რომელი არა (–):

	არის	არ არის
როცა მარტო მოგზაურობთ, არავიზე ხართ დამოკიდებული.		
მოგზაურობას სხვებთან ერთად გეგმავთ.		
მარტო მოგზაურობისას ბევრ ადამიანს გაიცნობთ.		
მოგზაურობისას ადგენთ განრიგს.		
სამოგზაუროდ მაშინ მიდიხარ, როცა გინდა.		

3.15.იმსჯელეთ:

თქვენ როგორი მოგზაურობა მოგწონთ? დაასახელეთ 5 მიზეზი:
მოსმენილ ტექსტში გამოთქმულ რომელ მოსაზრებას ეთანხმები, რომელს – არა?

3.16. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ჩემი საოცნებო მოგზაურობა**

_____

_____

_____

II თავი ტურიზმის სახეები

I ნაწილი რატომ მოგზაურობენ ადამიანები?

1.1. დააკავშირეთ ფოტოები დასახელებებთან:

ექსტრემალური სპელეოტური გადაადგილების მიმართულება

სათაფლიის მღვიმე სტალაქტიტები და სტალაგმიტები ჩაფხუტი ფანარი



_____

_____

_____

_____



_____

_____

1.2. კითხვები გამოწვევისათვის:

1. რა იცით მღვიმეების შესახებ?
2. მოგწონთ ექსტრემალური ტურიზმი?
3. დაასახელეთ ნივთები, რომლებიც ექსტრემალურ ტურზე დასჭირდება მოგზაურს.
4. თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რომელ ადგილებს სტუმრობენ საქართველოში ტურისტები?

1.3. ისაუბრეთ:

იმუშავეთ წყვილებში, შემდეგ იმსჯელეთ: რომელია ყველაზე მაღალანაზღაურებადი ტური?

1.4. წაიკითხეთ ტექსტი:

ტურიზმის **კლასიფიკაცია** სხვადასხვა **მახასიათებლის** მიხედვით ხდება. ტურიზმის **სახეების** გამოსაყოფად გასათვალისწინებელია ტურისტთა **გადაადგილების მიმართულება**, **მოგზაურობის მიზანი**, მოგზაურთა რაოდენობა, **განთავსების** საშუალებები, **ორგანიზაციული ფორმები** და სხვა.

ტურიზმის სახეები შეიძლება დავყოთ ზოგადი მახასიათებლებისა და მოტივაციების მიხედვით. ტურისტის მოტივაცია შეიძლება დაუკავშირდეს **ახალი შთაბეჭდილებებისა** და **გამოცდილების მიღების** სურვილს, დასვენებასა და განტვირთვის შესაძლებლობას. **მოგზაურობის მოტივი** შესაძლოა იყოს საქმიანი, სხვადასხვა **ღონისძიებაზე** დასწრება ან მათში მონაწილობა.

ბოლო დროს მთელ მსოფლიოში გაიზარდა მოთხოვნა სამკურნალო **სპელეოტურიზმზე**. სპელეოტურიზმი **კარსტული მღვიმეების** დათვალიერებაა. მღვიმეების სამკურნალოდ გამოყენებაც შეიძლება მათი **უნიკალური მიკროკლიმატის**, **მინერალური** მარილების **კონცენტრაციისა** და **მუდმივი** ტემპერატურის გამო. მღვიმეებში ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში უცვლელია. სპელეოთერაპია თანამედროვე აღდგენითი მედიცინისა და ფიზიოთერაპიის ნაწილია.

საქართველო კარსტური მღვიმეების კლასიკური ქვეყანაა. საქართველოს ტერიტორიაზე 1100-ზე მეტი მღვიმეა. მღვიმეები **ფართოდაა გავრცელებული** დასავლეთ საქართველოში. სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მეტი მნახველი პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეებს ჰყავს – საერთო ვიზიტორთა 31 %. ტურისტული მოტივაციის თვალსაზრისით, სპელეოტურიზმი სამ მიმართულებად იყოფა. 1) ექსტრემალური, 2) სანახაობრივი და 3) სამკურნალო. სპელეოტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე **მაღალანაზღაურებადი** დარგია. მისი განვითარების თვალსაზრისით საქართველოს დიდი **პოტენციალი** აქვს.

1.5. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. სადაა გავრცელებული მღვიმეები საქართველოს ტერიტორიაზე?
2. რას ნიშნავს სპელეოტურიზმი?
3. რატომ გამოიყენება სამკურნალოდ მღვიმეები?
4. რას ითვალისწინებენ ტურიზმის სახეების გამოყოფისას?

1.6. ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით დაასრულეთ წინადადებები:

1. მთელ მსოფლიოში გაიზარდა მოთხოვნა სამკურნალო .....
2. სპელეოთერაპია თანამედროვე აღდგენითი მედიცინისა და ფიზიოთერაპიის .....
3. მოგზაურობის მოტივი შესაძლოა იყოს საქმიანი ან .....
4. ტურიზმის კლასიფიკაცია სხვადასხვა მახასიათებლის .....
5. სპელეოტურიზმი, ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი .....

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
მნახველი	გადაადგილების მიმართულება
სურვილი	განთავსების საშუალებები
მღვიმე	ორგანიზაციული ფორმები
დარგი	მოგზაურობის მოტივი/მიზანი
მახასიათებელი	გამოცდილების მიღება/გაზიარება
პოტენციალი	ღონისძიებაზე დასწრება
მიკროკლიმატი	მოთხოვნის გაზრდა/შემცირება
გამოცდილება	წლის განმავლობაში
სანახაობრივი	კარსტული მღვიმე
მაღალანაზღაურებადი	განვითარების თვალსაზრისით
ექსტრემალური	ფართოდ გავრცელებული
მონახულება	დაესწრო სტუმარი ღონისძიებას

დაიმახსოვრეთ!

მოგზაურთა რაოდენობა იგივეა, რაც **მოგზაურების რაოდენობა.**
მოგზაურ**თა** = მოგზაურ**ებ**ის
– თა = –ებ+ის

1.7. ებიანი მრავლობითის მქონე სიტყვათაგან აწარმოე –თა–დაბოლოებიანი ფორმები:

1. მოქალაქეების მომსახურება – .....
2. დამთვალიერებლების რიგი – .....
3. ვიზიტორების ცენტრი – .....
4. სასტუმროების ქსელი – .....
5. მოგზაურების კლუბი– .....
6. ტურისტების გადაადგილება – .....

დაიმახსოვრეთ!

სიტყვასთან სხვადასხვა სახელი მხოლობით რიცხვში უნდა იყოს: **სხვადასხვა მახასიათებელი**, **სხვადასხვა ღონისძიება** (და არა: სხვადასხვა მახასიათებლები, სხვადასხვა ღონისიებები).

1.6. დააკავშირეთ სიტყვა შესაბამის განმარტებასთან:

1. **კლასიფიკაცია**	ა. ნიშან–თვისება
2. კონცენტრაცია	ბ. მღვიმეების დათვალიერება
3. მიკროკლიმატი	გ. მკურნალობა
4. მახასიათებელი	დ. ემოცია, შეგრძნება
5. ორგანიზაციული ფორმები	ე. გასეირნება, ექსკურსია, ლაშქრობა...
6. მაღალანაზღარებადი	ვ. სათავგადასავლო, რისკფაქტორებიანი
7. შთაბეჭდილება	**ზ. დანაწილება, ორგანიზება**
8. ფიზიოთერაპია	თ. შემადგენლობა, შემცველობა
9. კარსტული მღვიმე	ი. სასტუმრო, ჰოტელი, გესტჰაუსი...
10. სპელეოტურიზმი	კ. რაშიც ბევრ თანხას იხდიან
11. ექსტრემალური	ლ. ოვალური ფორმის ქვაბული
12. განთავსების საშუალებები	მ. პატარა სივრცის კლიმატი

1.7. იმუშავეთ წყვილებში: შეადგინეთ მინიდიალოგი აღნიშნული სიტყვების გამოყენებით.

დაიმახსოვრეთ!

წარსული	ახლანდელი	მომავალი
დაყო მან ის	ყოფს ის მას	დაყოფს ის მას
დაუკავშირდა ის მას	უკავშირდება ის მას	დაუკავშირდება ის მას
დაესწრო ის მას	ესწრება ის მას	დაესწრება ის მას
დაისვენა მან	ისვენებს ის	დაისვენებს ის
გაზარდა მან ის	ზრდის ის მას	გაზრდის ის მას
გაიზარდა ის	იზრდება ის	გაიზრდება ის
გაყო მან ის	ყოფს ის მას	გაყოფს ის მას
გაიყო ის	იყოფა ის	გაიყოფა ის
მოხდა ის	ხდება ის	მოხდება ის

1.10. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

სინონიმები	
მოძრაობა–გადაადგილება	დასვენება–განტვირთვა
მიმართულება–გეზი	დათვალიერება–მონახულება–ნახვა
ქვაბული–მღვიმე	დამთვალიერებელი–ვიზიტორი–მნახველი
დარგი–სფერო	შესაძლებლობა–პოტენციალი
მიზანი– მოტივაცია	მუდმივი–უცვლელი
ფასი–ღირებულება	

1.11. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, მოცემული სინონიმებიდან რომელი გხვდებათ ტექსტში:

ანტონიმები	
მუდმივი–ცვალებადი	ცვალებადი–უცვლელი
მაღალანაზღაურებადი–დაბალანაზღაურებადი	სხვადასხვა–ერთი და იგივე
საქმიანი–უსაქმური	დაყოფა – შეერთება
გამოცდილი–გამოუცდელი	გაზრდა–შემცირება

1.12. წაიკითხეთ დიალოგი მეწყვილესთან ერთად, წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით: სკოლის დირექტორი – ტურისტული კომპანიის თანამშრომელი

— გამარჯობა, ქ–ნი ლია ბრძანდებით, პირველის სკოლის დირექტორი?

— დიახ, მე გახლავართ! თქვენ?

— მე ტურისტული სააგენტო „რუნითეს“ თანამშრომელი ვარ. მინდა შემოგთავაზოთ სასკოლო ტურები: ერთდღიანი, ორდღიანი განთავსებით და ქალაქის შიდა ტურები...

— ჩვენ ძირითადად ერთდღიანი ტურები გვაინტერესებს!

— რომელი მიმართულებით?

— თქვენ რას შემოგვთავაზებთ?
— ჩვენ გვაქვს ტურები საქართველოში ყველა მიმართულებით. შეგვიძლია ინდივიდუალურადაც დავგეგმოთ ტური თქვენი ინტერესის მიხედვით.
— ძალიან კარგი, მაშინ პედაგოგებს დაველაპარაკები. ტურის ღირებულება რა იქნება?
— ფასი დამოკიდებულია მგზავრთა რაოდენობასა და მიმართულებაზე!
— გასაგებია!
— როდის შეგეხმიანოთ?
— ერთ კვირაში.
— ნახვამდის!
— კარგად ბრძანდებოდეთ!

1.13. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ვინ მონაწილეობს დიალოგში?
2. რა უნდა ნახოს ჯგუფმა ექსკურსიაზე?
3. ვინ იცის, რა სხვაობაა სტალაგმიტსა და სტალაქტიტს შორის?
4. დიალოგის მონაწილეები პირველად მიდიან დასახელებულ ქალაქში?
5. როდისაა დაგეგმილი ექსკურსია?

1.14. მოსმენილი დიალოგის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
ნანას პრომეთეს მღვიმეზე მეტად სათაფლია მოეწონა		
სტალაგმიტებს და სტალაქტიტებს მხოლოდ სათაფლიაში ნახავთ		
ნანა მესამედ მიდის ქობულეთში მღვიმეების სანახავად.		
ლევანი ქუთაისში თავის ჯგუფთან ერთად მიდის.		
ნანას ძალიან უნდა, მალე დადგეს გამგზავრების დღე.		
ლევანს არ ახსოვს, რით განსხვავდება სტალაქტიტი სტალაგმიტისგან		

1.15. რას დაარქმევდით დიალოგს?

1.16. მოამზადეთ პრეზენტაცია:

სახელმძღვანელოში ინფორმაცია მხოლოდ ორი (პრომეთესა და სათაფლიის) მღვიმის შესახებ იყო მოცემული.
სცადეთ და თავად მოიძიეთ ინფორმაცია საქართველოში არსებული სხვა მღვიმის შესახებ. მოკლე პრეზენტაციის სახით გააცანით ჯგუფელებს (არ დაგავიწყდეთ მღვიმის ადგილმდებარეობისა და მახასიათებლების გაცნობა, დაურთეთ ფოტოებიც)!

1.16. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ყველაზე საინტერესო მღვიმე**

II ნაწილი საერთაშორისო ტურიზმი

2.1. კითხვები გამოწვევისათვის:

თქვენი აზრით, რომელ ქვეყანას სტუმრობს ყველაზე მეტი ტურისტი, რატომ?
რომელი ქვეყნიდან ჩამოდის საქართველოში ყველაზე მეტი სტუმარი?
საქართველოს მოქალაქეები ყველაზე მეტად რომელ ქვეყნებში მოგზაურობენ?
რომელ ქვეყანაში წახვალთ სამოგზაუროდ და რატომ?

2.2. წაიკითხეთ ტექსტი:

ტურისტთა გადაადგილების მიხედვით გამოყოფენ შიდა, გასვლით და შემოსვლით ტურიზმს. ტურიზმის საგულისხმო მიმართულებაა **საერთაშორისო ტურიზმი**. იგი მოიცავს ქვეყანაში შემოსვლით და გასვლით ტურიზმსაც.

გასვლითი ტურიზმი – ნიშნავს ადამიანთა ჯგუფის გამგზავრებას ქვეყნის გარეთ მოგზაურობის მიზნით;

შემოსვლითი ტურიზმი – ითვალისწინებს რომელიმე ქვეყანაში ადამიანთა შესვლას მოგზაურობის მიზნით.

ადამიანს, რომელიც მოგზაურობისას გადაკვეთს სახელმწიფო საზღვარს, **საერთაშორისო ტურისტს** უწოდებენ.



ტურიზმი ისრაელისათვის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ისრაელის ტურისტულ ინდუსტირიაში მნიშვნელოვანი როლს საერთაშორისო ტურიზმი ასრულებს. 2017 წელს ისრაელს 3.6 მილიონზე მეტი სტუმარი ეწვია. აქედან ყველაზე მეტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან იყო. საშუალოდ ერთი ტურისტი ისრაელში დაახლოებით 1600 დოლარს ხარჯავს. ტერაქტებისა და არეულობის საფრთხის მიუხედავად, წინა წელთან/შარშანდელთან შედარებით, ტურისტთა ნაკადი 25 %-ით გაიზარდა. დღეისათვის ტურიზმის სფეროში 200 000-ზე მეტი ისრაელის მოქალაქეა დასაქმებული.



ძნელია მოიძიო ქვეყანა, რომელიც ისრაელის მსგავსად, მსოფლიოს ყველა კუთხიდან იზიდავს მნახველს. განსხვავებული ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლები, მეცნიერები და ტურისტები თანაბარი ინტერესით ათვალიერებენ ისრაელის წმინდა მიწას. იერუსალიმი, მისი მოცულობის გათვალისწინებით, მსოფლიოში პირველ ადგილზეა მუზეუმების რაოდენობით.

იერუსალიმი კაცობრიობის რელიგიური და მისტიკური ცენტრია. იგი მსოფლიოში გავრცელებული სამი რელიგიის – იუდაიზმის, ქრიტიანობისა და ისლამის სამშობლოა. რელიგიური მოტივით ჩასულ მნახველებს პილიგრიმები ეწოდებათ. წმინდა მიწაზე პილიგრიმობას დიდი ხნის ისტორია აქვს. პილიგრიმთა განსაკუთრებული ინტერესი ისრაელში გასამგზავრებლად რელიგიურ დღესაწაულებს უკავშირდება. საქართველოს მოქალაქეებს ტუროპერატორები სთავაზობენ სააღდგომო და საშობაო ტურებს წმინდა მიწაზე.

2.3. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას ნიშნავს შემოსვლითი ტურიზმი?
2. ვის ეწოდება საერთაშორისო ტურისტი?
3. როდის იგრძნობა ისრაელში მოგზაურობის განსაკუთრებული ინტერესი?
4. რა ტიპის ტურებს სთავაზობენ საქართველოს მოქალაქეებს ტუროპერატორები?
5. რატომ იზიდავს ტურისტებს ისრაელი?
6. საიდან ჩადის ყველაზე მეტი ადამიანი ისრაელში?
7. რა წარმოადგენს ისრაელისთვის ერთ–ერთ მთავარ შემოსავლის წყაროს?

2.4. ტექსტის შინაარსის მიხედვით დაასრულეთ წინადადებები:

1. საერთაშორისო ტურიზმი მოიცავს .....
2. ისრაელის ტურისტულ ინდუსტრიაში მნიშვნელოვან როლს .....
3. ტერაქტების მიუხედავად, ტურისტთა ნაკადი.....
4. ისრაელი ტურისტებს იმიტომ აინტერესებთ, რომ .....
5. პილიგრიმები ის მოგზაურები არიან, რომლებიც .....

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
მეცნიერი საზღვარი წყარო შემოსავალი არეულობა საფრთხე ნაკადი მოცულობა საგულისხმო დანახარჯი მიიზიდა	საერთაშორისო ტურისტი შემოსვლითი/გასვლითი ტურიზმი ტურისტთ ნაკადი ქვეყნის შიგნით/გარეთ საფრთხის მიუხედავად ჯგუფური/ინდივიდუალური ტური –თან შედარებით (ამერიკასთან შედარებით) –ის მიხედვით/შესაბამისად (რაოდენობის მიხედვით/შესაბამისად მოთხოვნის გათვალისწინებით)

გაითვალისწინეთ!

სიტყვა წყარო ნიშნავს:
1. ნაკადული, მიწიდან ამოსული წყალი;
2. ცნობა, საბუთი;
3. ის, საიდანაც რაიმე წარმოიქმნება.

2.5. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები და მიუთითეთ, რომელი მნიშვნელობითაა გამოყენებული სიტყვა <u>წყარო</u>:

1. მზე სინათლისა და სითბოს წყაროა ----------
2. სოფლის წყაროსთან უამრავი ადამიანი შეიკრიბა ----------
3. ამბობენ, რომ ეს წყარო მრავალ დაავადებას არჩენს ----------
4. ტურიზმი ისრაელისთვის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა ----------
5. საინტერესო ფაქტები გვხვდება ისტორიულ წყაროებში ----------
6. წერილობით წყარო აუცილებელია მეცნიერული შესწავლისთვის ----------

დაიმახსოვრეთ!

წარსული	ახლანდელი	მომავალი
შეასრულა მან ის	ასრულებს ის მას	შეასრულებს ის მას
მოიძია მან ის	ეძებს ის მას	მოიძიებს ის მას
დაათვალიერა მან ის	ათვალიერებს ის მას	დაათვალიერებს ის მას
გაითვალისწინა მან ის	ითვალისწინებს ის მას	გაითვალისწინებს ის მას
გაავრცელა მან ის	ავრცელებს ის მას	გაავრცელებს ის მას
შესთავაზა მან მას ის	სთავაზობს ის მას მას	შესთავაზებს ის მას მას
დახარჯა მან ის	ხარჯავს ის მას	დახარჯავს ის მას
გადაკვეთა მან ის	კვეთს ის მას	გადაკვეთს ის მას
ჩამოვიდა ის	ჩამოდის ის	ჩამოვა ის

2.6. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით (ზეპირად ან წერილობით):

სინონიმები	
საგულისხმო-მნიშვნელოვანი	ეწვია-ესტუმრა
დაახლოებით-საშუალოდ	უმუშევარი- დაუსაქმებელი
ჰქვია-ეწოდება	უწესრიგობა-არეულობა
განსხვავებული-სხვადასხვანაირი	თანაბარი-ერთნაირი
სურს- უნდა	ურჩევნია-ამჯობინებს

2.7. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, მოცემული სინონიმებიდან რომელი გხვდებათ ტექსტში:

> დანიშნულების სახელები სა – ო მაწარმოებელს დაირთავს:
> სასადილო, საქვეყნო, საკრებულო, საკრედიტო...

2.8. მოიძიეთ ტექსტის პირველსა და ბოლო აბზაცებში დანიშნულების სახელები:

ანტონიმები	
დასაქმებული–დაუსაქმებელი	ჩასვლა–ჩამოსვლა
მეტი–ნაკლები	არეულობა–წესრიგი
ხარჯვა–გამომუშავება	სტაბილურობა–არასტაბილურობა
მნიშვნელოვანი–უმნიშვნელო	გარეთ–შიგნით
შემოსავალი–გასავალი	გასვლა–შემოსვლა
ძვირი–იაფი	მაღალი –დაბალი

2.9. იმუშავეთ წყვილებში, ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი:

2.10. წაიკითხეთ დიალოგი მეწყვილესთან ერთად, წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით:

მოქალაქე – ტუროპერატორი

— ტურისტული სააგენტო „რუნითეა“?
— დიახ, გისმენთ...
— მე და ჩემს მეუღლეს შვებულების დაგეგმვა გვინდა. დასვენების დღეების შინაარსიანად გატარება გვსურს. რა შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ?
— ახალი შთაბეჭდილების მისაღებად საუკეთესო ადგილი ეგვიპტეა! პირამიდები და ძველი ცივილიზაცია თანაბრად იზიდავს ახალგაზრდებსა და შუახნის ადამიანებს. ლუქსორში ნახავთ ეგვიპტის ღირსშესანიშნაობებს, უნიკალურ ქანდაკებებს და ....
— ეს ჯგუფური ტურია?
— დიახ, თუმცა შეგვიძლია ინდივიდუალური ტურის დაგეგმვაც, მაგრამ უფრო ძვირი დაგიჯდებათ...
— ჩვენი შემოსავალი არც ისეთი მაღალია, ამიტომ ჯგუფური ტური გვირჩევნია. სად შეიძლება მოვიძიოთ დამატებითი ინფორმაცია?
— ჩვენს საიტზე www.runitetuors.ge .
— დიდი მადლობა!
— არაფრის! მადლობა ზარისთვის!

2.11. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ვინ მონაწილეობს დიალოგში?
2. ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის?
3. რა საკითხს იკვლევს ნიკა?
4. დროის რა პერიოდს ეხება ნიკას კვლევა?
5. რომელი მეზობელი ქვეყნიდან შემოვიდა ყველაზე მეტი ტურისტი საქართველოში?
6. გადაადგლების რომელი საშუალება გამოიყენა ტურისტების უმრავლესობამ?

2.12. მოსმენილი დიალოგის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია :

	სწორი	არასწორი
დიალოგში მიხედვით ვიგებთ, რა საკითხს იკვლევს ნიკა		
დიალოგში დასახელებულია რას იკვლევს ელენე		
კვლევა ეხება გასვლითი ტურიზმის თემას		
ელენე თავის მასალებს ჯგუფს ნიკასთან ერთად გააცნობს		
მეზობელი ქვეყნებიდან ყველაზე ცოტა ტურისტი თურქეთდან შემოვიდა		
არამეზობელი ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ტურისტი ირანიდან შემოვიდა		
ყველაზე ცოტა ტურისტი გადაადგილდა საჰაერო გზით		
შარშან უფრო ნაკლები ტურისტი შემოვიდა, ვიდრე წელს		
ყველაზე მეტმა ტურისტმა იმგზავრა სარკინიგზო გზით		
კვლევაში არის მხოლოდ 2018 წლის აპრილის მასალები		

2.13. რას დაარქმევდით დიალოგს?

2.14. იმსჯელეთ გასვლითი ტურიზმის შესახებ:

თქვენი აზრით, საქართველოს მოქალაქეები რომელ ქვეყნებში ამჯობინებენ მოგზაურობას და რატომ ? (იმუშავეთ წყვილებში)

2.15. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **რომელ ქვეყანაში მინდა მოგზაურობა**

_____

_____

III ნაწილი შიდა ტურიზმი

3.1. კითხვები გამოწვევისათვის:

1. გაიხსენეთ, რა იცით მღვიმეების შესახებ?
2. რა არის სპელეოტურიზმი და რამდენ სახეობად იყოფა ის?
3. ტურისტთა გადაადგილების მიხედვით რა სახის ტურიზმი გამოიყოფა?
4. გაიხსენეთ, ვინ არიან პილიგრიმები? რა მიზნით მოგზაურობენ ისინი?
5. თქვენი აზრით, რომელი ადგილი იქნება შიდა ტურიზმისათვის ყველაზე გამორჩეული საქართველოში? რატომ ფიქრობთ ასე?

3.2. წაიკითხეთ ტექსტი:

მსოფლიო ეკონომიკაში შიდა ტურიზმის **დანახარჯები** სამჯერ აღემატება საერთაშორისო ტურიზმის დანახარჯებს. ამდენად, შიდა ტურიზმი მასშტაბებით ბევრად **დიდია**. ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი **წვლილი შიდა ტურიზმს შეაქვს**. მსოფლიოს მსგავსად, შიდა ტურიზმი საქართველოსთვისაც ერთ–ერთი **მზარდი** და განვითარებადი დარგია.

საერთაშორისო ტურიზმისგან განსხვავებით, შიდა ტურიზმი ახლო მანძილებზეა მიმართული და **განმეორებითობა** ახასიათებს. შიდა ტურისტებმა იციან მასპინძელი ადგილის კულტურა, **კლიმატი** და **სასაუბრო ენა**. შიდა ტურიზმში ძირითადად გამოიყენება სახმელეთო ტრანსპორტი, რომელიც უფრო **იაფი** ღირს. შიდა ტურიზმს ნაკლებად ახასიათებს **სეზონურობა**.

ამბობენ, თუ ერთხელ მაინც ეწვევი ქუთაისს, არასდროს დაგავიწყდება ქუთაისელების სითბო, სილაღე და იუმორი. ქუთაისი იმერეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია. სტატისტიკის მიხედვით, თბილისის შემდგომ იმერეთის რეგიონი შიდა ტურიზმის კუთხით საქართველოში მეორე ადგილზეა. ქალაქი ქუთაისი მდინარე რიონის ორივე ნაპირზეა გაშენებული. მნიშვნელობით იგი საქართველოს მეორე სამრეწველო და კულტურული ქალაქია. დიდი ტრადიციებისა და ისტორიის მქონე ქალაქი ჩვენი ქვეყნის საპარლამენტო დედაქალაქიცაა. ქუთაისის **ღირსშესანიშნაობებში** შედის: ბაგრატის ტაძარი, გელათის მონასტერი, გელათის აკადემია, გეგუთის სასახლე და სათაფლიის ნაკრძალი.

სათაფლიის ნაკრძალი ქუთაისიდან 8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. იგი გაშენებულია 350 ჰექტარ ტერიტორიაზე. აქ შეხვდებით **იშვიათი** ჯიშის ხეებს, უნიკალურ მღვიმეებსა და კლდეებს დინოზავრების ნაკვალევით. სათაფლიას დასახელება თაფლს უკავშირდება. ძალიან ადრე აქ ფუტკრები ცხოვრობდნენ და ხალხი აქ თაფლისთვის მოდიოდა. ნაკრძალის ტერიტორიაზე კოლხეთის ტყის **განსაკუთრებულობა** ისაა, რომ დაბურული ფოთლოვანი ტყის გამო, აქ ბალახი არ ხარობს.

სათაფლიაში აღმოჩენილია **მტაცებელი** და **ბალახისმჭამელი** დინოზავრების 200–მდე ნაკვალევი. ნაკრძალში შეხვდებით ბიოსპელეოლოგიურ მუზეუმს. სათაფლიის დინოზავრების ნაკვალევი ბუნების **უნიკალური** მოვლენაა. გეოლოგიურ წარსულში, 50–60 მილიონი წლის წინ, ამ ადგილებში დინოზავრებმა გაიარეს და კვალი დატოვეს. მათი ნაკვალევი ორ ფენაზეა წარმოდგენილი, რაც უნიკალური შემთხვევაა მსოფლიოში.

3.3. ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის შიდა ტურიზმს?
2. რა ახასიათებს და რა არ ახასიათებს შიდა ტურიზმს?
3. რომელი ქალაქის შესახებ არის ტექსტში ინფორმაცია?
4. რა შეგიძლიათ თქვათ ამ ქალაქის შესახებ?
5. რა ღირსშესანიშნაობებია ამ ქალაქში?
6. სად მდებარეობს სათაფლია და რით არის ის საინტერესო?
7. რატომ ჰქვია ეს სახელი ამ ადგილს?
8. როგორი ტყეა აქ და განსაკუთრებულობას შეხვდებით აქ?
9. რატომაა უნიკალური სათაფლია?

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
დანახარჯი, დანახარჯები მზარდი განმეორებითობა სეზონურობა განვითარება განვითარებადი კლიმატი ღირსშესანიშნაობა განსაკუთრებულობა მტაცებელი ბალახისმჭამელი ნაკრძალი აღმოჩენილია	ორჯერ / სამჯერ / ათჯერ... აღემატება მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მზარდი და განვითარებადი დარგი ნაკლებად ახასიათებს ახასიათებს განმეორებითობა სასაუბრო ენა 5 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს უნიკალური მღვიმეები უნიკალური შემთხვევა დაბურული ფოთლოვანი ტყე ბალახი, ხე ხარობს / არ ხარობს იშვიათი ჯიშის

3.4. ისაუბრეთ:

- წარმოიდგინეთ, რომ თქვენ უნდა დაგეგმოთ ტური საქართველოში. რომელ ადგილს აირჩევდით და რატომ?
- ისაუბრეთ თქვენ მიერ შერჩეული ადგილის მნიშვნელობაზე.
- დაწერეთ პატარა ტექსტი, სად არის ეს ადგილი, რატომ არის მნიშვნელოვანი და რატომ უნდა ნახონ ის ტურისტებმა.

დაიმახსოვრეთ!

სიტყვათწარმოება
–ობა ბოლოსართი ახალ სიტყვას აწარმოებს. განმეორება > განმეორებითი > განმეორებითობა განსაკუთრებული > განსაკუთრებულობა მასპინძელი > მასპინძლობა სეზონი > სეზონური > სეზონურობა ღირსშესანიშნავი > ღირსშესანიშნაობა

3.5. ჩაწერეთ საჭირო სიტყვა:

ნიმუში: <u>განმეორება</u> ცოდნის დედაა. (გამეორება, განმეორებითობა)

1. შედა ტურიზმს ახასიათებს ——————————. (გამეორება, განმეორებითობა)
2. ჩემი მეგობარი —————————— ადამიანია. (განსაკუთრებული, განსაკუთრებულობა)
3. ჩემი მეგობრის —————————— ისაა, რომ ის ყოველთვის იგებს სხვა ადამიანების პრობლემებს და ყოველთვის მათ გვერდით დგას. (განსაკუთრებული, განსაკუთრებულობა)
4. ჩვენს ქალაქში ტურისტებისთვის საინტერესო ბევრი —————————— ადგილია. (ღირსშესანიშნავი, ღირსშესანიშნაობა)
5. ჩვენი ქალაქის ყველა —————————— ვანახე საფრანგეთიდან ჩამოსულ ჩემს მეგობრებს. (ღირსშესანიშნავი, ღირსშესანიშნაობა)
6. მე არასოდეს არ დამავიწყდება ამ ადამიანის ——————————. (მასპინძელი, მასპინძლობა)
7. ჩემი —————————— ალიან კარგი ადამიანია. (მასპინძელი, მასპინძლობა)
8. ზაფხული არის ჩემი საყვარელი ——————————. (სეზონი, სეზონური, სეზონურობა)
9. ადამიანმა —————————— ხილი ყოველთვის უნდა მიირთვას. (სეზონი, სეზონური, სეზონურობა)
10. შიდა ტურიზმს არ ახასიათებს ——————————. (სეზონი, სეზონური, სეზონურობა)

დაიმახსოვრეთ!

ახლანდელი	წარსული (რას შვრებოდა?)	მომავალი
აღემატება	აღემატებოდა	აღემატება
ახასიათებს	ახასიათებდა	დაახასიათებს
ავიწყდება	ავიწყდებოდა	დაავიწყდება
ხვდება	ხვდებოდა	შეხვდება

3.6. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით (ზეპირად ან წერილობით):

3.7. დაუკავშირეთ ერთმანეთს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები:

შიდა	კლებადი
მზარდი	შორი
განვითარებადი	**გარე**
ძვირი	წიწვოვანი
მტაცებელი	განვითარებული
ახლო	იაფი
ფოთლოვანი	ბალახისმჭამელი

3.8. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, მოცემული სინონიმებიდან რომელი გხვდებათ ტექსტში:

3.9. წაიკითხეთ დიალოგი მეწყვილესთან ერთად, წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით:

სტუდენტი – მეგობარი

— როგორ ხარ? სად დაიკარგე?
— ტურიზმის შესწავლა დავიწყე.
— მართლა? რა საინტერესოა!
— როგორ ფიქრობ, მსოფლიო ეკონომიკაში საერთაშორისო დანახარჯები უფრო მეტია თუ შიდა ტურიზმის?
— ალბათ საერთაშორისოსი?!
— არა, თურმე შიდა ტურიზმის დანახარჯები სამჯერ აღემატება საერთაშორისო ტურიზმისას და თანაც უფრო მზარდია!
— ეგ როგორ?
— შიდა ტურიზმს ახასიათებს განმეორებითობა, თან სეზონზე ნაკლებადაა დამოკიდებული და ქვეყნის შიგნით უფრო მეტს მოგზაურობენ!
— გასაგებია!
— რას ნახავდი ჩვენი ქვეყნის შიგნით?
— ძალიან მინდა შატილის ნახვა. ნეტა იაფი ღირს ტურები?
— ძვირი არ უნდა ღირდეს. ვიცი, რომ არის ერთდღიანი ტურებიც. ასეთი ტურის განსაკუთრებულობა ისაა, რომ დილით ადრე წახვალ და გვიან ღამით დაბრუნდები!
— ძალიან მინდა წასვლა...
— მოდი ერთად წავიდეთ!

3.10. მოსმენილი ტექსტის მიხედვით მონიშნეთ, რომელი ინფორმაციაა ტექსტში (+) და რომელი არა (–):

ტექსტში მოცემულია ინფორმაცია საერთაშორისო ტურიზმის შესახებ.	
ტექსტში მოცემულია ინფორმაცია ტურისტების რაოდენობის შესახებ.	
ტექსტში მოცემულია ინფორმაცია თბილისის ღირსშესანიშნაობების შესახებ.	
ტექსტში მოცემულია ინფორმაცია ბროშურის შესახებ.	
ტექსტში მოცემულია ინფორმაცია რამდენიმე ტურისტის პირადი შთაბეჭდილების შესახებ.	
ტექსტში მოცემულია ინფორმაცია მასპინძელი ოჯახის შესახებ.	

3.11. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს:

1. რომელი ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტების შესახებ არის ინტერვიუ?
2. რა რაოდენობის ტურისტებზეა საუბარი ტექსტში?
3. რა განაპირობებს ტურისტების დაინტერესებას საქართველოთი?

4. რომელ ქალაქებში ან ადგილებში მიდიან ტურისტები ტექსტის მიხედვით?
5. სად შეუძლიათ ტურისტებს დამატებითი ინფორმაციის წაკითხვა?

ეს საინტერესოა!

3.12. წაიკითხეთ ტექსტი და თავად დაასათაურეთ:

_____

საქართველოში დასავლეთ – აღმოსავლეთის შემაერთებელი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა 1865 წელს დაიწყო. მე-19 საუკუნის დასავლეთ საქართველოში ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელი და ცნობილი მეურნე ვაჭარი ალექსანდრე ანანოვი იყო. ანანოვები ფლობდნენ აჯამეთის ტყეს და მასთან დაკავშირებულ ხე-ტყის წარმოებას, მათი ღვინის სარდაფები კი საქართველოს ყველა კუთხეში იყო მოფენილი და ყოველწლიურად ღვინის ქარხნებში 600-700 ათას ლიტრ ღვინოს და 150 000 ბოთლ შამპანურს აწარმოებდნენ. მხოლოდ ვარციხის ღვინის სარდაფებიდან მეწარმეები ყოველწლიურად რუსეთში გზავნიდნენ 20-30 ათას ბოთლ ღვინოს, 30-40 ათას ბოთლ შამპანურს და 60 ათას ბოთლ კონიაკს. 1866 წელს, ალექსანდრე ანანოვის ვაჟიშვილები მიხრან და აბგარ ანანოვები, გაემგზავრენ პეტერბურგში და რკინიგზის ადმინისტრაციაში და დიდი თანხის სანაცვლოდ, მოახერხეს პროექტის შეცვლა და სარკინიგზო მაგისტრალის ქალაქ ქუთაისის ნაცვლად სოფელ რიონში, თავიანთ მამულში გამოტარება. ამით ანანოვებმა მიაღწიეს პროდუქციის გატანის გაიაფებასა და გამარტივებას, თუმცა ყოველივე ამის გამო 1871 წელს პირველმა მატარებელმა ქუთაისს გვერდი აუარა. 1872 წლის 10 ოქტომბერს თბილისიდან ფოთში პირველი მატარებელი ასევე ქუთაისის გვერდის ავლით ჩავიდა.

ანანოვებმა გვიან გააცნობიერეს მათი დანაშაული ქალაქის წინაშე და ბოლომდე განიცდიდნენ მას. დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, საკუთარი სახსრებით ააშენეს სპეციალური სახლი ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის და სიცოცხლის ბოლომდე უხვად სწირავდნენ უსახლკაროებისა და ობლების დახმარების ფონდებში. ასევე აქტიურად მიიღებ მონაწილეობა ქუთაისი რიონის რკინიგზის ხაზის მშენებლობაში, რომელიც 1877 წელს დასრულდა, თუმცა მაგისტრალურ რკინიგზაზე რეალური მიერთება მხოლოდ 15 წლის შემდეგ, 1887 წელს ტყიბული – ქუთაისი-რიონის რკინიგზის დასრულების შემდეგ მოხერხდა.

3.13. მიძიეთ დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტში ქუთაისის ღირსშესანიშნაობების შესახებ და წარმოადგინეთ პრეზენტაცია:

3.14. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ჩემი ტური ტურისტებისთვის**

_____

_____

III თავი მასპინძლობის ინდუსტრია

I ნაწილი მასპინძლობის ინდუსტრიის არსი და მახასიათებლები

1.1. კითხვები გამოწვევისათვის:

1. ვის შეიძლება ვუწოდოთ კარგი მასპინძელი?
2. რა თვისებები უნდა ჰქონდეს კარგ მასპინძელს?
3. როგორია თქვენი გამოცდილება მოგზაურობასა და მასპინძელთან დაკავშირებით?

1.2. წაიკითხეთ ტექსტი:

მასპინძლობა უფრო ძველი და ფართო შინაარსის **მოვლენაა,** ვიდრე ტურიზმი. ტურიზმში განსაკუთრებული როლი სწორედ **მასპინძლობის ინდუსტრიას** აქვს. მასპინძლობის თავისებურებები ბევრად **განაპირობებს** ტურიზმის ბიზნესის წარმატებას. მასპინძლობის ინდუსტრიაში მთავარი ადამიანია, რომელსაც უნდა მოსწონდეს სხვადასხვა ხასიათის ადამიანებთან ურთიერთობა.

მასპინძლობის ინდუსტრიაში მომუშავე ადამიანს უნდა ჰქონდეს სურვილი, **მოემსახუროს** სხვას. ამ სურვილს **მასპინძლობის სულს** უწოდებენ. ამ სფეროში ის კომპანიები ხდებიან წარმატებული, რომლებსაც ეს სული გააჩნიათ. საერთაშორისო კომპანია მერიოტს (Marriott) სწამს, რომ იქ დასაქმებული ადამიანები არიან პირველები. მერიოტის **წარმატების საიდუმლოს** ამერიკელი ბიზნესკონსულტანტი ასე ხსნის: „**იზრუნე** მერიოტის თანამშრომლებზე და ისინი იზრუნებენ სტუმრებზე“.

მასპინძლობის ბიზნესი 365 დღე და 24 საათი აქტიურად მუშაობს. აქ მუდმივად ცდილობენ სტუმრის კმაყოფილების მოპოვებას, რასაც **მოგება** მოაქვს. მასპინძლობა, როგორც პროდუქტი, ხელით **შეუხებელი** და უთვლადია. სტუმრის მომსახურებისას დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ შთაბეჭდილებას. როგორც ამბობენ, პირველი შთაბეჭდილების შეცვალა თითქმის **შეუძლებელია**.

საერთაშორისო ტურიზმში **განსაკუთრებული** ადგილი უჭირავს მასპინძლობის ადგილობრივ თავისებურებებს. სტუმარმასპინძლობა ქართული/კავკასიური კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია. სტუმრის პატივისცემა და მისი გამასპინძლება ჩვენი კულტურის ნაწილია. სტუმართმოყვარეობა ქართულ ტრადიციულ საზოგადოებაში პიროვნებისათვის ღირსების საკითხს უკავშირდება. სტურმართმოყვარეობის წესი **ეტიკეტის დაცვასა** და სტუმრის პატივისცემას ნიშნავს.

1.3. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას უწოდებენ მასპინძლობის სულს?
2. რას ფიქრობს კომპანია ,,მერიოტი“ თავის თანამშრომლებზე?
3. რა არის წარმატების საიდუმლო ამერიკელი კონსულტანტის აზრით?
4. რა მოსაზრება არსებობს ქართულ საზოგადოებაში სტუმართმოყვარეობასთან დაკავშირებით?

1.4. ტექსტის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
მასპინძლობის ბიზნესი დასვენების გარეშე მუშაობს		
ტურიზმი უფრო ძველი მოვლენაა, ვიდრე მასპინძლობა		
მასპინძლობის ბიზნესში მოგება სტუმრის კმაყოფილებას მოაქვს		
მასპინძლობის ინდუსტრიაში დაკავებულ ადამიანს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა უნდა მოსწონდეს.		
სტუმრის მომსახურებისას პირველი შთაბეჭდილება არც ისე მნიშვნელოვანია.		

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
თანამშრომელი მომუშავე დასაქმებული პიროვნება მოგება მოვლენა სურვილი ვალდებულება ღირსება	მასპინძლობის ინდუსტრია ადამიანებთან ურთიერთობა მასპინძლობის სული წარმატების საიდუმლო კულტურის ნაწილი სტუმართმოყვარეობის წესი ეტიკეტის დაცვა მცოცავი გრაფიკი

დააკვირდით!

<u>მომუშავე</u> არის პირი, რომელიც მუშაობს (**მო**–მუშავ–**ე**), ასევე მოციგურავე არის ის, ვინც ციგურებით სრიალებს.

1.5. აწარმოეთ მო–ე აფიქსებით სხვა სახელები:

საუბარი ––––––––––––––––––––
მსახური ––––––––––––––––––––
ლაპარაკი ––––––––––––––––––––

ლოდინი ––––––––––––––––––––
ცურვა ––––––––––––––––––––
ქანდაკება ––––––––––––––––––––

დაიმახსოვრეთ!

- **კომპანია:** 1. ორგანიზაცია; 2. რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ერთად ატარებენ დროს.
- **კამპანია:** 1. საომარი მოქმედება; 2. ერთდროული საზოგადოებრივ პოლიტიკური ამოცანის გადასაწყვეტი საქმიანობა (მაგ., საარჩევნო კამპანია)

დაიმახსოვრეთ!

წარსული	ახლანდელი	მომავალი
მოეწონა	მოსწონს	მოეწონება
დაიკავა	უკავია	დაიკავებს
დაიჭირა	უჭირავს	დაიჭერს
ახსნა	ხსნის	ახსნის
დაუძახა	ეძახის	დაუძახებს
განაპირობა	აპირობებს	განაპირობებს
მოემსახურა	ემსახურება	მოემსახურება
შეცვალა	ცვლის	შეცვლის

1.6. აღნიშნული ზმნური ფორმებით შეადგინეთ წინადადებები ან დიალოგი:

დაიმახსოვრეთ სიტყვათა მნიშვნელობები:
მოგება: 1. გამარჯვება; 2. შემოსავალი
წაგება: 1. დამარცხება; 2. დანაკარგი, ზარალი

1.7. რა მნიშვნელობით გამოიყენება აღნიშნული სიტყვები წინადადებებში:

1. უნდა ვეცადოთ, თუ გვინდა ბრძოლის მოგება.
2. სპორტული ღონისძიება სტუმართა წაგებით დასრულდა.
3. ის ყიდდა ბევრ ნივთს, მაგრამ ზოგჯერ წაგებით.
4. ტურიზმიდან შემოსული მოგება.
5. ეკონომიკური მოგების ნაწილს ტურიზმიც განსაზღვრავს.

სინონიმები	
დასაქმებული–მომუშავე	სწამს/სჯერა
მომსახურება–სერვისი	ხსნის/განმარტავს
მოგება–შემოსავალი	უკავია–უჭირავს
ადგილობრივი–ლოკალური	პატივისცემა–დაფასება
თანამშრომელი–კოლეგა	განსაკუთრებული–მნიშვნელოვანი

1.8. მოიძიეთ ტექსტში სინონიმები და ხაზი გაუსვით:

ანტონიმები	
ფართო–ვიწრო	კმაყოფილი–უკმაყოფილო
შეუძლებელი–შესაძლებელი	კმაყოფილება–უკმაყოფილება
წარმატებული–წარუმატებელი	მოგება–წაგება
მოგებული/წაგებული	თვლადი–უთვლადი
ძველი–ახალი	მთავარი– არამთავარი

1.9. ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი ან წინადადებები:

დაიმახსოვრეთ!

ზმნა **ამბობს** თავისებურია, რადგან სხვადასხვა დროში სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი, იგი ორპირიანია.
თქვა მან ის – თქვა ბავშვმა სიმართლე
ამბობს ის მას – ამბობს ბავშვი სიმართლეს
იტყვის ის მას – იტყვის ბავშვი სიმართლეს

წარსული		ახლანდელი		მომავალი	
ვთქვი	ვთქვით	ვამბობ	ვამბობთ	ვიტყვი	ვიტყვით
თქვი	თქვით	ამბობ	ამბობთ	იტყვი	იტყვით
თქვა	თქვეს	ამბობს	ამბობენ	იტყვის	იტყვიან

არსებობს ამავე შინაარსის სამპირიანი ფორმაც:
უთხრა მან მას ის – უთხრა ბავშვმა დედას ტყუილი
ეუბნება ის მას მას – ეუბნება ბავშვი დედას ტყუილს
ეტყვის ის მას მას – ეტყვის ბავშვი დედას ტყუილს

წარსული		ახლანდელი		მომავალი	
ვუთხარი	ვუთხარით	ვეუბნები	ვეუბნებით	ვეტყვი	ვეტყვით
უთხარი	უთხარით	ეუბნები	ეუბნებით	ეტყვი	ეტყვით
უთხრა	უთხრეს	ეუბნება	ეუბნებიან	ეტყვის	ეტყვიან

1.10. აირჩიეთ სწორი ფორმა:

ნიმუში: დამსვენებელი <u>ამბობს</u>/ ეუბნება, რომ ოთახში ძალიან ცხელა.

ჩვენ ვუთხარით/ვთქვით მასპინძელს, რომ ონკანი არ მუშაობს.

6. რა თქვა/ეუბნება სტუმარმა, მოსწონს ქალაქი?
7. ნანამ ყველას უთხრა /ამბობს, რომ ყაზბეგში იყო.
8. მე ვეტყვი/ვიტყვი სტუმრებს, სად უნდა შევიკრიბოთ.
9. შენ ამბობ/ეტყვი, რომ ცუდი ამინდის გამო ხევსურეთში ვერ წავალთ?
10. ჩვენი ტურისტები იტყვიან/ეტყვიან, რომელი ადგილი მოეწონათ საქართველოში.
11. მე ვეუბნები/ვამბობ თეას, რომ მთაში წასვლა რთული არაა.
12. ჩვენ უარს არ ვეტყვით/ვუთხარით სტუმრებს, დარჩნენ ჩვენს სასტუმროში.
13. მასწავლებელს ვუთხარით/ვთქვით, რომ ექსკურსიაზე წასვლა გვინდა.

1.11. მოისმინეთ დიალოგი და აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
მთავარი და საკმარისია, სასტუმროს პერსონალი უღიმოდეს მომხმარებელს		
ახალ თანამშრომელს მცოცავი გრაფიკი აქვს		
სასტუმროს პერსონალისთვის მთავარი მოლოდინია		
ახალი თანამშრმნელი პორტიეს პოზიციაზე მუშაობს		
პორტიეს მხოლოდ სტუმართა კომუნიკაცია ევალება		

1.12. დიალოგის შინაარსის მიხედვით დააკავშირეთ ფრაზები:



1.13. რას დაარქმევდით დიალოგს?

_____

3.14. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ჩემი საოცნებო მოგზაურობა**

_____

_____

_____

2.1. დააკვირდით ფოტოებს და შეუსაბამეთ სახელწოდებები:

წყალქვეშა სასტუმრო	სასტუმრო ხეებზე	წყალში მოცურავე სასტუმრო
სასტუმრო ბოინგი	სასტუმრო მღვიმეში	სასტუმრო კლდეზე

_____ _____ _____

_____ _____ _____

2.2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა აქვს საერთო ამ ფოტოებს?
2. როგორ შეიძლება დავახასიათოთ ეს ფოტოები?
3. ჰგავს თუ არა ტრადიციულ სასტუმროებს?
4. რით გასხვავდება ტრადიციული სასტუმროებისაგან?

2.3. წაიკითხეთ ტექსტი:

სტუმრის მიღება–განთავსების მეტ–ნაკლებად გამართული სისტემა XX საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბდა. ამ დროისათვის განთავსების მთავარი **საწარმო** სასტუმროა. სასტუმროები შედგებოდა გარკვეული რაოდენობის **კეთილმოწყობილი ნომრებისაგან** და მართვის ერთიანი სისტემა გააჩნდა.

განთავსების ინდუსტრია თანდათან ფართოვდება, რასაც მოჰყვა **საწარმოების სპეციალიზაცია. სრულსერვისიან სასტუმროებთან** ერთად ფუნქციონირებს სპეციალიზებული სასტუმროები: **კონგრეს–ცენტრები, საოჯახო სასტუმროები, აპარტ–ოტელები, ოტელ–სამორინეები, აეროვაგზლის სასტუმრო** და სხვა. სასტუმროების მრავალფეროვნება კულტურულ–ისტორიულ და ნაციონალურ თავისებურებებს უკავშირდება.

სასტუმროებში მომსახურების ხარისხის შესაფასებლად, ქვეყნების მიხედვით, სხვადასხვა

კრიტერიუმი გამოიყენება. ტურისტებისათვის მოსახერხებელია **კლასიფიკაციის** ე.წ. „**ვარსკვლავთა“ სისტემა.** სასტუმროების კლასიფიკაცია სხვა **პარამეტრებითაც** ხდება: **ადგილმდებარეობა, მომსახურების ტიპი, ფასი** და სხვა.

არსებობს სასტუმროების რეიტინგი. რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიოს საუკეთესო სასტუმროებს შორის პირველ ადგილს ბანკოგში ტაილანდური სასტუმრო „ორიენტალი“ იკავებდა. **მეწარმეები** სტუმრების **მოზიდვას** სასტუმროების ორიგინალობითაც ცდილობენ. ერთ-ერთი ასეთია ნიდერლანდების დედაქალაქში ამსტერდამის სადგურებს შორის **მოცურავე სასტუმრო. უჩვეულო** შთაბეჭდილებების მოყვარულ ტურისტებს კენიაში შეუძლიათ გაჩერდნენ სასტუმროში, რომელიც ხეების წვერზეა. ამ სასტუმროს უნიკალურობა ისაა, რომ იგი მართლაც ხეების წვეროებზეა განთავსებული. ეს სასტუმრო პოპულარული და **პრესტიჟულია**, რადგან 1952 წელს აქ მყოფმა ელისაბედ II-მ გაიგო, რომ ინგლისის დედოფალი გახდა.

2.4. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. სად აშენდა პირველი სასტუმროს ტიპის დაწესებულებები?
2. ვის ემსახურებოდა პირველი ფუნდუკი-სასტუმროები?
3. რა ტიპის სასტუმროები არსებობს?
4. რას უკავშირდება სასტუმროების მრავალფეროვნება?
5. რის მიხედვით აფასებენ სასტუმროს მომსახურების ხარისხს?
6. სად ისვენებდა ელისაბედ მეორე, როცა დედოფალი გახდა?

2.5. ტექსტის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
სტუმრის მიღების-განთავსების სისტემა მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან წარმოიშვა		
საწარმოების სპეციალიზაციამ გამოიწვია განთავსების ინდუსტრიის გაფართოება		
სასტუმროების კლასიფიკაცია ხდება ადგილმდებარეობისა და მომსახურების ტიპის მიხედვით		
ხშირად სტუმრების მოზიდვას სასტუმროების ორიგინალობაც განაპირობებს		
მოცურავე სასტუმროს კენიაში ნახავთ		

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
შიკრიკი ნადიმი საჩუქარი მეწარმე კრიტერიუმი კლასიფიკაცია ადგილმდებარეობა პრესტიჟული უჩვეულო	სტუმრის მიღება/განთავსება სახელმწიფო მოხელე სამახსოვრო საჩუქარი საწარმოების სპეციალიზაცია სრულსერვისიანი/სპეციალიზებული სასტუმრო ,,ვარსკვლავთა“ სისტემა მომსახურების ტიპი კეთილმოწყობილი ნომერი

2.6. დააკავშირეთ სიტყვები:

სტუმრის	მოხელე
ნორმის	სასტუმრო
სახელმწიფო	**განთავსება**
სამახსოვრო	კლასიფიკაცია
ვარსკვლავთა	დაბინავება
სტუმრების	ხარისხი
სრულსერვისიანი	ჩამოყალიბება
მომსახურების	მოზიდვა
სასტუმროში	სისტემა
სასტუმროთა	საჩუქარი
კეთილმოწყობილი	მრავალფეროვნება
კულტურული	ნომერი

დაიმახსოვრეთ!

დასრულებული და დაუსრულებელი მოქმედება წარსულში

შეადარე წინადადებები:
ნიკამ დავალება **დაწერა** და მშვიდად დაიძინა (რა ქნა?)
ნიკა სწრაფად **წერდა** დავალებას, რადგან კიდევ ბევრი საქმე ჰქონდა (რას შვებოდა?)

საწყისი	წარსული		ახლანდელი	მომავალი
	რა ქნა?	რას შვებოდა?	რას შვება?	რას იზამს?
მომსახურება	მოემსახურა	ემსახურებოდა	ემსახურება	მოემსახურება
ჩამოყალიბება	ჩამოყალიბდა	ყალიბდებოდა	ყალიბდება	ჩამოყალიბდება
დაკავება	დაიკავა მან ის	იკავებდა	იკავებს	დაიკავებს
გაფართოება	გაფართოვდა	ფართოვდებოდა	ფართოვდება	გაფართოვდება
მცდელობა	სცადა	ცდილობდა	ცდილობს	ცდის
გამოყენება	გამოიყენა	იყენებდა	იყენებს	გამოიყენებს
დაკავშირება	დაუკავშირდა	უკავშირდებოდა	უკავშირდება	დაუკავშირდება
გაგება	გაიგო	იგებდა	იგებს	გაიგებს

2.7. შეარჩიეთ სწორი ფორმა:

1. ძველად სასტუმროების ფუნქციით ფუნდუკებს იყენებდნენ/გამოიყენეს.
2. კაცის სიტყვები მის საწინააღმდეგოდ იყენებდნენ/გამოიყენეს.

3. ახალმა სტუდენტმა ფანჯარასთან დაიკავა /იკავებდა ადგილი.
4. ტურიზმი მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა/დაიკავა ძველი საბერძნეთის ცხოვრებაში.
5. ტურიზმმა ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ადგილი იკავებდა/დაიკავა.
6. მუშები სადგურსა და სასტუმროს შორის გზას აფართოებდნენ/ გააფართოეს
7. ტურისტულმა კომპანიებმა გააფართოვეს/აფართოებდნენ თავიანთი მომსახურება.

2.8. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებებთან:

1. ვაჭარი	ა. პოპულარობის მაჩვენებელი, ინდექსი
2. ნადიმი	**ბ. კერძო სავაჭროს პატრონი, რომელიც საქონელს ყიდის მოგების მიზნით**
3. მეომარი	გ. დიდი წვეულება, საზეიმო სუფრა
4. შიკრიკი	დ. სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს მფლობელი, პატრონი
5. მეწარმე	ე. მებრძოლი, ვინც იბრძვის
6. რეიტინგი	ვ. ნიშანი, რომლის მიხედვითაც რისამე სისწორეს აფასებენ
7. კრიტერიუმი	ზ. ოთახი სასტუმროში
8. ნომერი	თ. საგანგებო დავალებით (მაგალითად წერილის, ამბის გადასაცემად) გაგზავნილი პირი

დააკვირდით!

როდის ვიყენებთ სიტყვებს: დიდი ხნის, დიდი ხანია, დიდხანს
შეადარეთ: <u>დიდი ხნის</u> წინ აქ ლამაზი ბაღი იყო
<u>დიდი ხანია,</u> ქუთაისში არ ვყოფილვარ
სამუშაო შეხვედრა <u>დიდხანს</u> გაგრძელდა

2.9. შეადგინეთ მინიდიალოგები აღნიშნული სიტყვების გამოყენებით და წარმოადგინეთ წყვილებში:

ანტონიმები	
ხარისხიანი – უხარისხო	კეთილმოწყობილი–კეთილმოუწყობელი
ფართო–ვიწრო	გაფართოება – და/შევიწროება
ერთფეროვანი–მრავალფეროვანი	გამართული–გაუმართავი

2.10. დააკავშირეთ ანტონიმები საჭირო სიტყვებთან:

გაუმართავი სისტემა	მეთოდი
ხარისხიანი–უხარისხო	გამართული
კეთილმოწყობილი–კეთილმოუწყობელი	საკვები
ერთფეროვანი–მრავალფეროვანი	გზის
დავიწროება–გაფართოება	ოთახი

სინონიმები	
ნორმა–წესი	მეომარი–ჯარისკაცი
განთავსება–დაბინავება	უჩვეულო–უცნაური
განსაკუთრებული–უნიკალური	პრესტიჟული–ავტორიტეტული/გავლენიანი
ფასი–ღირებულება	კეთილმოწყობილი–კომფორტული

2.11. შეადგინეთ წინადადებები სინონიმების გამოყენებით:

2.12. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ვინ არიან დიალოგის მონაწილეები?
2. დიალოგის მიხედვით, რამდენი ადამიანი გაათევს ღამეს სასტუმროში?
3. როგორ ოთახს ირჩევს ქალბატონი?
4. რამდენხანს დარჩებიან სასტუმროში?
5. რა მომსახურებას სთავაზობს სასტუმრო მომხმარებლებს?

2.13. მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
სტუმრები სასტუმროში 4 დღით დარჩებიან		
ქალბატონს პასპორტი დაავიწყდა		
სასტუმროს 24–საათიანი მომსახურების ბარი აქვს		
ბარგს ოთახში სასტუმროს თანამშრომლები მიიტანენ		
ქალბატონს მყუდრო და ქალაქისხედიანი ოთახი სურს		
ქალბატონი თავის მეუღლესთან ერთადაა სასტუმროში		
სასტუმროში საუზმეს 7–დან 11 საათამდე მიირთმევთ		

2.14. რას დაარქმევდით დიალოგს?

_____

3.15. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ჩემი ოცნების სასტუმრო**

_____

_____

3.1. კითხვები გამოწვევისათვის:

1. თქვენ ალბათ არაერთხელ ყოფილხართ რესტორანში. იცით, რას ნიშნავს სიტყვა რესტორანი და საიდან მოდის იგი?
2. რა ტიპის რესტორანში ყოფილხართ?
3. როგორ ფიქრობთ, რა ტიპის რესტორნები არსებობს?

3.2. წაიკითხეთ ტექსტი:

რესტორნები და კვების ინდუსტრია

პირველი თანამედროვე რესტორნის ტიპის **დაწესებულება** XVI საუკუნის პარიზში გაიხსნა. ორი საუკუნის განმავლობაში იგი ერთადერთი ასეთი ტიპის დაწესებულება იყო საფრანგეთის დედაქალაქში. ამ დროისათვის დასავლეთ ევროპაში შემოდის **ეგზოტიკური** სასმელები ჩაი და ყავა. მომდევნო საუკუნეებში **ყავახანები** ევროპის დიდი ქალაქებისათვის საზოგადოების **თავშეყრის ადგილად** იქცა. სიტყვა „რესტორანი“ ფრანგული წარმოშობისაა და მისი დამკვიდრება ბულანჟეს უკავშირდება. მან XVIII საუკუნის პარიზის ერთ-ერთი უბანში გახსნილ **ტავერნაში** მომზადებულ **მთავარ კერძს** „რესტორანი“ დაარქვა.

რესტორნის **კონცეფცია** ყოველ საუკუნეში **იხვეწება** და **ვითარდება**. პირველი რესტორანი, რომელიც ფრანგულს არ **ბაძავდა** იყო „ოთხი სეზონი“ ამერიკაში 1959 წელს. მის შექმნელებს კარგად ესმოდათ, რომ რესტორანში ადამიანები მხოლოდ სადილისათვის კი არა, ურთიერთობისათვისაც დადიან. მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან ვრცელდება სწრაფი კვების რესტორნები.

რესტორნების საყოველთაო კლასიფიკაცია არ არსებობს. ექსპერტთა ნაწილი მას ორ დიდ კატეგორიად ყოფს: სრულსერვისიან და სპეციალიზებულ რესტორნებად. ასევე ყოფენ ნაციონალურ, ყოველდღიურ, საგანგებო შემთხვევისათვის განკუთნილ და სწრაფი მომსახურების რესტორნებად.

ნაციონალური სამზარეულოს რესტორნები ორიენტირებულია ადგილობრივ და ჩამოსულ სტუმრებზე. მათ მიერ შეთავაზებული კერძები ადგილობრივებისათვის ჩვეული და საყვარელია, ხოლო ჩამოსული სტუმრებისათვის ეგზოტიკური და საინტერესოა.

მაღალი კლასის ქართული რესტორანი „ტაბლა“ 2013 წელს შეიქმნა. განსაკუთრებული **ინტერიერი**, ქართული სამზარეულოს **ახლებური ხედვა** ტაბლას **ბრენდს** მიმზიდველს ხდის სტუმრებისათვის. რესტორანში მისულ სტუმრებს ღვინის შერჩევაში ეხმარება მოწვეული **სომელიე**. ქართული სუფრის **ტრადიციების აღდგენა** არის „ტაბლას“ ახალი კონცეფციის მთავარი იდეა.

3.3. უპასუხეთ კითხვებს ტექსტის მიხედვით:

1. როდის და სად გაიხსნა პირველი რესტორანი?
2. რას წარმოადგენდა ყავახანა დიდი ქალაქებისთვის?
3. როგორ გაჩნდა სიტყვა „რესტორანი“?
4. რა ტიპის რესტორანი იყო „ოთხი სეზონი“?
5. ახსენით, რას ნიშნავს სწრაფი კვების რესტორანი და რომელი იცით ასეთი?
6. რა ტიპის რესტორნები არსებობს?
7. რა მნიშვნელობა აქვს ნაციონალური ტიპის რესტორნებს?
8. როგორი რესტორანია „ტაბლა“?
9. ვინ არის სომელიე?
10. რა მიზანს ემსახურება რესტორან „ტაბლას“ მთავარი იდეა?

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
დაწესებულება ეგზოტიკური ყავახანა თავშეყრის ადგილი ტავერნა კერძი კონცეფცია ადგილობრივი ურთიერთობა ინტერიერი სომელიე მიმზიდველი მოწვეული	ორი საუკუნის განმავლობაში თანამედროვე ტიპის ეგზოტიკური სასმელები საზოგადოების თავშეყრის ადგილი მთავარი კერძი კარგად ესმოდათ სწრაფი კვების რესტორანი საყოველთაო კლასიფიკაცია ორიენტირებულია ... სტუმრებზე

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	მომავალი	წარსული	მომავალი + უნდა	თურმეობითი
გახსნა	იხსნება	გაიხსნება	გაიხსნა	უნდა გაიხსნას	გახსნილა
გადაქცევა	იქცევა	გადაიქცევა	(გადა)იქცა	უნდა (გადა)იქცეს	გადაქცეულა
დახვეწა	იხვეწება	დაიხვეწება	დაიხვეწა	უნდა დაიხვეწოს	დახვეწილა
განვითარება	ვითარდება	განვითარდება	განვითარდა	უნდა განვითარდეს	განვითარებულა
მიბაძვა	ბაძავს	მიბაძავს	მიბაძა	უნდა მიბაძოს მან	მიუბაძავს
გავრცელება	ვრცელდება	გავრცელდება	გავრცელდა	უნდა გავრცელდეს	გავრცელებულა
გაყოფა	ყოფს	გაყოფს	გაყო	უნდა გაყოს	გაუყვია

3.4. ისაუბრეთ:

სად შეიძლება გაიგოთ ნაციონალური სამზარეულოს შესახებ?

3.5. ჯგუფში ერთად ახსენით სიტყვების მნიშვნელობა. შემდეგ კი შეადგინეთ რამდენიმე წინადადება ახალი სიტყვების, ფრაზებისა და ზმნების გამოყენებით:

დაიმახსოვრეთ!

თქვენ უკვე იცით, რომ ქართულ ენაში რიცხვით სახელთან ერთად გამოყენებული ფორმა მხოლობითში დგას, რადგან სიმრავლის აზრს გამოხატავს რიცხვითი სახელი: ათი ადამიანი, ასი სტუდენტი. ასევეა სიმრავლის გამომხატველ სხვა სიტყვებთანაც: ბევრი წიგნი, მრავალი მასწავლებელი.

კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტიდან ამოღებული ფრაზები და დაუკვირდით, როგორ არის გამოყენებული სიტყვები მხოლობითის და მრავლობითის ფორმით:

1. მომდევნო საუკუნეებში ყავახანები ევროპის დიდი ქალაქებისათვის საზოგადოების თავშეყრის ადგილად იქცა.
2. მან XVIII საუკუნის პარიზის ერთ-ერთი უბანში გახსნილ ტავერნაში მომზადებულ მთავარ კერძს „რესტორანი“ დაარქვა.
3. რესტორნის კონცეფცია ყოველ საუკუნეში იხვეწება და ვითარდება.
4. მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან ვრცელდება სწრაფი კვების რესტორნები.
5. ექსპერტთა ნაწილი მას ორ დიდ კატეგორიად ყოფს:

3.6. იმუშავეთ ჯგუფებში და შეადგინეთ მოცემული ან მსგავსი ფორმების გამოყენებით რამდენიმე წინადადება:

3.7. წაიკითხეთ ცხრილში მოცემული ინფორმაცია და ისაუბრეთ:

- რა ტიპის რესტორნებია ამ სიაში?
- რომელია ქართული კერძების რესტორნები?
- რომელია სხვა ნაციონალური კერძების რესტორნები?
- რომელია სპეციალიზებული რესტორნები?
- რომელია სრულსერვისიანი რესტორნები?
- რომელი რესტორანი შეიძლება იყოს ყოველდღიური გამოყენებისათვის?
- რომელი რესტორანი შეიძლება იყოს გამოყენებული საგანგებო შეხვედრებისათვის?
- თქვენი აზრით, არის სიაში სწრაფი მომსახურების რესტორანი? რომელია ასეთი?

რესტორნები, ბარები და კაფეები თბილისში

ალავერდი	ქართული რესტორანი	აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი
ბისიენ ისპანია	ბარ-რესტორანი მეიდანზე	სამღებროს ქ. 6 (მეიდანი)
ბერმუხა	რესტორანი	თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.
დაუნთაუნ	ყავის რესტორანი	მარჯანიშვილის ქ. 5; მოსაშვილის ქ. 24; კოსტავას ქ. 47/57
იზი ვაინი	ღვინის ბარი	ბამბის რიგი №7
ოქროს კათხა	რესტორანი/ლუდსახარში	დიღომი, ბელიაშვილის 75
კალინა	სლავური რესტორანი	შ. დადიანის ქ. 18
კაშმირ	ინდური პაკისტანური არაბული რესტორანი	ნატო ვაჩნაძის №7
კერია	ქართული რესტორანი	მარჯვენა სანაპირო, ბელიაშვილის ქუჩა 79
კოლხეთი	ქართული რესტორანი	თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო
ლე მარე	ფრანგული რესტორანი	თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 32
მაკლარენსი	ირლანდიური პაბი	რკინის რიგი 5 (შარდენი)
მეგრული სახლი	რესტორანი	ვაკე, მოსაშვილის №13; ათონელის №31
მეფეთ უბანი	ქართული რესტორანი	ერეკლე II მოედანი №3
მეტროპოლი	რესტორანი კომპლექსი	მცხეთის შესასვლელი I კილომეტრი (ხიდის ქვეშ)
პიკასო	ჩინური რესტორანი	თბილისი, მიმინოშვილის ქ. 4
პრეგო	იტალიური სამზარეულო	ბარნოვის ქ. 84, მარჯანიშვილის ქ. 2, ერეკლე II ქ. 14
ქიზიყი	24 საათი	დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-9 კილომეტრი
სეიდაბადი	აღმოსავლური რესტორანი	გორგასლის ქ. 1 (მეიდანი)
სიანგანი	ჩინური რესტორანი	თბილისი, გამსახურდიას გამზ. 41 (გაგარინის მოედანი)
სირაჯხანა	ქართულ-სპარსული სამზარეულო	ვ. ორბელიანის 8/10
ტაბლა	ქართული რესტორანი	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 33
თბილისური მუხამბაზი	კლასიკური რესტორანი	დიღომი, ბელიაშვილის 75
ტიფლისო	ქართული რესტორანი	შარდენი,კოტე აფხაზის 44
წისქვილი	რესტორანი-მუზეუმი	თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო
ურმული	რესტორანი გურმანებისთვის	გურამიშვილის გამზ. 74 (გურამიშვილის მეტროს პირდაპირ)
უშბა	სვანური რესტორანი	დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-9 კილომეტრი
ვარშტაინერი	ლუდის რესტორანი	ს. ცინცაძის ქ. 12

3.8. დაიყავით ჯგუფებად და ისაუბრეთ:

თქვენ უკვე გაეცანით თბილისის რესტორნებისა და კაფეების მოკლე სიას. დამატებით შეგიძლიათ ინტერნეტშიც მოიძიოთ ინფორმაცია ასეთი დასახელებით: „**რესტორნები, ბარები და კაფეები თბილისში“** (შესაძლოა ძიება სხვა ქალაქების შესახებაც).

1. ახლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გყავთ სტუმრები, რომელ რესტორანს ურჩევდით მათ და რატომ?
2. დაწერეთ რამდენიმე სარეკლამო განცხადება სტუმრებისათვის.

3.9. წაიკითხეთ დიალოგი მეწყვილესთან ერთად და შემდეგ წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით:

— ტურისტი – რესტორნის თანამშრომელი
— მოგესალმებათ ქართული რესტორნების ქსელი „ტაბლა!“
— გამარჯობა, ტრადიციული ქართული კერძები გაქვთ მენიუში?
— რა თქმა უნდა, ქართული კერძების დიდი არჩევანია ჩვენთან და საუკეთესო ქართული ღვინოები. შეგვიძლია შემოგთავაზოთ ადგილზე მიტანის სერვისიც.
— ამჯერად ჩვენ გესტუმრებით...
— დაგიჯავშნოთ მაგიდა?
— დიახ, დღეს საღამოს ვივახშმებთ!
— რამდენი იქნებით?
— ოთხნი.
— რომელ ფილიალში მობრძანდებით?
— ჩვენი სასტუმრო ქალაქის ცენტრშია, თქვენი რომელს მირჩევთ?
— ვფიქრობ, ვაკის ფილიალი მოსახერხებელი იქნება თქვენთვის...
— კეთილი, მაშინ გეწვევით!
— გელით!

3.10. მოსმენილი ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ, რომელი ინფორმაციაა ტექსტში (+) და რომელი არა (–)?

ტექსტში მოცემულია ინფორმაცია ერთი რესტორნის მომავალი გეგმების შესახებ	
რესტორანი ერთი კერძის რეცეპტს გვთავაზობს.	
ტექსტი ტურისტული სეზონის მოახლოების გამო შეიქმნა.	
გაიმართა შეხვედრა ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან	
რესტორანი გადადის სხვა ადგილას და ტექსტიც ამის შესახებაა	
რესტორანს უნდა ითანამშრომლოს ტურისტულ სააგენტოებთან	

3.11. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს:

1. რომელი რესტორნის შესახებ არის საუბარი ტექსტში?
2. ვის უმასპინძლა რესტორანმა?
3. რა იყო ნაჩვენები შეხვედრაზე?
4. რა შეგიძლიათ თქვათ რესტორნის შესახებ? როგორი რესტორანია? რას სთავაზობს სტუმრებს?
5. როგორ ხარისხს გვთავაზობს რესტორანი?

ეს საინტერესოა!

3.12. წაიკითხეთ ტექსტი და თავად დაასათაურეთ:

Restaurant ფრანგული ზმნისაგან, restaurer-საგან მომდინარეობს. იგი აღდგენას, რესტავრირებას ნიშნავს. თუმცა, არსებობს ცნობები, რომ პირველი ,,რესტორატორები" ჩინელები იყვნენ და ტანის დინასტიის მმართველობის პერიოდში (618-906 წლებში) ჩინეთში უკვე არსებობდა რესტორნები. არსებობს ასევე ცნობები, რომ რესტორნის ტიპის დაწესებულებები ადრე ძალების აღდგენის დაწესებულებად ითვლებოდა, ხოლო ,,რესტორანი" ერთგვარ წვნიანს ერქვა, რომელიც ენერგიის წყაროდ ითვლებოდა. ასეთი ადგილები დასუსტებული, სუსტი ჯანმრთელობის პირებისთვის იყო მიჩნეული. სადაც ისინი მომჯობინდებოდნენ.

ძველ რომში, ქალაქ პომპეას ქუჩებში, რომელიც 79 წელს ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად ფერფლით დაიფარა, აღმოჩენილია „სასადილოების" კვალი, რომლებიც მომხმარებელს ცხელ საკვებს, სასმელს, პურს, ყველს, ფინიკს, კაკალს, ლეღვს და სხვა საკვებს დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში სთავაზობდა.

რესტორანი დასავლეთში პირველად 1765 წელს, პარიზში გამოჩნდა. მისი მეპატრონე ბატონი ბულანჟე იყო. გაურკვეველია ეს მისი გვარი იყო, თუ პროფესია, რადგან, ფრანგულად Boulanger — ხაბაზს, პურის მცხობელს ნიშნავს. ბულანჟე მზა კერძებით ვაჭრობდა. იგი კლიენტებს წვნიანების მენიუს სთავაზობდა. რესტორნები ძირითადად ჩამოსული სტუმრებისათვის იყო გათვლილი. ადგილობრივები იქ იშვიათად შედიოდნენ. ქალებისთვის კი, რესტორანში შესვლა, უბრალოდ უხერხული იყო. ბულანჟემ თავის სავაჭრო ადგილს მალე გაუკეთა წარწერა **,,რესტორანი,, (restaurant).** მომსახურების სტილი შემდეგნაირი იყო: მაგიდები ინდივიდუალურად იყო დალაგებული. კლიენტი შეთავაზებული მენიუდან თავად ირჩევდა სასურველ კერძს და თავის თავს თვითონ ემსახურებოდა. ეს წესი დიდხანს იყო, მაგრამ მეპატრონე მიხვდა, რომ ასე ხარჯების გაკონტროლებას ვერ შეძლებდნენ და ამიტომ კლიენტს უკვე თვითონ ემსახურებოდნენ და ულუფებსაც თავად ანაწილებდნენ.

რაც შეეხება საქართველოს, რესტორნის წინამორბედად აქ დუქნები, ყავახანები და ქარვასლები მოიაზრება. ქარვასლა სპარსული სიტყვაა და გზისპირა სასტუმროს ნიშნავს. ქარვასლები ვაჭართა და ხელოსანთა სასტუმროს ფუნქციასაც ასრულებდა; ყველა ქარვასლა ერთი ტიპის იყო, მისთვის დამახასიათებელია შიდა ეზო და ეზოსკენ მიმართული ხის ან რკინის აივნები, რომლებიც ნაგებობას გარს უვლის. შემორჩენილ ქარვასლათა შორის უძველესია ქარვასლა სიონის ქ.ის № 8, სიონის საკათედრო ტაძრის გვერდით. იგი XIX ს-ის I ნახევარშია აშენებული ძველი, XVII ს-ის, როსტომ მეფის მიერ აგებული ქარვასლის საძირკველზე.

3.13. მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტში უძველესი რესტორნების შესახებ:

3.14. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **საუკეთესო რესტორანი**

_____

_____

შემაჯამებელი თავი I

1. **წაიკითხეთ ტექსტები:**

3000 წლის წინ ეგვიპტელები მდინარე ნილოსზე გემებით მოგზაურობდნენ. ნავებით გადაჰქონდათ პირამიდის ასაშენებლად საჭირო ქვის ლოდები. ძველი ხალხებისათვის გადაადგილების ერთ-ერთი მთავარი საშუალება მდინარე იყო. მოგვიანებით, მოგზაურობისათვის ფართოდ გამოიყენებოდა ზღვა და საზღვაო გზები. ამ მოგზაურობის მიზანი ძირითადად სავაჭრო საქმიანობა იყო. შუა საუკუნეებში კი მოგზაურობის მთავარი მოტივი რელიგია იყო. მუსულმანი პილიგრიმები მექაში მიდიოდნენ სალოცავად, ხოლო ქრისტიანები იერუსალიმსა და რომში.

რკინიგზამ დიდი როლი შეასრულა ქვეყნებს შორის კომუნიკაციაში. სარკინიგზო ხაზის გაყვანამდე ადამიანები ცხენებითა და ეტლებით გადაადგილდებოდნენ. მატარებლის გამოჩენამდე სახმელეთო გადაადგილება დამღლელი და მომაბეზრებელი იყო. პირველი რკინიგზა 1825 წელს დიდ ბრიტანეთში ამოქმედდა. რკინიგზის სადგურებთან გაჩნდა სასტუმროები და ღამის გასათევი ადგილები. სარკინიგზო მაგისტრალი მსოფლიო მასშტაბით, დღემდე ფართოვდება და ვითარდება. მატარებლით მგზავრობა უფრო ხანმოკლე და კომფორტული ხდება. პირველი მატარებლის შემადგენლობას მალევე დაემატა საძილე ვაგონები და ვაგონ-რესტორნები. თანამდროვე სწრაფი მატარებელი გადაადგილების საუკეთესო საშუალებაა. ავტომობილების გამოჩენა და მოგვიანებით საჰაერო ტრანსპორტი რკინიგზისათვის გამოწვევად იქცა. ამის მიუხედავად სარკინიგზო ტრანსპორტი გადაადგილების შეუცვლელ და საიმედო საშუალებად რჩება.

ორთქლის ძრავის გამოგონებას მოჰყვა ავტომობილის შექმნა. ავტომობილების სერიული წარმოება 1891 წლიდან იწყება. საავტომობილო ინდუსტრიის ზრდა და მოსახლეობის ახალი ფინანსური შესაძლებლობები ავტომობილების მფლობელთა რაოდენობას აფართოებს. ეს კი ტურიზმსა და მოგზაურობას უწყობს ხელს. საავტომობილო გზებზე მილიონობით სასტუმრო, მოტელი და კვების ობიექტები გაჩნდა. ავტომობილი მსოფლიო მასებისათვის ხელმისაწვდომი გახადა.

1909 წელს პირველმა საჰაერო აპარატმა ინგლისის არხი გადაკვეთა. უკვე 1919 წლიდან კი პარიზსა და ლონდონს შორის რეგულარული საჰაერო რეისები დაწესდა. საერთაშორისო საფრენი გზები და მომსახურებები ჩიკაგოს 1944 წლის კონფერენციაზე განსაზღვრეს. პირველი „ბოინგი“ 1954 წელს აფრინდა. საჰაერო მგზავრობამ საგრძნობლად შეამცირა ტრანსპორტირების ხარჯები და მსოფლიო კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადა. ბუნებრივია, სწრაფი გადაადგილების ამ შესაძლებლობამ ხელი შეუწყო ტურიზმს და გაზარდა ტურისტული ადგილების რიცხვი.

2. **შეარჩიეთ ტექსტებისათვის სათაურები. თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ:**

1. საჰაერო ტრანსპორტის სახეები
2. რატომ მოგზაურობენ ადამიანები
3. მოგზაურობის ფორმები
4. უძველესი სახმელეთო ტრანსპორტი

3. მიუთითეთ, მოცემული ინფორმაცია სწორი, არასწორი თუ არაა ტექსტში მოცემული:

ინფორმაცია	სწორი	არასწორი	არაა მოცემული
უძველესი ადამიანები გადასაადგილებლად მდინარეებს იყენებდნენ			
მოგზაურობის მიზანი ყოველთვის რელიგიური მოტივი იყო			
თანამედროვე მატარებელი ტრანსპორტირების უსაფრთხო საშუალებად ითვლება			
ავტომობილების მომრავლებამ ტურიზმსა და მოგზაურობას შეიწყო ხელი			
პარიზსა და ლონდონს შორის რეგულარული ხელმისაწვდომი საჰაერო რეისები დაწესდა			
ვაგონ რესტორანში მრავალფეროვან მენიუს სთავაზობენ.			

4. მოისმინეთ ტექსტი და დაასრულეთ წინადადებები:

ექსტრემალური ტურიზმი მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია. ექსტრემალური ტურიზმის სახეობებია: ჯომარდობა, ველოტურები, ჯირითი, სათხილამურო ტურიზმი, პარაპლანით ფრენა, დაივინგი, სპელეოტური (მღვიმეების დალაშქვრა) და ა.შ.
ექსტრემალური ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით საქართველო საინტერესო და ––––––

გამომდინარე, თუ ქვეყნის პრიორიტეტს ტურიზმის განვითარება წარმოადგენს, მაშინ სახელმწიფომ აღნიშნულ სეგმენტს ---------- .

5. **დაალაგეთ დიალოგი ლოგიკური თანამიმდევრობით:**

ა. – საიდან მიფრინავ? ქუთაისიდან ხომ არა? პირდაპირი ფრენაა რომში...
ბ. – რა თქმა უნდა, სიამოვნებით. საით აპირებ?
გ. – მატარებელი მეც მიყვარს, თან ევროპაში ძალიან სასიამოვნო მატარებლებია, გამიგია! ვენეციაში რა ტრანსპორტია?
დ. – ამ არდადეგებზე ევროტურის დაგეგმვა მინდა ოჯახთან ერთად და ხომ ვერ დამეხმარები? შენ ხშირად დადიხარ ევროპაში და მეტი იცი!
ე. – კი, ქუთაისიდან... თან საკმაოდ იაფია. რომიდან მილანი კი სულ 25 ევრო ღირს, წარმოგიდგენია?
ვ. – ოო, ბარსელონა.... საოცარი ტური იქნება! რომ მეცალოს, სიამოვნებით შემოგიერთდებოდი!
ზ. – იტალია, რომი, მილანი, ვენეცია... ძალიან მინდა ბარსელონაში წაასვლა, ჩემი ოცნებაა.
თ. – ვენეციაში იქაური ნავებით, გონდოლებით გადაადგილდებიან, საოცარი გრძნობაა ქუჩაში ნავები!
ი. – რომიდან გემით ვფიქრობთ ბარსელონაში წასვლას...
კ. შიდა ფრენები ყოველთვის შედარებით იაფია... ვენეციაში მატარებლით გირჩევ ჩასვლას. ცოტა ძვირია, მაგრამ უსაფრთხო და კომფორტული.
ლ. – ოცდამეერთე საუკუნეში გადაადგილება რა პრობლემა, ხალხი კოსმოსში მიფრინავს!
მ. – მართლაც კარგი იქნებოდა... იმედია, გადაადგილებაში პრობლემები არ შეგვექმნება, ცოტა მეშინია.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
დ											

6. **დავალება: დიალოგის შინაარსი გადმოეცით (ზეპირად ან წერილობით) ამბის სახით (მესამე პირში):**

7. **გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები (ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა):**

ექსტრემალური	ინფრასტრუქტურა	მოთხოვნადი	გეოგრაფიული	განვითარება

1. ზაფხულის სეზონზე ყველაზე ---------- პროდუქტის ათეულში მოწინავე ადგილს იკავებს წყალი და ნაყინი.
2. საქართველოს აქვს ---------- ტურიზმის განვითარების პოტენციალი.
3. ტურიზმის ---------- თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრადიციულ არქიტექტურას და ისტორიულ–კულტურულ მემკვიდრეობას.
4. საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად ---------- გარემო მიიჩნევა.
5. ტურიზმის წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი ---------- მოწყობა.

8. ჩასვით ჩარჩოში მოცემული სიტყვები შესაბამისი ფორმით:

საჰაერო ხომალდი	სერტიფიცირებული	პირდაპირი	ხანგრძლივობა	წარმატებული
ხელის შეწყობა	უსაფრთხო	ღირსშესანიშნაობები	ტურიზმი	რეგულარული რეისი

აეროპორტის გახსნამ და სვანეთში ---------- ფრენის დაწყებამ ბევრად გაუადვილა ტურისტებსა და საქართველოს მოქალაქეებს უმოკლეს დროში სვანეთის მონახულება, მისი ისტორიული ---------- დათვალიერება, გართობა და დასვენება.
თბილისიდან მესტიის მიმართულებით ---------- სამშაბათისა და ხუთშაბათის გარდა ყოველდღიურად სრულდება, შაბათ–კვირას კი დღეში ორჯერ. რეისებს კანადური კომპანია ასრულებს და ფრენის ---------- 7–8 საათის ნაცვლად დაახლოებით ერთი საათი იქნება. ბილეთის ფასი ერთი გზა 75 ლარია, ორ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის კი უფასოა. ---------- , რომელიც იფრენს მესტიაში, არის ---------- , რასაც ასევე მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი ---------- ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ.
აეროპორტი ---------- პროექტია, რომელმაც რეგიონში ----------გან ვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას ----------.

9. დააკავშირეთ სიტყვები ფოტოებთან (გაითვალისწინეთ, რომ ორი სიტყვა ზედმეტია):

ეგვიპტელები ნილოსზე	ეტლით მგზავრობა	პირველი ორთქლის მატარებელი	
ავტომობილის წინაპარი	პირველი თვითმფრინავი	პილიგრიმები	



---

10. **მიუწერეთ ფოტოებს სახელწოდებები. შემდეგ კი ისაუბრეთ, ექსტრემალური ტურიზმის რომელი სახეობა მოგწონთ და რატომ. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ რამდენიმე წინადადებით:**

ჯომარდობა პარაპლანით ფრენა ჯირითი დაივინგი ველოტური სპელეოტური

_____ _____ _____

_____ _____ _____

11. **მიუწერეთ სიტყვებს სინონიმები, ანტონიმები; ან ახსენით სიტყვის მნიშვნელობა:**

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
დამღლელი, მოსაწყენი	მოსაბეზრებელი	საინტერესო
	ფართოვდება	
	ხანმოკლე	
	კომფორტული	
	სწრაფი	
	მნიშვნელოვანი	
	წარმატება	
	დამატება	
	შესაბამისი	
	ცნობილი	
	ბევრი	

12. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან, შემდეგ ჩასვით ისინი წინადადებებში: (ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა)

მოგზაურობის	ობიექტი
საიმედო	მაგისტრალი
სავაჭრო	ხარჯები
სარკინიგზო	საშუალება
საძილე	გახდა
ფინანსური	რეისი
კვების	**მიზანი**
რეგულარული	შესაძლებლობა
ტრანსპორტირების	ვაგონი
ხელმისაწვდომი	საქმიანობა

1. მოგზაურობა ---------- მას შემდეგ, რაც ავტომობილების წარმოება განვითარდა.
2. გადაცემა ,,სახალხო კონტროლმა“ რამდენიმე ---------- სამზარეულო და პროდუქტები დაათვალიერა.
3. ტრანსპორტის სახეობებს შორის სარკინიგზო ტრანსპორტი მაინც რჩება ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო, ---------- .
4. ---------- არის რკინიგზის ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს მთავარ არტერიას ქვეყნის სარკინიგზო სისტემაში.
5. ,,ვიზ ეარის“ საერთაშორისო ფრენებს ახალი პირდაპირი მიმართულების ---------- ---------- დაემატა - „თბილისი-ლონდონი-თბილისი”
6. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია ---------- სამ კატეგორიად ყოფს: 1. დასვენება, რეკრეაცია და არდადეგების გატარება.
7. საინტერესო და ეგზოტიკური მოგზაურობა დამოკიდებულია ადამიანის ---------- ---------- .
8. ---------- მოიცავს საქონლისა და მომსახურების გაყიდვასა და გაყიდვის ხელშეწყობას.
9. სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტებს ---------- ---------- დაუფინანსდა.
10. დღეს მსოფლიოში 5 საათიან გზებზე თანამედროვე ჩქაროსნულ მატარებლებს იყენებენ, რომლებშიც ---------- საჭირო არაა .

13. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ექსტრემალური ტურიზმი**

_____

_____

_____

IV თავი ტურიზმი საქართველოში

I ნაწილი საქართველოს კურორტები

1.1. კითხვები გამოწვევისათვის:

როგორ ადგილს ვუწოდებთ კურორტს?
რა იცით საქართველოს კურორტების შესახებ?
რომელ კურორტზე ყოფილხარ, როგორია თქვენი გამოცდილება?
როგორია, თქვენი აზრით, საუკეთესო კურორტი?

1.2. წაიკითხეთ ტექსტი:

ტურიზმის **ბიზნესი** საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდება. ტურიზმის **მაჩვენებლები** ყოველწლიურად იმატებს. საქართველოს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. ჩვენი ქვეყანა მიმზიდველია თავისი მდებარეობით, მდიდარი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებითა და ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობებით. აქ სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს.

დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს 102 კურორტი, დაახლოებით 320 ადგილს კი კარგი საკურორტე პოტენციალი აქვს. აღრიცხული და შესწავლილია 2000-ზე მეტი სამკურნალო და **მინერალური** წყალი. საქართველოს კურორტები სხვადასხვა **კლიმატურ ზონაში** მდებარეობს. საზღვაო კურორტები გვხვდება აფხაზეთში, აჭარასა და გურიაში.

ზღვის დონიდან 700 მეტრის სიმაღლემდეა **ბალნეოლოგიური** კურორტები - წყალტუბო, ნაბეღლავი, ზვარე, ნუნისი და სხვა. 700-1000 მეტრ სიმაღლეზე გვხვდება ისეთი ცნობილი კურორტები, როგორებიცაა: ბორჯომი, საირმე, უწერა და სურამი. 1000-1500 მეტრ სიმაღლეზეა სამთო კურორტები - აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, მანგლისი და სხვა. მაღალმთიანი კურორტები - ბაკურიანი, გუდაური, შოვი, ლებარდე, ბახმარო და სხვა ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მაღლა მდებარეობს.

ბახმარო საქართველოს ყველაზე **მაღალმთიანი** კურორტია. ის ჩოხატაურის რაიონში, ზღვის დონიდან 1810-2050 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ბახმაროს ტერიტორია **გარშემორტყმულია** ნაძვისა და სოჭის **მარადმწვანე** ტყით.

ბახმაროს მთის კლიმატი **მატონიზირებელ** და **გამაკაჟებელ** ეფექტს ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, **ამშვიდებს** ნერვულ სისტემას და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. განსაკუთრებით უხდება ფილტვებისა და გულის ქრონიკულ დაავადებებს.

კურორტ ბახმაროს აღმოჩენა **ტუბერკულოზისგან განკურნების** ისტორიას უკავშირდება. XIX საუკუნის ბოლომდე ბახმარო **საძოვრებით** ყოფილა განთქმული. სწორედ მწყემსებს აღმოუჩენიათ აქაური ჰავის უნიკალური **სამკურნალო** თვისებები. ტუბერკულოზით დაავადებული ვინმე ქარცივაძე ბახმაროს საძოვრებზე **წაჰყოლია** მწყემსებს, ორი თვის შემდეგ კი შინ **ჯანმრთელი** დაბრუნებულა. ჭლექისგან მოულოდნელმა განკურნებამ კურორტს სწრაფად **გაუთქვა სახელი.**

1.3. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რით იზიდავს საქართველო სტუმრებს?
2. საქართველოს რომელ რეგიონში გვხვდება საზღვაო კურორტები?
3. რომელი ცნობილი სამთო კურორტებია საქართველოში?
4. რა ისტორია უკავშირდება კურორტ ბახმაროს აღმოჩენას?

1.4. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
საქართველოში აღმოჩენილი და შესწავლილია 2000-ზე მეტი სამკურნალო და მინერალური წყალი		
ბახმაროს უნიკალური სამკურნალო თვისებები პირველად მწყემსებმა შენიშნეს		
ბახმარო გარშემორტყმულია ფოთლოვანი ტყით		
კურორტი წყალტუბო ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს		
დღეს საქართველოში მოქმედებს 320-ზე მეტი კურორტი		
ბახმარო საქართველოში ყველაზე მაღალმთიანი კურორტია		

1.5. მიუწერეთ შესაბამისი სიტყვები:



ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
მაჩვენებელი მდებარეობა გაკაჟება დაახლოებით გარშემორტყმული მარადმწვანე საძოვარი	ტურიზმის მაჩვენებლები ტურისტული პოტენციალი კლიმატურ ზონაში მატონიზირებელ ეფექტი ნერვული სისტემა ზღვის დონიდან ავადმყოფობისაგან განკურნება სახელი გაუთქვა

დაიმახსოვრეთ!

სიტყვათწარმოება
შესწავლა–შესწავლილი (ის, რაც შეისწავლეს, შესწავლილია) დამშვიდება – დამშვიდებული (ის, ვინც დაამშვიდეს, უკვე მშვიდადაა) წარმოდგენა–წარმოდგენილი (ის, რაც წარმოადგინეს, წარმოდგენილია) გაუმჯობესება–გაუმჯობესებული (ის, რაც გააუმჯობესეს, გაუმჯობესებულია) განკურნება–განკურნებული აღმოჩენა– აღმოჩენილი დაბრუნება–დაბრუნებული განვითარება–განვითარებული დაკავშირება–დაკავშირებული აღრიცხვა–აღრიცხული

1.6. წაიკითხეთ წინადადებები და შეარჩიეთ სწორი ფორმა:

ნიმუში: ძალიან საინტერესოა ძველი ისტორიული დოკუმენტების <u>შესწავლა</u>/შესწავლილი.

1. დიმიტრის უკვე შესწავლა/შესწავლილი აქვს ყველა საინტერესო საბუთი.
2. ეს ადგილი ამშვიდებს /დამშვიდებული ნერვულ სისტემას.
3. დრო ბევრი ჰქონდა და დამშვიდება/დამშვიდებული დათოც აღარ ჩქარობდა.
4. ავადმყოფის გაუმჯობესება/გაუმჯობესებული მდგომარეობა გვამშვიდებს.
5. ამ საქმეს გაუმჯობესება/გაუმჯობესებული მალე უნდა დაეტყოს.
6. გვიან დაბრუნებული/დაბრუნდა მასპინძელი ძალიან შეწუხდა.
7. სტუმარმა ბოდიში მოიხადა, რადგან გვიან დაბრუნდა/დაბრუნებული
8. ახალმა აღმოჩენამ/ აღმოჩენილმა შესაძლოა მსოფლიო შეცვალოს
9. აღმოჩენამ/აღმოჩენილმა მედიკამენტმა ბევრი ადამიანი განკურნა.

დააკვირდით!

ტექსტის ბოლო აბზაცში არის ზმნები: **ყოფილა, აღმოუჩენიათ, წაჰყოლია, დაბრუნებულა** (ყველა ამ ზმნას შეიძლება დაემატოს **თურმე**)
ზმნების შინაარსს, წარსულის როგორ მოქმედებას გამოხატავს – ნანახს თუ უნახავს?

წარსული	წარსული უნახავი
იყო ის	ყოფილა ის
აღმოაჩინეს მათ ის	აღმოუჩენიათ მათ ის
წაჰყვა ის მას	წაჰყოლია ის მას
დაბრუნდა ის	დაბრუნებულა ის

1.7. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებებთან:

1. **ბალნეოლოგიური**
2. რეკრეაცია
3. საძოვარი
4. დაავადებული
5. დამსვენებელი
6. გაკაჟება
7. მარადმწვანე
8. ქრონიკული დაავადება
9. სახელის გათქმა

ა. მაგარს გახდის, ფიზიკურად გამოწრთობს
ბ. მინდორი, სადაც საქონელს აბალახებენ
გ. **კურორტი, სადაც წყლითა და ტალახით მკურნალობენ**
დ. აღდგენა, დასვენება
ე. ყოველთვის მწვანე
ვ. ავადმყოფობა, რომელიც პერიოდულად მწვავდება
ზ. პოპულარობის მოპოვება
თ. ის, ვინც ავად არის
ი. ის, ვინც ისვენებს (მაგ., კურორტზე, ზღვაზე..)

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი
განვითარება	განვითარდა ის	ვითარდება ის	განვითარდება ის
მომატება	მოიმატა მან	იმატებს ის	მოიმატებს ის
შეხვედრა	შეხვდა ის მას	ხვდება ის მას	შეხვდება ის მას
დამშვიდება	დაამშვიდა მან ის	ამშვიდებს ის მას	დაამშვიდებს ის მას
გაუმჯობესება	გააუმჯობესა მან ის	აუმჯობესებს ის მას	გააუმჯობესებს ის მას
მოხდენა	მოუხდა ის მას	უხდება ის მას	მოუხდება ის მას
დაბრუნება	დაბრუნდა ის	ბრუნდება ის	დაბრუნდება ის
განკურნება	განკურნა მან ის	კურნავს ის მას	განკურნავს ის მას

1.8. იმუშავეთ წყვილებში. შეადგინეთ მინიდიალოგი აღნიშნული ზმნების გამოყენებით:

დააკვირდით!

ყურადღება მიაქციეთ კონსტრუქციას ....+გან განკურნება, გათავისუფლება
ბახმაროს აღმოჩენა ტუბერკულოზისგან განკურნების ისტორიას უკავშირდება.
მალე ვანო თავისი ვალდებულებებისაგან გათავისუფლდა.

წაიკითხეთ ნიმუში და შეადგინეთ (ზეპირად ან წერილობით) რამდენიმე წინადადება უხდება ზმნის შინაარსის გათვალისიწინებით:
ანას ახალი ლურჯი კაბა ძალიან უხდება (ალამაზებს).
ბახმარო ფილტვების დაავადებებს უხდება (სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის).

სინონიმები	
სწრაფი–ჩქარი	ფუნქციონირებს–მოქმედებს
იმატებს– იზრდება	პოტენციალი–შესაძლებლობა
მდიდარი–შეძლებული	აღრიცხვა–აღნუსხვა/დათვლა
შესწავლა–კვლევა	ცნობილი–განთქმული
დაავადებული–ავადმყოფი	მოულოდნელი–უეცარი
განკურნება–გამოჯანმრთელება	ჭლექი–ტუბერკულოზი

1.9. წაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და მონიშნეთ მოცემული სინონიმებიდან რომელი გხვდებათ:

ანტონიმები	
სწრაფად–ნელა	დიდი–პატარა
იმატებს–იკლებს	მდიდარი–ღარიბი
ცნობილი–უცნობი	დაავადებული–ჯანმრთელი
მოულოდნელი–მოსალოდნელი	გამოჯანმრთელდა– დაავადდა
აუმჯობესებს– აუარესებს	გაუმჯობესება–გაუარესება

დაიმახსოვრეთ!

ცნობილია (ცნობილი არის) +ით
საქართველო ცნობილია თავისი სამთო და საზღვაო კურორტებით.
საქართველო მდიდარია მინერალური წყლებით.

1.10. შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ცნობილია პოპულარულია განთქმულია მიმზიდველია

1.11. იმსჯელეთ წყვილებში ან ჯგუფში:

რომელი ბალნეოლოგიური კურორტი შეიძლება ვურჩიოთ ადამიანებს სამკურნალო მიზნით.

1.12. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ვინ არიან დიალოგის მონაწილეები?
2. სადაა სონა?
3. რომელ საგანში აქვს გამოცდა სონას?
4. რა ჰქვია სონას დედას?
5. რა აწუხებს სონას დედას?
6. რომელი კურორტი ურჩია ლიკამ სონას დედას?

1.13. მოსმენილი დიალოგის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
ლიკას სონა სახლში არ დახვდა		
სონა გამოცდაზეა		
სონას დედას წნევა და სახსრები აწუხებს		
ლიკამ სონას დედას ბალნეოლოგიურ კურორტზე წასვლა შესთავაზა		
ახტალის მინერალური წყალი საოცარი სამკურნალო საშუალებაა		
კურორტი ახტალა კახეთშია		
სონას დედა დამოუკიდებლად მოიძიებს ინფორმაციას ახტალის შესახებ		
კურორტი ახტალა თბილისიდან 120 კილომეტრში მდებარეობს		

1.14. რას დაარქმევდით დიალოგს?

_____

1.15. მოამზადეთ პრეზენტაცია:

მოიძიეთ ინფორმაცია რომელიმე სამკურნალო მინერალური წყლის ან კურორტის შესახებ და წარმოდგინეთ პრეზენტაციის სახით.

1.16. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **სამთო კურორტები საქართველოში**

_____

_____

II ნაწილი საქართველოს დაცული ტერიტორიები

2.1. კითხვები გამოწვევისათვის:

როგორ ადგილს შეიძლება ვუწოდოთ დაცული ტერიტორია?
თქვენი აზრით, რისთვისაა საჭირო დაცული ტერიტორიები?
რა იცით საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ?
რა უნდა გავითვალისწინოთ დაცული ტერიტორიების დათვალიერების დროს?

2.2. წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველოს დაცული ტერიტორიები

ტურისტების განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოს უნიკალური ბუნება, კლიმატი და განსხვავებული **ლანდშაფტი** იწვევს.

საქართველოში **დაცული ტერიტორიების** დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დაცული ტერიტორია, ლაგოდეხის სახელმწიფო **ნაკრძალი**, 1912 წელს შეიქმნა. დღეისათვის დაცული ტერიტორიებს შეადგენს: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 19 **აღკვეთილი**, 41 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტი.

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, კახეთში მდებარეობს ულამაზესი მხარე ქიზიყი. ქიზიყის ბუნების მთვარ საოცრებასა და **საგანძურს** ვაშლოვანის ნაკრძალი წარმოადგენს. ვაშლოვანის **ნაკრძალი** მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში და **მოქცეულია** კახეთის ორ მთავარ მდინარეს, იორსა და ალაზანს შორის. აქ **უიშვიათესი საკმლის ხეები** ბუნებრივად 15–20 მეტრითაა ერთმანეთისგან დაშორებული. ხეების ამგვარი **განლაგებ**ა და ფორმა ვაშლის ბაღს მოგვაგონებს და შესაძლოა, ამიტომაც ჰქვია ამ ადგილს ვაშლოვანი. ეს ტერიტორია ნაკრძალად 1935 წელს **გამოცხადდა.**

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე გვხვდება ისტორიული ძეგლებიც– ხორნაბუჯის ციხე–ქალაქი და შავი მთის სამონასტრო კომპლექსი. ნაკრძალში ტურისტული **მარშრუტები** ისეა **დაგეგმილი**, რომ ბუნების საოცრებებთან ერთად ისტორიულ–კულტურულ ძეგლებსაც იხილავთ.

დედოფლისწყაროში ჩამოსულ დამთვალიერებლებს ეროვნული პარკის ადმინისტრაცია სთავაზობს რამდენიმე მარშრუტს: **სამანქანოს**, **საფეხმავლოს**, **საცხენოსნოსა** და **საჯომარდოს**. მარშრუტები ისეა შედგენილი, რომ ნაკრძალის ეკოსისტემა არ დაზიანდეს. მკაცრი დაცვის ზონებში ჩვეულებრივი დამთვალიერებელი ვერ აღწევს. აქ მხოლოდ **სამეცნიერო ექსპედიციები** ან სასწავლო მიზნით საუნივერსიტეტო ან სასკოლო **კვლევები** ეწყობა.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებში შედის ბუნების **სასწაული**, ტახტი თეფა. ესაა **ტალახოვანი ვულკანი**, რომელიც გამუდმებით **ფეთქავს.** სხვადასხვა **კრატერიდან** სამკურნალო ტალახი და გაზი ამოდის.

ნაკრძალში **ბუნების ძეგლის** სტატუსი აქვს **მინიჭებული** არწივის ხეობას. აქედან იწყება პირველი საფეხმავლო ბილიკი არწივის ხეობაში. არწივის ხეობის მიმავალ გზაზე შენიშნავთ **კანიონის** ულამაზეს

შესასვლელს. არწივის ხეობიდან ალაზნის ველისა და კავკასიონის ულამაზესი **ხედი იშლება**. ეს ვიწრო და ღრმა კანიონი იდეალური ადგილია ჩიტების დასათვალიერებლად. **ფრინველებზე დაკვირვება**, დღევანდელ სამყაროში, ტურიზმის ერთ–ერთი ყველაზე ძვირადღირებული და პოპულარული დარგია.

2.3. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რომელი დაცული ტერიტორია დაარსდა საქართველოში პირველად?
2. სად მდებარეობს ქიზიყი?
3. რომელ მდინარეებს შორისაა მოქცეული ვაშლოვანის ნაკრძალი?
4. რატომ ჰქვია ნაკრძალს ვაშლოვანის ნაკრძალი?
5. რის ნახვა შეგვიძლია დამატებით ვაშლოვანის ნაკრძალის ტერიტორიაზე?
6. რა მომსახურებას სთავაზობს ადმინისტრაცია დედოფლისწყაროში ჩამოსულ სტუმრებს?

2.4. ტექსტის შინაარსის მიხედვით აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
მკაცრი დაცვის ზონებში მხოლოდ სამეცნიერო ექსპედიციები ან კვლევები ეწყობა		
ვაშლოვანის ნაკრძალი მდებარეობს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში		
ხორნაბუჯის ციხის ნახვა ვაშლოვანის ტერიტორიაზეა შესაძლებელი		
არწივის ხეობა მშვენიერი ადგილია ფრინველებზე დასაკვირვებლად		
ტახტი თეფა ცნობილია მინერალური წყლებით		
ტალახოვანი ვულკანის კრატერებიდან სამკურნალო ტალახი და გაზი ამოდის		

2.5. მიუწერეთ ფოტოებს შესაბამისი სახელწოდებები:

ტახტი ტეფას ტალახის ვულკანი ბილიკი საკმლის ხე კრატერი ფრინველებზე დაკვირვება კანიონი

_____ _____ _____



_____ _____ _____



ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
ნაკრძალი აღკვეთილი განლაგება საოცრება საგანძური სასწაული კრატერი ბილიკი ხეობა საკმლის ხე ჯომარდობა ფეთქავს	დაცული ტერიტორიები ბუნების ძეგლის სტატუსი ტურისტული მარშრუტი სამეცნიერო ექსპედიცია საუნივერსიტეტო კვლევები ტალახოვანი ვულკანი სამკურნალო ტალახი ხედი იშლება ინტერესის გამოწვევა ფრინველებზე დაკვირვება

დაიმახსოვრეთ!

სიტყვათწარმოება
მოქცევა–მოქცეული დაშორება –დაშორებული დაგეგმვა–დაგეგმილი დაზიანება –დაზიანებული მინიჭება–მინიჭებული დაარსება–დაარსებული იშლება–გაშლილი შეთავაზება–შეთავაზებული ჩატარება–ჩატარებული გამოწვევა–გამოწვეული

2.6. წაიკითხეთ წინადადებები და შეარჩიეთ სწორი ფორმა:

1. ეს დაზიანებები ძლიერი წვიმისაგანაა გამოწვევა/გამოწვეული.
2. დაზიანება/დაზიანებული ტექნიკა შესაკეთებლად წაიღეს.
3. ხელის დაზიანების/დაზიანებულის გამო ბავშვს წერა არ შეუძლია.
4. კონცერტის ჩატარება/ჩატარებული მართლაც კარგი იდეა იყო.
5. ჩატარებული/ჩატარება ღონისძიება ყველას მოეწონა.
6. ამინდის გამო ტურის დაგეგმვა/დაგეგმილი გართულდა.
7. დაგეგმვა/დაგეგმილი ტური კვირას ჩატარდება.
8. ფასდაკლების შეთავაზება/შეთავაზებული მოქმედებს კვირამდე

2.7. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებებთან:

1. ხეობა	ა. ექსტემალური გართობა დაშვება გასაბერი ნავით მთის მდინარეებზე.
2. ბილიკი	**ბ. ადგილი მთებს შუა, მდინარის გასწვრივ**
3. ჯომარდობა	გ. ვიწრო გზა, სიარულისაგან გაჩენილი
4. ლანდშაფტი	დ. განძი, სიმდიდრე
5. საგანძური	ე. ის, რაც საოცარია, საკვირველია
6.ნაკრძალი	ვ. ბუნების დაცული ზონა
7. აღკვეთილი	ზ. რაიმე ადგილის (ტყის, მთის, ქალაქის) საერთო ხედი,პეიზაჟი
8. საოცრება	თ. სპეციალური ადგილი იშვიათი მცენარეებისა და ცხოველების მოსაშენებლად და დასაცავად

დაიმახსოვრეთ!

მიზნის გამოხატვა: საწყისი +ად
ტბებზე ხშირად დადიან ჩიტების დასათვალიერებლად.
მომავალ წელს საზღვარგარეთ მივდივარ სასწავლებლად.

2.8. შეადგინეთ რამდენიმე წინადადება მომავალი მიზნების გამოსახატავად, გამოიყენეთ კონსტრუქცია: საწყისი+ად

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი	თურმეობითი
დაარსება	დააარსა	აარსებს	დააარსებს	დაუარსებია
მოგონება	მოაგონა	აგონებს	მოაგონებს	მოუგონებია
გამოცხადება	გამოაცხადა	აცხადებს	გამოაცხადებს	გამოუცხადებია
შეთავაზება	შესთავაზა	სთავაზობს	შესთავაზებს	შეუთავაზებია
დაზიანება	დააზიანა	აზიანებს	დააზიანებს	დაუზიანებია
მიღწევა	მიაღწია	აღწევს	მიაღწევს	მიუღწევია
ჩატარება	ჩაატარა	ატარებს	ჩაატარებს	ჩაუტარებია
მოწყობა	მოაწყო	აწყობს	მოაწყობს	მოუწყვია

2.9. წყვილებში შეადგინეთ მინიდიალოგი აღნიშნული ზმნების გამოყენებით:

2.10. გაიხსენეთ ზედსართავი სახელი და მისი ხარისხის ფორმები:

ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ სახელები:
ლამაზი – ულამაზესი, იშვიათი– უიშვიათესი.

თეთრი ----------
დიდი ----------
შავი ----------
მკაცრი----------
ღრმა ----------

დააკვირდით!

წაიკითხეთ წინადადებები:
თბილისი ვახტანგ გორგასალმა **დააარსა**.
თბილისი **დაარსდა** ვახტანგ გორგასლის დროს.
შეადარეთ ფორმები: **დააარსა** და **დაარსდა**
რა სხვაობას ხედავთ?
ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საწყისი და ზმნის ორი ფორმა: ერთი აქტიური მოქმედების გამომხატველი (მოქმედებითი გვარის) და მეორე პასიური სუბიექტის გამომხატველი (ვნებითი გვარის).

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	მოქმედებითი	ვნებითი
დაარსება	დააარსა მან ის	დაარსდა ის
გამოცხადება	გამოაცხადა მან ის	გამოცხადდა ის
დაზიანება	დააზიანა მან ის	დაზიანდა ის
ჩატარება	ჩაატარა მან ის	ჩატარდა ის
მოწყობა	მოაწყო მან ის	მოეწყო ის
დაგეგმვა	დაგეგმა მან ის	დაიგეგმა ის

2.11. შეარჩიეთ სწორი ფორმა:

ნიმუში: ძლიერმა წვიმამ მცენარეები <u>დააზიანა</u>/დაზიანდა.

1. ძლიერი წვიმის გამო მცენარეები დააზიანა/დაზიანდა.
2. მოწვეულმა სტუმარმა საინტერესო ლექცია ჩაატარა/ჩატარდა.
3. გუშინ უნივერსიტეტში საინტერესო ლექცია ჩაატარა/ჩატარდა.
4. ტურისტულმა ორგანიზაციამ საინფორმაციო შეხვედრა მოაწყო/მოეწყო

5. სტუდენტური კლუბის ორგანიზებით ექსკურსია მოაწყო/მოეწყო.
6. თეამ საინტერესო ტური დაგეგმა/დაიგეგმა
7. ტურის ჩატარება კვირამდე დაგეგმა/დაიგეგმა.
8. გაზეთი ,,ივერია“ ილია ჭავჭავაძემ დააარსა/დაარსდა.
9. გაზეთი ,,ივერია“ 1877 წელს დააარსა/დაარსდა.

დააკვირდით!

–დან
- ადგილი (სკოლიდან)
- დრო (ორშაბათიდან)

–მდე
- ადგილი (სკოლამდე)
- დრო (კვირამდე)

–დან და **–მდე** თანდებულები ადგილსა და დროის მონაკვეთს გვიჩვენებს.

2.12. მოიძიეთ ტექსტის ბოლო ორ აბზაცში –დან’თანდებულიანი სახელები და აღნიშნეთ, რას გვიჩვენებს იგი – ადგილს თუ დროის მონაკვეთს:

სინონიმები	
დაცული–უსაფრთხო	დაზიანება–გაფუჭება–დაზარალება
ამგვარი–ასეთი	მკაცრი–სასტიკი
მოგონება–გახსენება	კვლევა–შესწავლა
იხილავ–ნახავ	ეწყობა–ტარდება
გამუდმებით–მუდმივად	დარგი–სფერო

ანტონიმები	
დაცული–დაუცველი	მკაცრი–ლმობიერი
ბუნებრივი–ხელოვნური	ჩვეულებრივი–არაჩვეულებრივი
ბუნებრივად–ხელოვნურად	იწყება–მთავრდება
ჩამოსული–წასული	შესასვლელი–გამოსასვლელი

2.13. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ექსკურსიაზე რა განსაკუთრებული სანახაობა ელის დამთვალიერებლებს?
2. რას ურჩევს დედა შვილს?
3. რომელი მარშრუტები არსებობს ნაკრძალის დასათვალიერებლად?
4. რა საფრთხე არსებობს ნაკრძალის ტერიტორიაზე?
5. რატომ ურჩევნია შვილს ფოტოების ტელეფონით გადაღება?

2.14. დიალოგის შინაარსის მიხედვით აღნიშნეთ სწორი (+) არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
მხოლოდ ვაშლოვანში ხარობს კამლის ხეები		
ექსკურსია კვირის დასაწყისში შედგება		
ვაშლოვანში ბევრი ვაშლის ხე ხარობს		
ნაკრძალში მხოლოდ საფეხმავლო მარშრუტია		
ვაშლოვანის ნაკრძალში ნახავთ ხორნაბუჯის ციხეს და არწივის ხეობას		
ნაკრძალში ცხოველთა და მცენარეთა უნიკალური სახეობებია შემორჩენილი		

2.15. შემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. <u>სავარაუდოდ</u>, ამიტომ შეარქვეს ამ ადგილს ვაშლოვანი.
   ა) საეჭვოდ; ბ) ალბათ; გ) საბედნიეროდ.

2. კამლის ხეების ერთმანეთთან დაშორება ვაშლის ბაღს <u>ჰგავს.</u>
   ა) მსგავსია; ბ) ჰყავს; გ) ნახავს.

3. ყურადღებით იყავი, მგლებს და გველებს <u>მოერიდე!</u>
   ა) გაეკიდე; ბ) უფრთხილდი; გ) დაემალე.

4. სურათებს ფეისბუკზე ავ<u>ტვირთავ.</u>
   ა) დავტვირთავ; ბ) დავამაგრებ; გ) განვათავსებ

2.16. მოამზადეთ მასალა რომელიმე დაცული ტერიტორიის ან ნაკრძალის შესახებ და წარმოადგინეთ პრეზენტაციის ან საინფორმაციო ბუკლეტის სახით (წყვილებში ან ინდივიდუალურად)

2.17. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ნაკრძალები საქართველოში**

_____

_____

_____

III ნაწილი საქართველო და იუნესკოს კულტურული მემკვიდროების სია

3.1. კითხვები გამოწვევისათვის:

1. თქვენი აზრით, რა არის კულტურული მემკვიდრეობა?
2. თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს კულტურის ძეგლი?
3. როგორ გესმით ფრაზა „ღვინის ტურიზმი“?
4. იცით, რა არის ღვინის ფესტივალი?

3.2. წაიკითხეთ ტექსტი:

კულტურული მემკვიდრეობა თანამედროვე ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი **რესურსია.** ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონახულება მნიშვნელოვანი **მოტივაციაა** ამ თუ იმ ქვეყანაში ჩასვლისა და მოგზაურობისათვის. ტურისტებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია არამატერიალური კულტურა, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში ეცნობიან.

იუნესკო (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) 1945 წლის 16 ნოემბერს შეიქმნა. დღეისათვის იუნესკო 195 ქვეყანას აერთიანებს. საქართველო იუნესკოს სრულფასოვანი წევრია 1992 წლის 7 ოქტომბრიდან.

იუნესკოს ერთ-ერთი მიზანი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და მისი **მრავალფეროვნების** დაცვაა. მან მსოფლიო მნიშვნელობის მემკვიდრეობის დასაცავად შემოიღო ცნება „მსოფლიო **მემკვიდრეობა“.** არსებობს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სია, რომელშიც მსოფლიოს 800-ზე მეტი ისტორიული ძეგლია შეტანილი. მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად, ასევე, არსებობს მსოფლიო არამატერიალური კულტურის ძეგლების ნუსხაც. საქართველოდან იუნესკოს მატერიალური კულტურის **ნუსხაში** შედის: მცხეთის ისტორიული ძეგლები, გელათის **სამონასტრო კომპლექსი** და ზემო სვანეთი. იუნესკოს არამატერიალური კულტურის ჩამონათვალში ვხვდებით: ქართულ მრავალხმიანობას, ქვევრში **ღვინის დაყენების** უძველეს ქართულ ტრადიციასა და ქართული ანბანის სამ ცოცხალ კულტურასაც.

საქართველოს ხშირად ვაზის სამშობლოდ იხსენიებენ. მსოფლიოში ცნობილი 2000 ყურძნის ჯიშიდან 500 ქართულია. ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის საქართველოში საკმარისი რესურსია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ღვინის ტურიზმში ჩართვის დიდი პოტენციალი აქვს. ღვინის ტურიზმი ვაზის დაკრეფის, **ყურძნის დაწურვის, ღვინის დაყენებისა** და **დაგემოვნების** გარდა ქართული სუფრის ტრადიციების გაცნობასაც მოიცავს.

ღვინის ტურიზმის მნიშვნელოვანი კერები უკვე არსებობს საქართველოში. მაგალითად, სოფელ ნაფარეულში „ძველი **მარანი**“ ტურისტებს ღვინის ტურებს მთელი წლის განმავლობაში სთავაზობს. სტუმრები ათვალიერებენ ღია და დახურული ტიპის მარნებს, **აჭაშნიკებენ** ღვინოს, მონაწილეობენ რთველში, ამზადებენ

თათარასა და ავლებენ ჩურჩხელებს.

შემოდგომობით კახეთში ტრადიციულად იმართება „ღვინის ფესტივალი.“ კახელი გლეხები ფესტივალის სტუმრებს სთავაზობენ მათ მიერ დაწურულ ღვინოს. ღვინის კომპანიები კი ღვინის პროდუქციას წარმოადგენენ. შექმნილია სპეციალური საიტი, რომელიც მოგზაურებს ეხმარება თავად შეარჩიონ ღვინის ტური.

3.3. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. გარდა მატერიალური კულტურისა, კიდევ რა არის საინტერესო ტურისტებისათვის?
2. როდის შეიქმნა იუნესკო?
3. რა არის იუნესკოს მიზანი?
4. რა ცნება შემოიღო იუნესკომ?
5. რამდენი ძეგლია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში?
6. საქართველოს რა ძეგლები შედის იუნესკოს მატერიალური ძეგლების ნუსხაში?
7. რა შედის იუნესკოს არამატერიალური კულტურის ჩამონათვალში საქართველოდან?
8. ვაზის რამდენი ჯიშია ცნობილი მსოფლიოში და რამდენია აქედაბნ ქართული?
9. რას მოიცავს ღვინის ტურიზმი?
10. სად იმართება ღვინის ფესტივალი?
11. რას სთავაზობენ ფესტივალის სტუმრებს?
12. სად შეუძლიათ სტუდენტებს ღვინის ტურის შერჩევა?

ახალი სიტყვები	ახალი ფრაზები
რესურსი მოტივაცია მემკვიდრეობა მრავალფეროვნება ნუსხა მრავალხმიანობა ქვევრი ჯიში კერები რთველი თათარა შემოდგომობით დაგემოვნება	კულტურული მემკვიდრეობა ისტორიულ–კულტურული ძეგლები არამატერიალური კულტურა სრულფასოვანი წევრი მატერიალური კულტურის ძეგლი არამატერიალური კულტურის ძეგლი სამონასტრო კომპლექსი ქვევრში ღვინის დაყენება ვაზის სამშობლო ყურძნის ჯიში ღვინის ტურიზმი ვაზის დაკრეფა ყურძნის დაწურვა ღვინის დაყენება სუფრის ტრადიციების გაცნობა ავლებს ჩურჩხელებს

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	ახლანდელი	მომავალი	წარსული	მომავალი + უნდა	თურმეობითი
შექმნა	იქმნება	შეიქმნება	შეიქმნა	უნდა შეიქმნას	შექმნილა
გაერთიანება	აერთიანებს	გააერთიანებს	გააერთიანა	უნდა გააერთიანოს	გაუერთიანებია
შეთავაზება	სთავაზობს	შესთავაზებს	შესთავაზა	უნდა შესთავაზოს	შეუთავაზებია
გამართვა	იმართება	გაიმართება	გაიმართა	უნდა გაიმართოს	გამართულა
ამოვლება	ავლებს	ამოავლებს	ამოავლო	უნდა ამოავლოს	ამოუვლია

3.4. ისაუბრეთ:

თქვენი ნება რომ იყოს, რას შეიტანდით კულტურული ძეგლების სიაში? რატომ?

დაიმახსოვრეთ!

არა უარყოფითი ნაწილაკია და უარყოფას ნიშნავს. მაგრამ ზოგჯერ ის ახალი სიტყვების მაწარმოებლადაც გამოიყენება.

წაიკითხეთ ფრაზა ტექსტიდან და იმსჯელეთ არა ნაწილაკით ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობაზე: "ტურისტებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია არამატერიალური კულტურა, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში ეცნობიან."

ასეთი ფორმებია: არაუმეტეს, არაერთხელ, არაუადრეს, არაუგვიანეს.

3.5. შეადგინეთ რამდენიმე წინადადება მოცემული ფორმების გამოყენებით:

3.6. ქვემოთ მოცემულია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები. დაუკავშირეთ ისინი ერთმანეთს:

ნამდვილი	ჯიში
იხსენიებენ	მხარე
სია	ადგილები
სახეობა	ნუსხა
კუთხე	აჭაშნიკებენ
კერები	**სრულფასოვანი**
აგემოვნებდნენ	უწოდებენ, ეძახიან

3.7. წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, მოცემული ფორმებიდან რომელი გვხვდება ტექსტში:

დააკვირდით!

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საწყისი და ზმნის ორი ფორმა: ერთი აქტიური მოქმედების გამომხატველი (მოქმედებითი გვარის) და მეორე პასიური სუბიექტის გამომხატველი (ვნებითი გვარის). დაუკვირდით ზმნის ფორმებს და ზეპირად განმარტეთ ისინი:

საწყისი	აქტიური	პასიური
შექმნა	ქმნის ის მას	იქმნება ის
გაერთიანება	აერთიანებს ის მას	ერთიანდება ის
გამართვა	მართავს ის მას	იმართება ის
ამოვლება	ავლებს ის მას	ივლება ის

3.8. შეარჩიეთ სწორი ფორმა:

ნიმუში: ყოველ წელს <u>იქმნება</u> ტურისტული ჯგუფები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ეცნობიან. (ქმნის, იქმნება)

1. საქართველოში ყოველ წელს სხვადასხვა ადგილას ———————————— ღვინის ფესტივალი. (მართავს, იმართება)
2. ეს ტურისტული სააგენტო ათ თანამშრომელს ————————————. (აერთიანებს, ერთიანდება)
3. ტურისტების სიმრავლე ქვეყნის ეკონომიკას ————————————. (ავითარებს, ვითარდება)
4. ეს ახალი ტურისტული სააგენტო ორშაბათს ———————————— შეხვედრას სარესტორნო ქსელის მფლობელებთან. (გამართავს, გაიმართება)
5. ჩემი მეგობარი ახლა ———————————— ტურისტულ კომპანიას, რომელიც ტურისტებს ბევრ საინტერესო ტურს შესთავაზებს. (ქმნის, იქმნება)
6. ჩურჩხელა საერთოდ ცხელ თატარაში ————————————. (ავლებს, ივლება)
7. ჩვენს ორგანიზაციაში ———————————— რამდენიმე პატარა სააგენტო. (აერთიანებს, ერთიანდება)
8. ბებია ჩურჩხელებს ———————————— თათარაში ავლებს და გრძელ ჯოხზე გასაშრობად კიდებს. (ავლებს, ივლება)
9. ტურიზმი საქართველოში წლიდან წლამდე ———————————— . (ავითარებს, ვითარდება)

3.9. დაუკავშირეთ ერთმანეთს ფრაზის შემადგენელი ნაწილები:

კულტურული	ტურიზმი
სრულფასოვანი	დაყენება
სამონასტრო	ტრადიციების გაცნობა
ქვევრში	განმავლობაში
ღვინის	ამოვლება
ყურძნის	კომპლექსი
ღვინის	დაწურვა
სუფრის	**მემკვიდრეობა**
მთელი წლის	წევრი
ჩურჩხელების	ღვინის დაყენება

3.10. ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით დაასრულეთ წინადადებები, შეარჩიეთ სწორი დაბოლოება: –იდან, –თან ერთად, –ში, –ისათვის, –ობით, –დ

1. საქართველო იუნესკოს სრულფასოვანი წევრია 1992 წლის 7 ———————— (ოქტომბერი)
2. მატერიალური კულტურის ————————, ასევე, არსებობს მსოფლიო არამატერიალური კულტურის ძეგლების ნუსხაც. (ძეგლები)
3. საქართველოდან იუნესკოს მატერიალური კულტურის ———————— შედის: მცხეთის ისტორიული ძეგლები. (ნუსხა)
4. საქართველო ხშირად ვაზის ———————— იხსენიებენ. (სამშობლო)
5. ღვინის ტურიზმის ———————— საქართველოში საკმარისი რესურსია. (განვითარება)
6. ტურისტები მონაწილეობენ ————————, ამზადებენ თათარას და ავლებენ ჩურჩხელებს. (რთველი)
7. მსოფლიოში ცნობილი 2000 ყურძნის ———————— 500 ქართულია. (ჯიში)
8. ———————— არანაკლებ მნიშვნელოვანია არამატერიალური კულტურა, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში ეცნობიან. (ტურისტები)
9. ———————— კახეთში ტრადიციულად იმართება „ღვინის ფესტივალი.“ (შემოდგომა)
10. ისტორიულ–კულტურული ძეგლების მონახულება მნიშვნელოვანი **მოტივაციაა** ამ თუ იმ ქვეყანაში ჩასვლისა და ————————. (მოგზაურობა)

3.11. წაიკითხეთ დიალოგი, მეწყვილესთან ერთად წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით:

ტურისტული სააგენტო– პოტენციური დამთვალიერებლი

— ტულისტული სააგანეტო „რუნითე,“ რუსუდანი გისმენთ!
— ინეტერნეტში ვნახე ღვინის ტური, კითხვები მაქვს, შეიძლება?
— რა თქმა უნდა! გისმენთ..
— ზუსტად თუ შეგიძლიათ მითხრათ, რას მოიცავს ტური? საიდან გაქვთ გასვლა? როდის ვბრუნდებით თბილისში?
— დილით 8 საათზე ვიკრიბებით ველოსპედთან და გავდივართ რესპუბლიკის მოედნიდან. მივდივართ თელავში, ვნახავთ ერეკლე მეორეს სახლ–მუზეუმს, შემდეგ გაჩვენებთ 900 წლის ჭადარს.
— თელავში?
— დიახ. დაგათვალიერებინებთ შუამთის ორივე მონასტერს. ვეწვევით წინანდლში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ–მუზეუმს.
— აქ გავსინჯავთ ღვინოს?
— აქ გაჩვენებთ ჭავჭავაძეების უნიკალურ ღვინის საცავს, თუმცა ქვევრში დაყენებულ ღვინოს „მეღვინეობა ხარებაში“ დააგემოვნებთ.
— წითელს თუ თეთრს?
— ალაზნის ველზე მოყვანილი ყურძნის საუკეთესო ჯიშებისგან დამზადებულ ქვევრის ღვინოებს გასინჯავთ, წითელსაც და თეთრსაც.
— ალავერდის ნახვა თუ იქნება შესაძლებელი? ჩემს გერმანელ მეგობრებს აინტერესებთ ალავერდი!
— შესაძლებელია ისე დავგეგმოთ ტური, რომ ალავარდიც მოვინახულოთ. გერმანულენოვანი გიდიც გვყავს.
— ძალიან კარგი, მშვენიერია. მე აღარ მომიწევს თარგმნა. მაშინ ჩაინიშნეთ, ხუთნი ვართ და შაბათს გვინდა წამოსვლა. ანგარიში გადმომიგზავნეთ და ტურის თანხას ჩავრიცხავთ.
— ახლავე. დროებით და შეხვედრამდე!
— შეხვედრამდე.

3.12. მოუსმინეთ ტექსტს და შემდეგ უპასუხეთ შეკითხვებს:



1. რის შესახებ არის ტექსტი?
2. რა კავშირია ფოტოსა და ტექსტს შორის?
3. რომელი ქვეყანა და ქალაქია მოცემული ტექსტში?
4. არის თუ არა ტექსტში დასახელებული დელეგაციის წევრების სახელები?

3.13. მოსმენილი ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ, რომელი ინფორმაციაა ტექსტში (+) და რომელი არა (–)?

ტექსტში მოცემულია ინფორმაცია თუ სად ჩატარდა იუნესკოს სესია.	
ტექსტში არის ინფორმაცია ყველა იმ არამატერიალური ძეგლის შესახებ, რომლებიც შედის იუნესკოს სიაში.	
ტექსტში არის საქართველოს დელეგაციის წევრების სახელები.	
ტექსტში არის ინფორმაცია გელათის სამონასტრო კომპლექსის შესახებ.	
ტექსტში დასახელებულია ქართული ანბანის სამი სახეობის სახელწოდებები.	
ტექსტში მოცემულია ინფორმაცია იუნესკოს შემდეგი სხდომის გამართვის შესახებ.	

ეს საინტერესოა

3.14. წაიკითხეთ ტექსტი და თავად დაასათაურეთ:

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო), (UNESCO, აკრ. **U**nited **N**ations **E**ducational, **S**cientific and **C**ultural **O**rganization) — გაეროს სპეციალიზებული სააგენტო. მისი მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის ხელი შეუწყოს განათლებისა და კულტურის გავრცელებას, მეცნიერების განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას რასის, სქესის, ენისა და რელიგიის მიუხედავად.

ორგანიზაცია 1945 წლის 16 ნოემბერს დაარსდა. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს პარიზში, საფრ ანგეთი. 2011 წლის 1 ნოემბრის მონაცემებით იუნესკო აერთიანებს 195 ქვეყანას. მას ასევე 50 წარმომადგენლობითი ოფისი, რამდენიმე ინსტიტუტი და ცენტრი აქვს მსოფლიოში.

1945 წლის 16 ნოემბერს ხელი მოეწერა იუნესკოს დებულებას. შეხვედრის 44 მონაწილიდან დებულებას ხელი მოაწერა 37-მა. დებულება ძალაში შევიდოდა მას შემდეგ რაც 20 ქვეყანა მოახდენდა მის რატიფიკაციას. ეს კი მოხდა 1946 წლის 4 ნოემბერს. იუნესკოს პირველი კონფერენცია, რომელსაც 30 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, მიმდინარეობდა პარიზში, 1946 წლის 19 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე.

იუნესკოს თანამედროვე შტაბ-ბინა, რომელსაც ლათინური ანბანის ასო **Y** ფორმა აქვს, 1958 წლის 3 ნოემბერს გაიხსნა.

ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ხდება გაეროს წევრი ავტომატურად ხდება იუნესკოს წევრიც, ხოლო გაეროდან გასვლის შემთხვევაში ასევე ავტომატურად ტოვებს იუნესკოს რიგებსაც. ქვეყანა, რომელიც არაა გაეროს წევრი შესაძლებელია გახდეს იუნესკოს წევრი გენერალური კონფერენციის წევრთა 2/3-ის თანხმობის შემთხვევაში.

იუნესკოს ოფიციალური ენებია: ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ენები. თავდაპირველად იუნესკოს ძირითადი ენები იყო ინგლისური და ფრანგული, 1950 წელს ოფიციალური ენის სტატუსი მიიღო ესპანურმა ენამ, 1954 წელს — რუსულმა, 1974 წელს — არაბულმა, 1980 წელს კი ჩინურმა.

იუნესკო საკუთარ დანიშნულებას ხუთი ძირითადი პროგრამით ახორციელებს, ესენია: განათლება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური და ჰუმანური მეცნიერებები, კულტურა და კომუნიკაციები და ინფორმაცია. იუნესკო აფინანსებს წერა-კითხვის გავრცელების, ტექნიკურ, მასწავლებელთა დახელოვნების პროგრამებს; საერთაშორისო მეცნიერებათა პროექტებს; რეგიონალური და კულტურის ისტორიის პროექტებს; კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციას; საერთაშორისო ურთიერთდახმარების შეთანხმებებს მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და ადამიანთა უფლებების დაცვასა და მისთ.

1972 წელს იუნესკომ მიიღო მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1975 წელს. ყოველწლიურად მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი იკრიბება სესიაზე, რომელიც განსაზღვრავს თუ, რომელი ძეგლი შეიტანონ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. პირველი ძეგლი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს 1978 წელს და ეს იყო გალაპაგოსის კუნძულები.

2003 წელს იუნესკომ მიიღო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია. არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად მიიჩნიეს ზეპირი გადმოცემები, ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, რიტუალები, ფესტივალები და ხალხური რეწვა.

(წყარო: https://ka.wikipedia.org/wiki)

მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტში იუნესკოს შესახებ.

3.15. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ჩემი სია იუნესკოსთვის**

V თავი გიდი

I ნაწილი გიდის პროფესია

1.1. კითხვები გამოწვევისათვის:

1. თქვენი აზრით, რთული პროფესიაა გიდობა?
2. რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლება ჰქონდეს ამ პროფესიას?
3. თქვენ აირჩევდით ამ პროფესიას?
4. დაასახელეთ ყველა სიტყვა, რომლებიც, თქვენი აზრით, ასოცირდება გიდთან.

1.2. დაეთანხმე ან უარყავი: არსებობს მოსაზრება, რომ გიდობა ერთ–ერთი ყველაზე დამღლელი საქმიანობაა (თქვენი აზრი დაასაბუთეთ 1–2 არგუმენტით).

1.3. წაიკითხეთ ტექსტი:

ხშირად ამბობენ, რომ გიდი საკუთარი **ქვეყნის ელჩია**. გიდობა ერთ–ერთი უძველესი და საინტერესო პროფესიაა. ტურისტებისათვის ქვეყნის ტრადიციებისა და კულტურის **სწორად მიწოდება** გიდის პიროვნულ უნარებზეა დამოკიდებული. უცხო ენისა და ისტორიის ცოდნის გარდა, გიდს **ტოლერანტობა**, **მოთმინება** და **მოსმენის უნარი** მოეთხოვება. **ღიმილი** გიდების დაუწერელი კანონია.

სანდრო 24 წლისაა და უკვე 6 წელია, გიდია. იგი **მხიარული** და **პოზიტიური** ადამიანია. მისი ყოველი დღე განსხვავებულია. მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, ახალგაზრდა გიდი შეყვარებულია საკუთარ პროფესიაზე. როგორც თვითონ ამბობს, იგი ამ **პროფესიით ცხოვრობს**. მისი დღე განსხვავებული კულტურისა და ინტერესების ადამიანებთან შეხვედრით იწყება. სანდროს ახალი ჯგუფის გასაცნობად რამდენიმე წუთი სჭირდება. მისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, დამთვალიერებელთა **ინტერესები**, ვის რისი გაგება სურს. იგი არასდროს იყენებს უცვლელად გიდის **შაბლონს**. სანდრომ იცის, რომ გიდის პროფესიისათვის მნიშვნელოვანია, ესმოდეს დამთვალიერებლის და **ითვალისწინებდეს** მის სურვილებს.

ერთ–ერთი ტურისტის, ეკატერინეს შეფასებით, სანდრო არის **ნიჭიერი**, **ჭკვიანი**, და განათლებული ახალგაზრდა. მან ერთ დღეში შეაყვარა თავისი ქვეყანა სტუმრებს და მათი მოგზაურობა დაუვიწყარი გახადა. ეკატერინეს აზრით, ძალიან **გაუმართლებთ** იმ ადამიანებს, რომლებიც საქართველოში ჩამოვლენ და სანდრო გაუწევთ მეგზურობას.

კმაყოფილი ტურისტი სანდროს პროფესიული განვითარებისათვის საუკეთესო **სტიმულია**.

1.4. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რატომ უწოდებენ გიდს საკუთარი ქვეყნის ელჩს?
2. რა მოეთხოვება გიდს?
3. როგორი გიდია სანდრო?
4. რა არის მნიშვნელოვანი სანდროსთვის ტურისტების მომსახურებისას?
5. როგორი გიდია სანდრო ერთ–ერთი ტურისტის აზრით?

1.5. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
სანდროს ძალიან უყვარს თავისი პროფესია		
სანდრო თვლის, რომ ძალიან გადატვირთული გრაფიკი აქვს და უნდა დაისვენოს		
გიდზეა დამოკიდებული, მოეწონებათ თუ არა მისი ქვეყანა		
გიდობა ერთ–ერთი საინტერესო და უძველესი პროფესიაა		
ახალგაზრდა გიდი ყოველთვის ითვალისწინებს დამთვალიერებლების ინტერესს		

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
გიდი ელჩი უნარი მოთმინება ღიმილი კანონი ტოლერანტობა გაცნობა შაბლონი ნიჭიერი გამართლება ვაკანსია გაცნობა	ქვეყნის ელჩი სწორად მიწოდება მოსმენის უნარი დაუწერელი კანონი გადატვირთული გრაფიკი გაუწევს მეგზურობას/გიდობას კმაყოფილი ტურისტი სამუშაო გამოცდილება ითვალისწინებს გიდი სურვილს აწოდებს გიდი ტურისტს ინფორმაციას

დაიმახსოვრეთ!

სიტყვათწარმოება
დაწერა–დაუწერელი დაშვება– დაუშვებელი მოთმენა– მოუთმენელი გათვალისწინება– გაუთვალისწინებელი გამართლება–გაუმართლებელი შეცვლა–შეუცვლელი შეფასება– შეუფასებელი დავიწყება– დაუვიწყარი

1.6. წაიკითხეთ წინადადებები და შეარჩიეთ სწორი ფორმა:

ნიმუში: დავიწყება/<u>დაუვიწყარი</u> შთაბეჭდილებები მაქვს სვანეთში მოგზაურობის შემდეგ.

1. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებების დავიწყება/დაუვიწყარი შეუძლებელია.
2. სტუდენტთა შეუფასებელი/შეფასება კრიტერიუმების მიხედვითაა შესაძლებელი.
3. მათი მონაწილეობა ამ საქმეში შეუფასებელი/შეფასება აღმოჩნდა.
4. რჩევის გათვალისწინება/გაუთვალისიწინებელი აუცილებელია.
5. გზებზე ხშირად მომხდარა გათვალისწინება/გაუთვალისწინებელი შემთხვევა.
6. ექიმი პაციენტის ჯანმრთელობისთვის იბრძვის – ეს დაწერა/დაუწერელი კანონია.
7. ექიმის მიერ დაწერილი /დაუწერელი რეცეპტით წამალი ვიყიდე.

დაიმახსოვრეთ!

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი
მიწოდება	მიაწოდა	აწოდებს	მიაწოდებს
მოთმინება	მოითმინა	ითმენს	მოითმენს
მოსმენა	მოისმინა	უსმენს	მოისმენს
დაწყება	დაიწყო	იწყებს	დაიწყებს
გამოყენება	გამოიყენა	იყენებს	გამოიყენებს
გათვალისწინება	გაითვალისწინა	თვალისწინებს	გაითვალისწინებს
გამართლება	გაუმართლა	უმართლებს	გაუმართლებს
ცხოვრება	იცხოვრა	ცხოვრობს	იცხოვრებს
გაწევა	გაუწია	უწევს	გაუწევს

1.7. დაიყავით წყვილებად და შექმენით მინიდიალოგები მოცემული ზმნების გამოყენებით:

დაიმახსოვრეთ!

როდის ვიყენებთ ფორმებს: **მისი**, **თავისი**
მისი = სხვისი
მაგალითი: ანამ <u>მისი</u> (მეგობრის, ძაღლი მეგობრისაა) ძაღლი სასეირნოდ წაიყვანა
თავისი+ საკუთარი
მაგალითი: ანამ თავისი (ძაღლი ანასია, საკუთარია) სასეირნოდ წაიყვანა.

1.8. სავარჯიშო: შეარჩიეთ სწორი ფორმა:

1. სანდრო ახალგაზრდა გიდია და ძალიან ამაყობს მისი/<u>თავისი</u> პროფესიით.
2. მეგობარმა გამოცდები ჩააბარა და თეა გახარებულია მისი/თავისი წარმატებით.

3. ნანამ მისი/თავისი სასიხარულო ამბავი სხვებსაც უთხრა.
4. მისი/თავისი წარმატებები ჩვენც ძალიან გვიხარია.

სინონიმები	
პროფესია – საქმიანობა	საკუთარი–პირადი
მოთმინება –თავშეკავება	ხალისიანი–მხიარული
პოზიტიური–დადებითი	ნეგატიური– უარყოფითი
სხვადასხვა – განსხვავებული	სურს–უნდა

1.9. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, მოცემული სინონიმებიდან რომელი გხვდებათ ტექსტში:

ანტონიმები	
ხშირად–იშვიათად	უძველესი–უახლესი
პოზიტიური–ნეგატიური	მხიარული–მოწყენილი
გადატვირთული–თავისუფალი	არასოდეს–ყოველთვის
თავისი –სხვისი	ნიჭიერი–უნიჭო
ჭკვიანი–უჭკუო	ახალგაზრდა–მოხუცი

1.10. ანტონიმების საშუალებით შეადგინეთ მინიდიალოგი წყვილებში:

1.11. დააკავშირეთ სიტყვები:

მხიარული	გრაფიკი
ქვეყნის	მიწოდება
გიდის	გაუმართლა
სწორად	მეგზურობას
დაუწერელი	ელჩი
გაუწევს	პროფესია
ძალიან	კანონი
გადატვირთული	განვითარება
პროფესიული	**ადამიანი**

1.12. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

1. სტიმული	ა. ექსკურსიის გიდი, წამყვანი
2. ელჩი	ბ. საყოველთაოდ სავალდებულო ნორმა, წესი
3. შაბლონი	**გ. რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი**
4. გიდი	დ. სხვისი აზრების, რწმენის შემწყნარებლობა
5. ტოლერანტობა	ე. გამოთქმის ან წერის ფორმა, ტრაფარეტი
6. კანონი	ვ. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი მეორეში.

1.13. აირჩიეთ სწორი პასუხი:

1. ძალიან გაუმართლებთ იმ ადამიანებს, რომლებსაც სანდრო გაუწევთ მეგზურობას.
ა) სიმართლის გაგება; ბ) მოლოდინის გამართლება; დ) იმედის დაკარგვა.
2. გიდს ტოლერანტობა, მოთმინება და მოსმენის უნარი მოეთხოვება.
ა) აუცილებელია; ბ) ითმენს; გ) დამშვიდდება.
3. მნიშვნელოვანია, ტურისტებისთვის ქვეყნის ტრადიციებისა და კულტურის სწორად მიწოდება.
ა) მიცემა; ბ) ახსნა; გ) გამორთმევა.

1.14. იმუშავეთ წყვილებში, შემდეგ იმსჯელეთ:

როგორი უნდა იყოს კარგი გიდი?
რა თვისებები და პიროვნული მახასიათებლები უნდა ჰქონდეს მას?

1.15. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა მიზნით რეკავენ ტურისტულ კომპანიაში?
2. რომელ ენებზე საუბრობს სამსახურის მაძიებელი?
3. რა სამუშაო გამოცდილება აქვს სამსახურის მაძიებელს?
4. როგორი ადამიანია სამსახურის მაძიებელი მისივე თქმით?

1.16. მოსმენილი დიალოგის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია :

	სწორი	არასწორი
აღნიშნულ ტურისტულ კომპანიაში აუცილებელია სამუშაო გამოცდილება		
ვაკანსია თავისუფალ სამუშაო ადგილს ნიშნავს		
სამსახურის მაძიებელმა იცის მხოლოდ არაბული და თურქული		
სამსახურის მაძიებელი კომუნიკაბელური ადამიანია		
სამსახურის მაძიებელი გასაუბრებაზე მეორე დრეს დაიბარეს		
სამსახურის მაძიებელს იმედი აქვს, რომ მიიღებენ კომპანიაში სამუშაოდ		

1.18. რას დაარქმევდით დიალოგს?

_____

1.19. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **როგორი დიდი ვიქნები მე**

_____

_____

II ნაწილი ტურის დაგეგმვა

2.1. კითხვები გამოწვევისათვის:

თქვენი აზრით, როგორ გეგმავენ ტურს?
რა უნდა გაითვალისწინონ ტურის დაგეგმვისას?
თქვენ სად ყოფილხართ ან გსურთ წასვლა ტურზე?

2.2. წაიკითხეთ ტექსტი:

ტურისტული კომპანია „რუთენი“ 2008 წლიდან გამოჩნდა ქართულ **ტურისტულ ბაზარზე**. 2018 წელს კომპანიას წარმატებული საქმიანობის 10 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ახალი **საექსკურსიო ტურების** შეთავაზება საკუთარი **მომხმარებლისათვის**. არსებული პრაქტიკის მიხედვით, ექსკურსიას გიდი–**ექსკურსიამძღოლები** ამუშავებენ. ეს საქმე კომპანიის მთავარმა მენეჯერმა **გამოცდილ** გიდს, ნინოს ჩააბარა. ნინომ 4–კაციანი ჯგუფი შექმნა და ეფექტურად უხელმძღვანელა. სამუშაო 6 თვე გაგრძელდა. პირველად სამუშაო შეხვედრაზე განისაზღვა მარშრუტი. ექსკურსიის მომზადება ქვემო ქართლის მიმართულებით გადაწყდა. ნინომ ჯგუფის ყველა წევრს გარკვეული სამუშაოს შესრულება დაავალა. ჯგუფის წევრები ზოგიერთ დავალებას **ჯგუფურად** ასრულებდნენ, ზოგს კი – **ინდივიდუალურად**.

პირველ ეტაპზე რეგიონში არსებული ძეგლები და ღირსშესანიშნაობები მოიძიეს და სიაც შეადგინეს. ობიექტების შესარჩევად ვრცელი სია იყო საჭირო .

ნათიამ შერჩეული **ობიეტების** შესახებ ინფორმაცია წიგნებიდან, ჟურნალ–გაზეთებიდან და არქივიდან მოამზადა.

შამილს ექსკურსიაში ჩართული **მუზეუმების გაცნობა** და შესწავლა დაავალეს. მისთვის ამ დავალების შესრულება რთული არ იყო, რადგან მისი მშობლები დმანისში ცხოვრობენ.

ანამ და გრიგოლმა **საექსკურსიო ბარათები** დაამზადეს. ამისათვის სჭირდებოდათ ობიექტის **სრული დახასიათება**, მისი **მნიშვნელობის განსაზღვრა**, ავტორებისა და ისტორიის შესახებ ინფორმაცია; ობიექტის დათვალიერების ზუსტი ვადები, როდის **იღება** და **იხურება** და ა.შ. მათვე იმუშავეს ექსკურსიის **ტექნოლოგიური რუკის** შედგენაზე.

საექსკურსიო მარშრუტის შედგენისას **ქრონოლოგიური პრინციპი** დაიცვეს – ექსკურსია დმანისის უძველესი ადამიანების კვალის გაცნობით უნდა დაიწყონ და უახლოესი პერიოდის ძეგლის დათვალიერებით დაასრულონ. ჯგუფში აქტიურად იმსჯელეს ექსკურსიის საბოლოო მიზანზეც. **მიზნის დასახვის** შემდგომ დაწერეს **გიდის ტექსტები**.

გიდის ტექსტისა და ტექნოლოგიური რუკის **ლიცენზირებაზე** ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნინომ

იზრუნა. შესრულებული სამუშაოების **შეჯერების საფუძველზე** საინტერესო ტური – დმანისი–ბოლნისი–წუღრუღაშენი დაგეგმეს. ძალიან სახალისო და საინტერესო აღმოჩნდა **საცდელი ექსკურსია**, რომელშიც კომპანიის მთელი კოლექტივი მონაწილეობდა.

2.3. ტექსტის შინარსის გათვალისწინებით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ვინ და რატომ იზრუნა ტექნოლოგიური რუკის ლიცენზირებაზე?
2. საექსკურსიო მარშრუტის დაგეგმვისას რა პრინციპი გამოიყენეს?
3. სამუშაოს დაწყებამდე რა სტრატეგია გამოიყენა ნინომ?
4. რა ევალება შამილს?
5. რატომ არ იყო სამუშაოს შესრულება შამილისთვის ძნელი?
6. რა იყო პირველი დავალება, რომლის შესრულებაც ყველას ევალებოდა?
7. რამდენი ადამიანია სამუშაო ჯგუფში?

2.4. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+), არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
გიდის ტექსტის დაწერამდე ექსკურსიის მიზანი დაისახა		
ჯგუფის წევრები ყველა დავალებას ერთად ასრულებდნენ		
ნათიამ ტექნოლოგიური რუკის შედგენაზე მარტო იმუშავა		
საცდელი ექსკურსიაზე კომპანიის ყველა თანამშრომელი წავიდა		
ანამ, შამილმა და გრიგოლმა საექსკურსიო ბარათები მოამზადეს		

2.5. დაასრულეთ წინადადებები:

1. საექსკურსიო რუკის შედგენისას დაიცვეს....
2. კომპანიის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა...
3. გამოცდილმა გიდმა, ნინომ, 4–კაციანი ჯგუფი შექმნა და....
4. ნათიამ ობიქტების შესახებ ინფორმაცია ....
5. საექსკურსიო ბარათების მოსამზადებლად ანასა და გრიგოლს სჭირდებოდათ...
6. ძალიან სახალისო და საინტერესო აღმოჩნდა საცდელი ექსკურსია, რომელშიც...

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
ხელმძღვანელი ხელმძღვანელობა მომხმარებელი ექსკურსიამძღოლი/გიდი კვალი მიზანი ლიცენზირება ქრონოლოგიური დამუშავება შეჯერება	ტურისტული ბაზარი არსებული პრაქტიკა მუზეუმების გაცნობა საექსკურიო ბარათი/ტური სრული დახასიათება ტექნოლოგიური რუკა მიზნის დასახვა შეჯერების საფუძველზე მნიშვნელობის განსაზღვრა საცდელი ექსკურსია უახლოესი პერიოდის

2.6. მიუწერეთ შესაბამისი სიტყვები:



2.7. იმსჯელეთ!

წყვილებში ან ჯგუფში: წარმოიდნეთ, რომ ტურისტულ კომპანიაში მუშაობთ გიდად. დაგეგმეთ ტური (მიუთითეთ, სად წაიყვანთ დამთვალიერებლებს, რას აჩვენებთ და რატომ).

სინონიმები	
მომხმრებელი–კლიენტი	გამოცდილი–პროფესიონალი
პირადად–თვითონ	რთული–ძნელი
სრული–ამომწურავი	მსჯელობა–განხილვა
გიდი–ექსკურსიამძღოლი	ვრცელი–გრძელი

2.8. დავალება: კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, რომელი სინონიმები გხვდებათ.

2.9. დაუკავშირეთ ერთმანეთს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები:

ანტონიმები	
წარმატებული	ძველი
გამოცდილი	ინდივიდუალური
რთული	წარუმატებელი
ახალი	მარტივი
ჯგუფური	გამოუცდელი

ზმნის აქტიური ფორმები				
საწყისი	**წარსული**	**ახლანდელი**	**მომავალი**	**თურმეობითი**
შესრულება	შეასრულა	ასრულებს	შეასრულებს	შეუსრულებია
დამუშავება	დაამუშავა	ამუშავებს	დაამუშავებს	დაუმუშავებია
გადაწყვეტა	გადაწყვიტა	წყვეტს	გადაწყვეტს	გადაუწყვეტია
ჩაბარება	ჩააბარა	აბარებს	ჩააბარებს	ჩაუბარებია
შექმნა	შექმნა	ქმნის	შექმნის	შეუქმნია
შედგენა	შეადგინა	ადგენს	შეადგენს	შეუდგენია
მომზადება	მოამზადა	ამზადებს	მოამზადებს	მოუმზადებია
დაწყება	დაიწყო	იწყებს	დაიწყებს	დაუწყია
დაგეგმვა	დაგეგმა	გეგმავს	დაგეგმავს	დაუგეგმავს
გაღება	გააღო	აღებს	გააღებს	გაუღია
დახურვა	დახურა	ხურავს	დახურავს	დაუხურავს

2.10. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

დაიმახსოვრეთ!

უნდა + კავშირებითი (მოქმედება, რომელიც უნდა შესრულდეს, აუცილებელია! მაგ.: უნდა დაგეგმოს, უნდა დაიწყონ, უნდა გავაკეთოთ....)

მე უნდა დავწერო	ჩვენ უნდა დავწეროთ
შენ უნდა დაწერო	თქვენ უნდა დაწეროთ
მან უნდა დაწეროს	მათ უნდა დაწერონ

2.11. უპასუხეთ შეკითხვებს (გამოიყენეთ <u>უნდა</u>):

1. რა უნდა გააკეთო დღეს?
2. ვის უნდა შეხვდე ხვალ?
3. რატომ უნდა წაიკითხოთ ეს წიგნი?
4. ვინ უნდა გაუმასპინძლდეს სტუმრებს?

2.12. იმუშავეთ წყვილებში, დაუსვით ერთმანეთს მსგავსი შეკითხვები და უპასუხეთ:

დაიმახსოვრეთ!

ზმნის პასიური ფორმები:				
საწყისი	**წარსული**	**ახლანდელი**	**მომავალი**	**თურმეობითი**
შესრულება	შესრულდა	სრულდება	შესრულდება	შესრულებულა
დამუშავება	დამუშავდა	მუშავდება	დამუშავდება	დამუშავებულა
გადაწყვეტა	გადაწყდა	წყდება	გადაწყდება	გადაწყვეტილა
ჩაბარება	ჩაბარდა	ბარდება	ჩაბარდება	ჩაბარებულა
შექმნა	შეიქმნა	იქმნება	შეიქმნება	შექმნილა
წერა	დაიწერა	იწერება	დაიწერება	დაწერილა
მომზადება	მომზადდა	მზადდება	მომზადდება	მომზადებულა
დაგეგმვა	დაიგეგმა	იგეგმება	დაიგეგმება	დაგეგმილა
გაღება	გაიღო	იღება	გაიღება	გაღებულა
დახურვა	დაიხურა	იხურება	დაიხურება	დახურულა

2.13. შეადგინეთ წინადადებები ან მინიდიალოგი მოცემული ზმნების გამოყენებით:

2.14. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ვინ მუშაობს ტურისტულ კომპანიაში?
2. რას სთავაზობს ნათია ანიკოს?
3. ანიკო და ნათია როდის ხვდებიან ერთმანეთს?
4. რას აკეთებდა ნათია ბიბლიოთეკაში?
5. სად ნახავენ დამთავლიერებლები უძველეს ქართულ წარწერას?
6. რომელი საუკუნის ძეგლია წუღრუღაშენი?

2.15. დიალოგის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+), არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	**არასწორი**
ტურში წასვლა ანიკოსაც მოუნდა		
ტურის დასაგეგმად 10–15 ადამიანის სურვილია საჭირო		
ნათია და ანიკო ერთმანეთს მუზეუმის კაფეში ხვდებიან		
დაგეგმილ ტურზე დამთვალიერებლები დმანისსა და ბოლნისის სიონს ნახავენ		
ტექნოლოგიური რუკის შედგენაზე ძირითადად შამილი მუშაობდა		
ნათია დარწმუნებულია, რომ მისი თანამშრომლები დაინტერესდებიან ექსკურსიით		

2.16. რას დაარქმევდით დიალოგს?

2.17. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ჩემი საექსკურსიო მარშრუტი**

III ნაწილი გიდი და ექსკურსია მუზეუმში

3.1. კითხვები გამოწვევისათვის:

1. თქვენ რომელ მუზეუმში ყოფილხართ ბოლო დროს?
2. რომელი მუზეუმის ნახვას ისურვებდით და რატომ?
3. ნანახი გაქვთ თუნდაც ერთი გადაცემა პირველი არხის სერიიდან „ერთი დღე მუზეუმში“?

3.2. წაიკითხეთ ტექსტი:

“მოგესალმებით, მე გახლავათ ნათია ოგანეზოვი, **ექსკურსიამძღოლი**. დღეს თქვენ იმყოფებით სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში. ამ მუზეუმში **დაცულია** ბუნებისა და კაცობრიობის გამოცდილების უნიკალური ნიმუშები. აქ **წარმოდგენილია**: ორმოცი მილიონი წლით **დათარიღებული** ცხოველთა ნაშთები, პალეოლითის, ნეოლითის, ენეოლითის, ბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების არქეოლოგიური **ექსპოზიციები**. დავიწყოთ უძველესი პერიოდიდან: აქ **გამოფენილი** თავის ქალები 1.8 მილიონი წლით თარიღდება. პირველი ქართველები, რომლებიც პირველი ევროპელებიც არიან, 1999 – 2001 წელებში დმანისის რეგიონში **აღმოაჩინეს**. **ჰომინიდთა** ამ ტიპს მოგვიანებით „ჰომო გეორგიკუსი“ შეარქვეს. დღეისათვის უკვე ხუთი თავის ქალაა აღმოჩენილი. პირველად ქალისა და მამაკაცის თავის ქალები აღმოჩნდა. მათი სახელები ზეზვა და მზია ქართულია და ყველა ენაზე მარტივად გამოითქმის.“ – ასე დაიწყო სამუზეუმო ექსკურსია ნათიამ. ეს პირველი სამუშაო დღე არაა მისთვის, მაგრამ მაინც ღელავს. მას კარგად ესმის, რომ ყველა ტურისტული ჯგუფი განსხვავებულია და მათი ინტერესები უნდა გაითვალისწინოს.

ნათია თავად იყო ჩართული სამუზეუმო ექსკურსიის მომზადებაში. იგი ჯგუფის წევრებთან ერთად დეტალურად გაეცნო მუზეუმში გამოფენილ ექსპონატებსა და **ფონდებს**. მან კოლეგებთან ერთად შეადგინა **მარშრუტი, საკონტროლო ტექსტი** და ტექნოლოგიური რუკა. მათ ასევე განსაზღვრეს თხრობის **მეთოდური ხერხები**.

ნათიას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ყურადღება იმ მასალაზე უნდა გაამახვილოს, რომელიც დამთვალიერებელზე **გავლენას მოახდენს**. საჩვენელ მასალას უნდა ჰქონდეს **შემეცნებითი ღირებულება**, უნიკალურობა და **ექსპრესიულობა**.

ნათიასთვის ცნობილია, რომ მუზეუმების როლი კულტურულ ტურიზმში დიდია. არავინ დავობს იმაზე, რომ კულტურული ტურიზმი სრულფასოვანი მუზეუმების გარეშე წარმოუდგენელია. თავის მხრივ, ტურიზმი გავლენას ახდენს მუზეუმების განვითარებაზე. ამ გავლენაზე სტატისტიკაც



მიუთითებს: 2006 წელს ავსტრიის მუზეუმები დამთავლიერებლეთა 43 % ტურისტია. გერმანიაში 6175 მუზეუმი ფუნქციონირებს. 2006 წელს მუზეუმი 102.6 მილიონმა დამთვალიერებელმა მოინახულა. აქვე

აღსანიშნავია, რომ ამ წელს გერმანიის მუზეუმებმა 9000-ზე მეტი **თემატური გამოფენა** მოაწყო.

გამოცდილების გათვალისწინება ნათიასათვის ცხოვრების წესია. გამოცდილებამ აჩვენა, რომ **დამოუკიდებლად დათვალიერება** და **პაუზა** მნიშვნელოვანია. ექსკურსიის დამთავრების შემდეგ იგი ტურისტებს 2-3 წუთს აძლევს ექსპონატების დამოუკიდებლად დასათვალიერებლად.

3.3. ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. სად იმყოფება ტურისტების ჯგუფი ტექსტის მიხედვით?
2. რის შესახებ საუბრობს ექსკურსიამძღოლი ნათია?
3. რა ევალება კარგ გიდს?
4. ტექსტის მიხედვით, როგორ უნდა მოემზადოს გიდი ექსკურსიისთვის? რა უნდა შეადგინოს მან წინასწარ?
5. რა მასალაზე ამახვილებს გიდი ყურადღებას?
6. როგორია ადამიანების ინტერესი მუზეუმებისადმი? რა სტატისტიკა არის ტექსტში?
7. რას ნიშნავს „დამოუკიდებლად დათვალიერება“?
8. ტექსტის მიხედვით, ტურისტებისათვის რა საინტერესო მასალა არის მუზეუმში, რაზეც ექსკურსიამძღოლმა ყურადღება გაამახვილა?

ახალი სიტყვები:	**ახალი ფრაზები:**
ექსკურსიამძღოლი დაცულია წარმოდგენილია დათარიღებული ექსპოზიცია გამოფენილი ჰომინიდი თავის ქალა ფონდი მარშრუტი ექსპრესიულობა თემატური გამოფენა ღელავს დავობს	მე გახლავართ მას კარგად ესმის = მან კარგად იცის ჯგუფის წევრებთან ერთად მუზეუმის ფონდები თემატური გამოფენა საკონტროლო ტექსტი ტექნოლოგიური რუკა თხრობის მეთოდური ხერხები არავინ დავობს იმაზე, რომ ... აღსანიშნავია, რომ ცხოვრების წესია გამოცდილებამ აჩვენა, რომ ექსკურსიის დამთავრების შემდეგ ყურადღება უნდა გაამახვილოს ------ ზე გავლენას მოახდენს/ ახდენს ------ზე მისთვის ცნობილია, რომ....

3.4. ისაუბრეთ:

თქვენი ნება რომ იყოს და შესაძლებლობა გქონდეთ, როგორი ტიპის მუზეუმს შექმნიდით? რა იქნებოდა მასში და როგორ მოიზიდავდით დამთვალიერებლებს?

დაიმახსოვრეთ!

სიტყვათწარმოება		
საწყისი	ის, რაც უნდა ... (სა–)	ის, ვინც ... (მ–)
თქმა	სათქმელი	მთქმელი
გამოთქმა	გამოსათქმელი	გამომთქმელი
აღმოჩენა	აღმოსაჩენი	აღმომჩენი
დაწყება	დასაწყები	დამწყები
მოწყობა	მოსაწყობი	მომწყობი
განსაზღვრა	განსასაზღვრი	განმსაზღვრელი
მიცემა	მისაცემი	მიმცემი
გაკეთება	გასაკეთებელი	გამკეთებელი
დათვალიერება	დასათვალიერებელი	დამთვალიერებელი
მონახულება	მოსანახულებელი	მომნახულებელი
ნახვა	სანახავი	მნახველი

3.5. წაიკითხეთ წინადადებები და შეარჩიეთ სწორი ფორმა:

1. ამ გამოფენის ———————————— ნახვა ძალიან მინდა. (ის, ვინც მოაწყო)
2. რამდენიმე მეგობარი მუზეუმის ———————————— მივდივართ. (ის, რაც უნდა დავათვალიეროთ)
3. კახეთში რამდენიმე ადგილი მაქვს ————————————. (ის, რაც უნდა ვნახო)
4. ამ მუზეუმის ———————————— რიცხვი ათი ათასზე მეტია ერთ თვეში. (იც, ვინც მოინახულა)
5. გამოფენის ———————————— რიგში დგანან. (ისინი, ვინც ათვალიერებენ)
6. ამ კარგი საქმის ———————————— ჩვენი ხელმძღვანელია. (ის, ვინც დაიწყო)
7. რამდენი კარგი მუზეუმი მაქვს ————————————. (ის, რაც უნდა ვნახო)
8. ამ გამოფენის შესახებ ბევრი რამე არის ————————————. (ის, რაც უნდა თქვა)
9. არქეოლოგიური გათხრების შედეგად კიდევ ბევრი რამე იქნება ————————————. (ის, რაც უნდა აღმოაჩინო)
10. ტურისტული კომპანიების წარმატების ———————————— არის ჩვენს ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა. (ის, რაც / ვინც განსაზღვრავს)

საწყისი	**ახლანდელი**	**მომავალი**	**წარსული**	**მომავალი+უნდა**	**თურმეობითი**
აღმოჩენა	აღმოაჩენს	აღმოაჩენს	აღმოაჩინა	უნდა აღმოაჩინოს	აღმოუჩენია
აღმოჩენა (ვნებითი)	აღმოჩნდება	აღმოჩნდება	აღმოჩნდა	უნდა აღმოჩნდეს	აღმოჩენილა
დაწყება	იწყებს	დაიწყებს	დაიწყო	უნდა დაიწყოს	დაუწყია
მოწყობა	აწყობს	მოაწყობს	მოაწყო	უნდა მოაწყოს	მოუწყვია
განსაზღვრა	განსაზღვრავს	განსაზღვრავს	განსაზღვრა	უნდა განსაზღვროს	განუსაზღვრავს
მიცემა	აძლევს	მისცემს	მისცა	უნდა მისცეს	მიუცია

3.6. დაიყავით წყვილებად და შექმენით წინადადებები და მინიდიალოგები მოცემული ზმნების გამოყენებით:

დაიმახსოვრეთ!

ტექსტში აზრების დასაკავშირებლად ხშირად გამოიყენება ამგვარი ფორმები: თავის მხრივ, ერთი მხრივ, მეორე მხრივ. ეს ფორმები უფრო ტექსტს უფრო მოწესრიგებულად და ორგანიზებულად წარმოაჩენს.
ტექსტის ან თხრობის ორგანიზებისთვის ასევე კარგი დამხმარეა შემდეგი ენობრივი საშუალებების გამოყენება:
აღსანიშნავია, რომ... უნდა აღვნიშნოთ, რომ... გამოცდილებამ აჩვენა, რომ... ვფიქრობ... ჩემი აზრით... რა თქმა უნდა, ... არავინ დავობს იმაზე, რომ ... ჩვენთვის კარგად ცნობილია, რომ... ყველასათვის ცნობილია, რომ...

3.7. ეცადეთ გადმოსცეთ ზემოთ მოცემული ტექსტის შინაარსი თხრობით და გამოიყენოთ ფრაზები:

3.8. დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვა და მისი განმარტება:

1. ექსკურსიამძღოლი	ა. შენახულია
2. დაცულია	ბ. მითითებული, თუ რომელ წელს მოხდა მოვლენა
3. წარმოდგენილია	გ. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
4. დათარიღებული	დ.. გარკვეული თემის მიხედვით შედგენილი გამოფენა
5. ექსპოზიცია	ე. სპეციალური ადგილები განსაკუთრებული სამუზეუმო ნივთების შესანახავად
6. გამოფენილი	ვ. რაიმე მნიშვნელოვანი ღირსების, გრძნობის გამოხატულება
7. ჰომინიდი	ზ. წინასწარ დასახული გზა, გასაჩერებელი პუნქტებისა და დროის აღნიშვნით
8. თავის ქალა	**თ. იგივეა, რაც გიდი**
9. ფონდი	ი. მოთავსებულია საჩვენებელ ადგილას
10. მარშრუტი	კ. საჩვენებლად და დასათვალიერებლად გამოტანილი და გარკვეული სისტემით დალაგებული ნივთები
11. ექსპრესიულობა	ლ. ადამიანის თავის ჩონჩხი
12. თემატური გამოფენა	მ. დასათვალიერებლად გამოტანილი

3.9. შეარჩიეთ სწორი ფორმა:

<u>ნიმუში:</u> <u>გიდმა</u> კოლეგებთან ერთად შეადგინა ექსკურსიის მარშრუტი. (გიდი, გიდმა, გიდს)

1. ———————————— წინასწარ განსაზღვრა თხრობის მეთოდური ხერხები. (ნათია, ნათიამ, ნათიას)
2. ———————————————— გიდისთვის რამდენიმე შეკითხვის დასმა უნდოდათ. (ტურისტები, ტურისტებმა, ტურისტებს)
3. აბრეშუმის მუზეუმი წელს ———————————————— მოინახულა. (ბევრი ტურისტი, ბევრმა

ტურისტმა, ბევრ ტურისტს)

4. ---------- რამდენიმე თემატური გამოფენა წარმოადგინა. (მუზეუმი, მუზეუმმა, მუზეუმს)
5. ---------- თავად იყო ჩართული ექსკურსიის მოწყობაში. (ნათია, ნათიამ, ნათიას)
6. ამ ---------- წელს ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა. (მუზეუმი, მუზეუმმა, მუზეუმს)
7. ---------- ჯგუფს რამდენიმე წუთი მისცა დამოუკიდებლად დასათვალიერებლად. (ექსკურსიამძღოლი, ექსკურსიამძღოლმა, ექსკურსიამძღოლს)
8. ამ ---------- რამდენიმე შესანიშნავი გამოფენა მოაწყო და დამთვალიერებლების დიდი ინტერესი გამოიწვია. (მუზეუმი, მუზეუმმა, მუზეუმს)
9. მუზეუმის ---------- კერარ დაუწყია დამთვალიერებლების მიღება. (ადმინისტრაცია, ადმინისტრაციამ, ადმინისტრაციას)

3.10. ისაუბრეთ: რა იცით მუზეუმის საერთაშორისო დღის შესახებ?

3.11. წაიკითხეთ ტექსტი:

18 მაისი მუზეუმების საერთაშირისო დღეა. 1977 წლიდან მუზეუმების სართაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებით მთელ მსოფლიოში აღინიშნება ეს დღე. 150 ქვეყანაში ყველა მუზეუმი ღიაა, ტარდება კონფერენციები და სხვადასხვა ღონისძიებები. 2015 წლიდან საქართველოს მუზეუმები აქტიურად შეუერთდნენ მუზეუმების ღამის აქციასამ დღეს საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმი დამთვალიერებელს სრულიად უფასოდ უმასპინძლებს და მრავალფეროვან პროგრამას შესთავაზებს.

3.12. ისაუბრეთ: რომელ მუზეუმში ისურვებდით წასვლას ამ დღეს და რატომ?

3.13. წაიკითხეთ დიალოგი მეწყვილესთან ერთად და წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით:

— არ გინდა, ხვალ მუზეუმში წავიდეთ? ყველა მუზეუმები 21 საათზე გაიღება ღამის 12–1 დაუხურება.
— რატომ? რა ხდება?
— აქციაა, მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნება, წელს მეორედ ტარდება, სპეციალური ექსპოზიციებიც ეწყობა!
— რა საინტერესოა და ბილეთები იგივე ფასია?
— უფასოა, ნებისმიერ მუზეუმში შესვლა უფასო იქნება!
— მგონი რამდენიმე მუზეუმის მონახულებას შევძლებთ! რას იტყვი?
— მე ჯანაშიას მუზეუმს ვნახავდი! დმანისის ახალი აღმოჩნები არ მინახავს. იცი, დმანისში აღმოჩენილ ჰომინიდებს ჰომო გეორგიკუსს უწოდენებ მეცნიერები.
— მეც სიამოვნებით წამოვალ, მაინტერესებს. საოცრად ექსპრესიული უნდა იყოს მზიასა და ზეზვას სახეები!
— ექსკურსიამძღოლი თუ იქნება?
— მგონი, უნდა იყოს, თუმცა მე ძალიან მიყვარს დამოუკიდებლად დათვალიერება, თან იმდენი ინფორმაციაა, ყურსასმენებითაც შეგიძლია მოსმენა. იქვეა ელექრონული რესურსებიც. იქიდან სად წავიდეთ?
— აბრეშუმის მუზეუმი მაინტერესებს. არასდროს ვყოფილვარ
— მე ვარ ნამყოფი, მაგრამ მაინც სიამოვნებით წამოვალ, ახალი თემატური გამოფენები აქვთ ხოლმე. მგონი ერთსაც მოვასწრებთ
— ხალხური საკრავების მუზეუმშიც ხომ არ წავიდეთ? მართალია საკრავები 1.8 მილიონი წლით არ

თარიღდება, მაგრამ ძალიან საინტერესო ექსპონატებია დაცული ამ მუზეუმში, თან ახლოსაა ჩვენს სახლთან.

3.14. მოუსმინეთ ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რის შესახებ არის ტექსტი?
2. რა კავშირია დიალოგსა და მოსმენილ ტექსტს შორის?
3. როდის აშენდა მუზეუმის შენობა?

3.15. მოსმენილი ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ, რომელი ინფორმაციაა ტექსტში (+) და რომელი არა (–)?

ტექსტში არის ინფორმაცია მუზეუმის დაარსების შესახებ.	
მუზეუმში არის მრავალფეროვანი კოლექცია	
მუზეუმში მხოლოდ ქართული ნიმუშებია წარმოდგენილი	
მუზეუმში არის პეპლების კოლექცია	

ეს საინტერესოა!

3.16. წაიკითხეთ ტექსტი და შემდეგ მოიძიეთ ინტერნეტში ფოტომასალა ამ მუზეუმის შესახებ:

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი – მას ხშირად ასეც უწოდებენ: „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“. ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისშია. იგი დაარსდა1966 წელს. მუზეუმის დაარსების იდეის ავტორი და განმახორციელებელი იყო ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია. მუზეუმი წარმოადგენს საქართველოს მინიატურულ მოდელს და ასახავს მის მრავალფეროვან ეთნოკულტურას: დასახლების ფორმებს, ხალხური არქიტექტურას, მატერიალურ და სულიერ კულტურას, ქართველი ხალხის აზროვნებას და გემოვნებას. მისი ტერიტორიაა 52 ჰექტარი.

მუზეუმში წარმოდგენილია საქართველოს სამი ძირითადი არეალი: აღმოსავლეთ საქართველოს ბარი, დასავლეთ საქართველოს დაბლობი და საქართველოს მთიანეთი. ეთნოგრაფიულ მუზეუმში 14 ეთნოგრაფიული ზონაა: ქართლი, სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთი, სვანეთი, ხევსურეთი, კახეთი, მესხეთი, ჯავახეთი, გურია, იმერეთი, რაჭა და ლეჩხუმი. საექსპოზიციო ზონები ისტორიულ–ეთნოგრაფიული, რეალობისთვის დამახასიათებელი სამეურნეო ნაგებობებითა და ნივთებითაა წარმოდგენილი. მუზეუმში თავმოყრილია სამოცდაათი საცხოვრებელი სახლი. მუზეუმში ხუროთმოძღვრების ნიმუშებთან ერთად დაცულია მატერიალური კულტურის რვა ათასამდე ექსპონატი, საბრძოლო და შრომის იარაღი, საყოფაცხოვრებო ავეჯი, კერამიკა და სხვა. მუზეუმი სამეცნიერო–საგანმანათლებლო დაწესებულებაა. იგი პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმია კავკასიაში. მუზეუმში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც ბავშვებს საშუალება აქვთ, პრაქტიკულად შეისწავლონ ტრადიციული სამჭედლო და სამეთუნეო (თიხის, ჭურჭლის დამზადების) ტექნოლოგიები. მუზეუმის მეთერთმეტე ზონაში ისტორიულ–არქეოლოგიური ძეგლებია განთავსებული. აქ წარმოდგენილია სიონის V–VI საუკუნეების ბაზილიკა და აკლდამა, აგრეთვე რელიეფურ საფლავის ქვათა მდიდარი კოლექცია.

მუზეუმის პირველი ექსპონატი იყო, თიანეთში სოფელ სიონში შემთხვევით აღმოჩენილი ქვის

აკლდამა, რომელიც მდებარეობდა იმ ეკლესიის ქვეშ, რომელიც სიონის წყალსაცავის დაგუბების გამო დაიშალა და გამიზნული იყო თბილისის მუზეუმში გადმოსატანად.

3.17. მოიძიეთ ინტერნეტში პროგრამა „ერთი დღე მუზეუმში“ (#დღემუზეუმში), თქვენი სურვილის მიხედვით შეარჩიეთ რომელიმე ფილმი, შემდეგ კი გააცანით თქვენს ჯგუფს: დაწერეთ „გიდის ტექსტი“ და გაუწიეთ ექსკურსიამძღოლობა თქვენს ჯგუფს ამ მუზეუმში.

3.18. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **როგორ მოვემზადოთ ტურისთვის**

_____

_____

_____

VI თავი ტურიზმის მარკეტინგი და რეკლამა

I ნაწილი ტურიზმი და რეკლამა

1.1. კითხვები გამოწვევისათვის:

1. რომელი პროდუქტის ან სერვისის რეკლამა გახსენდებათ?
2. როგორია ამ რეკლამის შინაარსი (დეტალები, აქცენტი რაზე კეთდება)
3. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს მომსახურების რეკლამა, რომ მომხმარებელი მიიზიდოს?
4. პროდუქტისა თუ სერვისის უკეთ გასაყიდად რეკლამა აუცილებელია?

1.2. წაიკითხეთ ტექსტი:

ტურიზმი და რეკლამა

ქვეყნის პოტენციალის წარმოჩენა მსოფლიოს **ტურისტულ ბაზარზე** რეკლამის **გარეშე** შეუძლებელია. რეკლამისა და **ბაზრის კვლევა** წარმატებული ტურისტული ბიზნესის საფუძველია. საქართველოში ტურიზმის სფეროს განვითარებაზე ეკონომიკის სამინისტროს **ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია** ზრუნავს. მათი მიზანია საქართველოს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, ქვეყანაში უცხოელი **ტურისტების მოზიდვა** და შიდა ტურიზმის განვითარება.

2018 წელს, საქართველოს ზამთრის კურორტები ბიბისის (BBC) მრავალმილიონიანმა **აუდიტორიამ** გაიცნო. ზამთრის ტურისტული კამპანიის ფარგლებში საქართველოს შესახებ **საიმიჯო ვიდეორგოლი** მომზადდა. ზამთრის სეზონის **სარეკლამო რგოლის** ჩვენება ერთი თვე გაგრძელდა და იგი ბიბისის **მაყურებელმა** 246-ჯერ იხილა. ტელეკომპანია ბიბისის **მაუწყებლობა** 200-ზე მეტ ქვეყანაში ვრცელდება და დაახლოებით 434 მილიონი მაყურებელი ჰყავს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ფიქრობს, რომ მსგავსი რეკლამა **ხელს შეუწყობს** საქართველოს პოპულარიზაციას მსოფლიოში.

ზაფხულის **მარკეტინგული კამპანიის** შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის **ხელმძღვანელმა**, გიორგი ჩოგოვაძემ **პრესკონფერენცია გამართა**. პრესკონფერენციას კომპანია გუგლის (google) **წარმომადგენლებიც** დაესწრნენ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

კომპანიასთან უკვე მესამე წელია **თანამშრომლობს**. გუგლი აქტიურად იყო ჩართული ზაფხულის **მარკეტინგული კამპანიის** დაგეგმვასა და **განხორციელებაში.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ზაფხულის სეზონისათვის 14 **მიზნობრივ** ბაზარზე იწყებს მარკეტინგულ კამპანიას. 25 მარტიდან 30 ივნისის **ჩათვლით ინტერნეტკამპანია** შემდეგ ქვეყნებში ჩატარდება: რუსეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, გერმანია, იტალია, პოლონეთი, ისრაელი, უკრაინა, ბელორუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქეთი, ლიტვა, ლატვია. ამ ქვეყნების ბაზრებზე საქართველოს **ტურისტული პროდუქტების** რეკლამებს ნახავენ. სარეკლამო კამპანიის შინაარსი საზღვაო და სამთო კურორტების, ბუნების, ღვინის, სამზარეულოს, კულტურის, სათავგადასავლო და ეკოტურიზმის პოპულარიზაცია იქნება.

ინტერნეტკამპანიის **გარდა**, რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინასა და ბელორუსში **სატელევიზიო რეკლამაც** გავა. ზაფხულის სარეკლამო რგოლები **წამყვან სატელევიზიო არხებზე განთავსდება**.

2018 წელს ონლაინ კამპანიისათვის 3498 336 ლარი, ხოლო სატელევიზიო რეკლამისათვის 4 091500 ლარი დაიხარჯება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, წლევანდელი ზაფხულიც არანაკლებ წარმატებული იქნება, რის **საფუძველსაც** ზაფხულის ძლიერი მარკეტინგული კამპანია ქმნის.

1.3. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა ტიპის სარეკლამო საქმიანობა უნდა განხორციელდეს 2018 წელს?
2. რატომ ვარაუდობენ, რომ ზაფხული ტურისტული თვალსაზრისით, წარმატებული იქნება?
3. 2018 წელს რის შესახებ მიიღო ინფორმაცია ბიბისის (BBC) მრავალმილიონიანმა აუდიტორიამ?
4. რა მიზანი აქვს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციას?
5. რა საკითხზე გამართა გიორგი ჩოგოვაძემ პრესკონფერენცია?

1.4. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+), არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
2017 წელს საქართველოს ზამთრის კურორტები ბიბისის (BBC) მრავალმილიონიანმა აუდიტორიამ ნახა		
პრესკონფერენციას კომპანია გუგლის (google) წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ		
კომპანია გუგლი დამოუკიდებლად ახორციელებდა მარკეტინგული კამპანიის დაგეგმვას		
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ფიქრობს, რეკლამა ხელს შეუწყობს საქართველოს პოპულარიზაციას მსოფლიოში		
რეკლამისა და ბაზრის კვლევა წარმატებული ტურისტული ბიზნესის საფუძველია		
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ზამთრის სეზონისათვის 14 მიზნობრივ ბაზარზე იწყებს მარკეტინგულ კამპანიას		
ონლაინ კამპანიისათვის 4 091500 ლარი, ხოლო სატელევიზიო რეკლამისათვის 3498 336 ლარი დაიხარჯება		

1.5. დაასრულეთ წინადადებები:

1. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიზანია ....
2. ზამთრის ტურისტული კამპანიის ფარგლებში....
3. ტურისტულ ბაზარზე რეკლამისა და ბაზრის კვლევის გარეშე....
4. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით...
5. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ზაფხულის სეზონისათვის....

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
მაყურებელი მაუწყებლობა ხელმძღვანელი წარმომადგენელი განხორციელება ინტერნეტკამპანია საფუძველი აუდიტორია (სივრცე, საზოგადოება) იმიჯი არხი პრესკონფერენცია მიზნობრივი გაერთიანებული თანამშრომლობს	ტურისტულ ბაზარზე რეკლამის გარეშე ბაზრის კვლევა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ტურისტების მოზიდვა საიმიჯო ვიდეორგოლი სარეკლამო რგოლი სატელევიზიო არხი ხელის შეწყობა მარკეტინგული კამპანია პრესპონფერენციის გამართვა რეკლამის განთავსება ტურისტული პროდუქტი ხელმძღვანელის თქმით რეკლამის გარეშე/გარდა/ჩათვლით

1.6. **იმსჯელეთ:** დაეთანხმეთ ან უარყავით მოსაზრება – რეკლამის გარეშე წარმატებული ტურისტული სეზონი წარმოუდგენელია.

სინონიმები	
დარგი– სფერო	ნახა–იხილა
მოწინავე –წამყვანი	კვლევა–შესწავლა
ფიქრობს–მიიჩნევს	ჩაატარა–გამართა

1.7. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, რომელი სინონიმები გხვდებათ.

ანტონიმები	
სუსტი – ძლიერი	უცხოელი–ადგილობრივი (ტურისტი)
შესაძლებელი – შეუძლებელი	წარმატებული–წარუმატებელი

1.8. წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ წარმოდგენილი ანტონიმები:

დაიმახსოვრეთ!

–დან ... –მდე, ...+ის ჩათვლით
წაიკითხეთ წინადადებები:
სახლიდან უნივერსიტეტამდე მისასვლელად 15 წუთია საჭირო.
25 მარტიდან 30 ივნისის ჩათვლით ინტერნეტკამპანია ჩატარდება.
საბუთებს საკონკურსო კომისია 5–დან 25 მარტამდე მიიღებს.
რომელი წინადადება გამოხატავს დროის მონაკვეთს, რომელი ადგილს?

1.9. იმუშავეთ წყვილებში: შეადგინეთ წინადადებები ან მინიდიალოგი:

დაიმახსოვრეთ!

ზმნის აქტიური ფორმები:				
საწყისი	**წარსული**	**ახლანდელი**	**მომავალი**	**თურმეობითი**
კვლევა	გამოიკვლია	იკვლევს	გამოიკვლევს	გამოუკვლევია
ჩამოყალიბება	ჩამოაყალიბა	აყალიბებს	ჩამოაყალიბებს	ჩამოუყლიბებია
განხორციელება	განახორციელა	ახორციელებს	განახორციელებს	განუხორციელებია
განვითარება	განავითარა	ავითარებს	განავითარებს	განუვითარებია
მომზადება	მოაზადა	ამზადებს	მოამზადებს	მოუმზადებია
გაგრძელება	გააგრძელა	აგრძელებს	გააგრძელებს	გაუგრძელებია
დაწყება	დაიწყო	იწყებს	დაიწყებს	დაუწყია
გამართვა	გამართა	მართავს	გამართავს	გაუმართავს

1.10. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

დააკვირდით!

ზმნის პასიური ფორმები:				
საწყისი	**წარსული**	**ახლანდელი**	**მომავალი**	**თურმეობითი**
ჩამოყალიბება	ჩამოყალიბდა	ყალიბდება	ჩამოყალიბდება	ჩამოყალიბებულა
განხორციელება	განხორციელდა	ხორციელდება	განხორციელდება	განხორციელებულა
განვითარება	განვითარდა	ვითარდება	განვითარდება	განვითარებულა
მომზადება	მომზადდა	მზადდება	მომზადდება	მომზადებულა
გაგრძელება	გაგრძელდა	გრძელდება	გაგრძელდება	გაგრძელებულა
დაწყება	დაიწყო	იწყება	დაიწყება	დაწყებულა
გამართვა	გაიმართა	იმართება	გაიმართება	გამართულა

გაიხსენეთ!

კამპანია/კომპანია

1.11. შეადგინეთ რამდენიმე წინადადება სიტყვების გამოყენებით:

დააკვირდით!

თანდებულის ფუნქცია წინადადებებში:
რეკლამის გარეშე წარმატებული გაყიდვები შეუძლებელია
ექსკურსიაზე მოსწავლეებს გიდის გარდა დაცვაც გაჰყვებათ
საინტერესო ტურის შესახებ რეკლამიდან შევიტყვე

1.12. გაითვალისწინეთ თანდებულთა ფუნქციები და შეადგინეთ წინადადებები. გამოიყენეთ: გარეშე, გარდა, შესახებ.

1.13. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რატომ უნდა დიალოგის მონაწილეს ბათუმში წასვლა?
2. საიდან, რომელი ქვეყნიდან ჩამოდიან სტუმრები?
3. რისი ნახვა სურთ სტუმრებს?
4. რატომ არის ქვეყნისთვის ბევრი ტურისტი სასურველი?

1.14. დიალოგის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+), არასწორი (–)

	სწორი	არასწორი
ზამთრის სეზონზე ბევრი ტურისტი იყო ჩამოსული საქართველოში		
ყველაზე მეტი ტურისტი ბაკურიანში იყო		
უკრაინიდან ჩამოსულ სტუმრებს ჯაზფესტივალზე დასწრება სურთ		
ტურისტების მეორე ნაწილს ნაციონალური ცეკვის კონცერტის ნახვა სურს		
სატელევიზიო რეკლამა იაფი და ეფექტურია		
მეტი ტურისტი მეტ დასაქმებულ ადამიანს ნიშნავს		

1.15. რას დაარქმევდით დიალოგს?

_____

1.16. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **კარგი რეკლამა ტურიზმისთვის**

_____

_____

_____

II ნაწილი ტურიზმი და სახელმწიფო პოლიტიკა

2.1. კითხვები გამოწვევისათვის:

1. თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა ტურიზმის მხარდაჭერა?
2. როგორ /რით შეიძლება დაეხმაროს სახელმწიფო ტურიზმის განვითარებას?
3. რა ტიპის მხარდაჭერა შეიძლება დასჭირდეს ტურიზმში ჩართულ კომპანიებს?

2.2. დააკავშირეთ სახელწოდება ფოტოებთან:

ჭადრაკი	**ფარიკაობა**	**ფრენბურთი**	**ჯომარდობა**

ისაუბრეთ: სპორტის რომელი სახეობა უფრო მოგწონთ და რატომ.

_____

_____

_____

_____

2.3. წაიკითხეთ ტექსტი:

ტურიზმის **განვითარების ხელშეწყობა** ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ტურიზმის განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურაზე ზრუნვის გარდა, მნიშვნელოვანია **გასართობი** და **თემატური ღონისძიებების** ორგანიზება. ამ მიზნით 2016 წელს საქართველოს მთავრობის **ინიციატივითა** და **მხარდაჭერით** მომზადდა პროექტი „ჩექ ინ ჯეორჯია“ (Check in Georgia). პროექტი მოიცავს უმნიშვნელოვანესი **სპორტული** და **კულტურული ღონისძიებების** ორგანიზებას ქვეყნის მასშტაბით. პროექტის მიზანია მთელი წლის განმავლობაში საქართველოს **კულტურულ ცენტრად** ქცევა და **ტურისტების მოზიდვა**.

პროექტი უკვე ტრადიციული გახდა და მეტი მრავალფეროვნება შეიძინა.

„ჩექ ინ ჯეორჯიას“ ფარგლებში უკვე დაიგეგმა და ჩატარდა 129 ღონისძიება. მათ შორის აღსანიშნავია ენიო მორიკონეს, ,,აეროსმიტის,“ ქეთი მელუასა და სხვა მსოფლიო დონის ვარსკვლავების კონცერტები შეკვეთილში. პროექტის ფარგლებში აჭარაში გაიმართა ჯიფსი კინგისა, მარუნ ფაივისა და სხვა ძალიან ცნობილი ჯგუფების კონცერტი. ბათუმში **მოეწყო** არაერთი ფოლკლორული სანახაობა და ფესტივალი, **გაიმართა** ექსპერიმენტული სპექტაკლები, **ჩატარდა** ტრადიციული ჯაზ ფესტივალი და სხვა უამრავი ღონისძიება.



2017 წელს, პროექტის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება, **განხორციელდა,** მაგალითად, ფარიკაობის **ევროპის ჩემპიონატი**, **მსოფლიო თასი** ჭადრაკში, ევროპის ჩემპიონატი ფრენბურთში ქალთა შორის, ევროპის ჩემპიონატი ჯომარდობაში.

Check in Georgiaს 2018 წლის **ბიუჯეტი** 20 მილიონს შეადგენს. თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხარჯება **ქართველი შემსრულებლების** კონცერტების ორგანიზებაზე. პროექტის ფარგლებში საქართველოს რამდენიმე რეგიონში გაიმართება სუხიშვილების, ერისიონის, რუთავისა და თბილისის სახელმწიფო **კამერული ორკესტრის** კონცერტები.

პროექტის ფარგლებში იგეგმება **საბალეტო ფესტივალის** ორგანიზება თბილისში, **ელექტრონული მუსიკის ფესტივალის** გამართვა საგურამოში, არტ არეას ეზოს ფესტივალის **მხარდაჭერა** და სხვა.

2018 წელს იტალიის საელჩოსთან აქტიური მოლაპარაკებით, სამი გამოფენა იგეგმება: **აღორძინების ეპოქის გრაფიკა**; ტიციანი, ფერთა დიდოსტატი და ბერნინი (**რომაული –ბაროკო).**

პროექტი ,,ჩექ ინ ჯორჯია“ წარმოადგენს **სახელმწიფო ინვესტიციას** ტურიზის სფეროში. **კრიტიკის მიუხედავად**, ყველა თანხმდება, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ქვეყნის პოპულარიზაციაზე და არსებული გარემო უფრო მიმზიდველი გახადოს საერთაშორისო ტურისტებისათვის.

2.4. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა მიზნით დაიგეგმა პროექტი ,,ჩექ ინ ჯორჯია?“
2. სად იგეგმება საბალეტო ფესტივალის გამართვა?
3. რომელი მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები ჩატარდა 2017 წელს?
4. რომელ ქალაქში მოეწყო ფოლკლორული და ჯაზფესტივალი?
5. როდის მომზადდა საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით პროექტი „ჩექ ინ ჯეორჯია“ (Check in Georgia)?\

2.5. ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით დაწერეთ სწორი/არასწორი:

	სწორი	არასწორი
იტალიის საელჩოსთან მოლაპარაკებით, სამი გამოფენა დაიგეგმა		
ყველა ფიქრობს, რომ ქვეყნის პოპულარიზაციაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს		
პროექტი ,,ჩექ ინ ჯორჯია“ კერძო ინვესტიციაა ტურიზის სფეროში		
,,ჩეკ ინ ჯორჯიას“ ბიუჯეტის ნაწილი ქართველი შემსრულებლების კონცერტებზე დაიხარჯება		
,,ჩეკ ინ ჯორჯიას“ ბიუჯეტი 2018 წელს 20 მილიონს აჭარბებს		

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
შემსრულებელი ინფრასტრუქტურა მხარდაჭერა მრავალფეროვნება სანახაობა ფარიკაობა ბალეტი ჭადრაკი ფრენბურთი ჯომარდობა საელჩო გამოფენა	სახელმწიფო ინვესტიცია ქვეყნის პოპულარიზაცია კრიტიკის მიუხედავად სპორტული/კულტურული ღონისძიება სახელმწიფო პოლიტიკა განვითარების ხელშეწყობა მთავრობის ინიციატივა ღონისძიებების ორგანიზება ქვეყნის მასშტაბით კამერული ორკესტრი აღორძინების ეპოქა

2.6. დაასრულეთ წინადადებები:

1. კრიტიკის მიუხედავად, ყველა თანხმდება, რომ ...
2. პროექტის ფარგლებში საქართველოს რამდენიმე რეგიონში გაიმართება სუხიშვილების...
3. ,,ჩეკ ინ ჯორჯიას“ ფარგლებში უკვე დაიგეგმა და ჩატარდა 129 ღონისძიება, მათ შორის აღსანიშნავია...
4. ტურიზმის განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურაზე ზრუნვის გარდა...
5. პროექტის მიზანია მთელი წლის განმავლობაში...

დაიმახსოვრეთ!

სიტყვა	განმარტება
ინვესტიცია	კაპიტალის დაბანდება, თანხის ჩადება საქმეში
ჩემპიონატი	სპორტის რაიმე სახეობაში გამართული შეჯიბრება, რომელმაც უნდა გამოავლინოს გამარჯვებული
ინიციატივა	თაოსნობა რაიმე საქმეში
პოპულარიზაცია	რისამე ფართო მასებში გავრცელება, ყველასათვის ხელმისაწვდომად ქცევა
მხარდაჭერა	მიმხრობა (ემხრობა, მხარს უჭერს)
ბიუჯეტი	სახელმწიფოს, დაწესებულების ან ვისიმე პირადი შემოსავალი და ხარჯები

2.7. დაეთანხმე ან უარყავი:

არსებობს მოსაზრება, რომ ტურიზმი სახელმწიფოს დახმარების გარეშეც შეიძლება განვითარდეს.

დააკვირდით!

,,თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხარჯება ქართველი შემსრულებლების კონცერტების ორგანიზებაზე.“

2.8. მიუწერე მოცემულ სიტყვებს მართებული ფორმა – ქართველი ან ქართული:

---------- მომღერალი,
---------- პური,
---------- სუფრა,
---------- მსახიობი,
---------- ღვინო,
---------- ხალხი,
---------- მასპინძლობა,
---------- კომპანია

სინონიმები	
ორგანიზება–დაგეგმვა	გამართვა–ჩატარება
თანხმობა–დადასტურება	უამრავი– ბევრი

2.9. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, რომელი სინონიმები გხვდებათ:

ანტონიმები	
დათანხმება–უარყოფა	სახელმწიფო–კერძო (კომპანია)
მნიშვნელოვანი–უმნიშვნელო	უამრავი–ცოტა

2.10. წყვილებში: ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი.

წინადადებებში ყურადღება მიაქციეთ უნდა ფორმას და ზმნის დროს.
როგორი შინაარსია გადმოხატული უნდა სიტყვით?
სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ქვეყნის პოპულარიზაციაზე.
გიდმა არ უნდა გამოიჩინოს უყურადღებობა ტურისტების მიმართ.

დაიმახსოვრეთ!

უამრავი, არაერთი, რამდენიმე სიტყვებთან დაკავშირებული სახელები და ზმნები მხოლობით რიცხვში უნდა იყოს წარმოდგენილი:
მაგალითად: უამრავი ღონისძიება, არაერთი საკითხი, რამდენიმე რეგიონში (და არა: ~~უამრავი ღონისძიებები, არაერთი საკითხები, რამდენიმე რეგიონებში~~ და სხვა.).

2.11. იმუშავეთ წყვილებში, შეადგინეთ დიალოგი აღნიშნული სიტყვების გამოყენებით:

დაიმახსოვრეთ!

ზმნის აქტიური ფორმები:

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი	უნდა/ არ უნდა	თურმეობითი
მომზადება	მოამზადა	ამზადებს	მოამზადებს	მოამზადოს	მოუმზადებია
შეძენა	შეიძინა	იძენს	შეიძენს	შეიძინოს	შეუძენია
დაგეგმვა	დაგეგმა	გეგმავს	დაგეგმავს	დაგეგმოს	დაუგეგმავს
ჩატარება	ჩაატარა	ატარებს	ჩაატარებს	ჩაატაროს	ჩაუტარებია
გამართვა	გამართა	მართავს	გამართავს	გამართოს	გაუმართავს
მოწყობა	მოაწყო	აწყობს	მოაწყობს	მოაწყოს	მოუწყვია
შეადგენს	შეადგინა	ადგენს	შეადგენს	შეადგინოს	შეუდგენია
დახარჯვა	დახარჯა	ხარჯავს	დახარჯავს	დახარჯოს	დაუხარჯავს

2.12. დაიყავით წყვილებად და შეადგინეთ მინიდიალოგები მოცემული ზმნების გამოყენებით:

ზმნის პასიური ფორმები:

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი	უნდა/არ უნდა	თურმეობითი
მომზადება	მომზადდა	მზადდება	მომზადდება	მომზადდეს	მომზადებულა
დაგეგმვა	დაიგეგმა	იგეგმება	დაიგეგმება	დაიგეგმოს	დაგეგმილა
ჩატარება	ჩატარდა	ტარდება	ჩატარდება	ჩატარდეს	ჩატარებულა
გამართვა	გაიმართა	იმართება	გაიმართება	გაიმართოს	გამართულა
დახარჯვა	დაიხარჯა	იხარჯება	დაიხარჯება	დაიხარჯოს	დახარჯულა

2.13. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

2.14. ისაუბრეთ: რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ ტურისტული ინდუსტრია განავითაროს და ტურისტები მოიზიდოს ქვეყანაში.

2.15. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რომელი ქვეყნიდან ჩამოდის სტუმარი?
2. რა ჟანრის მუსიკა მოსწონს ჩამოსულ სტუმარს?
3. სად უნდა მოიძიო ინფორმაცია ,,ჩეკ ინ ჯორჯიას“ ღონისძიებების შესახებ?
4. რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოს მხრიდან ფესტივალების მხარდაჭერა?
5. რომელი მუზეუმის დათვალიერებაა შესაძლებელი ღია ცის ქვეშ?
6. რომელი კონცერტი გაიმართება 23-ში?

2.16. მოსმენილი დიალოგის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (–) ინფორმაცია:

	სწორი	არასწორი
ჩამოსულ სტუმარს ფოლკლორულ კონცერტზე სურს წასვლა		
ეროვნულ მუზეუმში მიქელანჯელოს ნამუშევრები ჩამოაქვთ		
სტუმარი საქართველოში მეორედ ჩამოდის		
ეროვნულ მუზეუმში მიქელანჯელოს გამოფენაზე მთელი ოჯახი წავა		
არტ გენი ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიმართება		
მეგობრები ერთმანეთს არტ გენზე შეხვდებიან		

2.17. რას დაარქმევდით დიალოგს?

2.18. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ფესტივალები და ტურიზმი**

_____

_____

_____

III ნაწილი საქართველოს ტურისტული პოტენციალი და განვითარების ტენდენციები

3.1. კითხვები გამოწვევისათვის:

1. თქვენი აზრით, მაქსიმუმია თუ არა იმ ტურისტების რაოდენობა, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან?
2. როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა პირობების გაუმჯობესება მეტი რაოდენობის ტურისტის მოზიდვის მიზნით?
3. თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით, რას დაამატებდით ან რას მოიფიქრებდით ახალს მეტი ტურისტის მოსაზიდად?

3.2. წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველოს პრემიერ–მინისტრმა და მსოფლიოში ცნობილმა მთამსვლელმა რაინჰოლდ მესნერმა პროექტ **„კავკასიის მთის ცენტრის**“ სამუშაო დეტალებზე იმსჯელეს.

პროექტი იქნება ძალიან **კარგი შესაძლებლობა** საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის. პროექტის განხორციელება სვანეთში, კერძოდ, მესტიაში დაიწყება. „კავკასიის მთის ცენტრი“ იქნება ერთ–ერთი **საჩვენებელი ადგილი** საქართველოში და მთელ რეგიონში. იგი **ბიძგს მისცემს** მთის ტურიზმის განვითარებას. „კავკასიის მთის ცენტრი“ **მოიზიდავს** უამრავ ტურისტს, რომლებიც სვანეთის უნიკალურ **კულტურას ეზიარებიან**. ამ პროექტის **პარტნიორი კი** რაინჰოლდ მესნერი იქნება.

„კავკასიის მთის ცენტრის“ შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მესნერმა 2017 წლის ივლისში, საქართველოს პრემიერ–მინისტრთან შეხვედრის შემდეგ მიიღო. მესნერი წლებია, იტალიაში ალპების **მუზეუმების ქსელს** ავითარებს. „კავკასიის მთის ცენტრი“ ამ ქსელის ნაწილი იქნება.

შარშან მესნერი **სივრცის დაგეგმარების ექსპერტებთან** ერთად სვანეთს ეწვია. ამჯერად იგი ცნობილ იტალიელ არქიტექტორთან ერთად სტუმრობს სვანეთს. მშენებლობა მომავალი წლიდან დაიწყება.

„კავკასიის მთის ცენტრი“ მთელ მსოფლიოს **მოუთხრობს** ადამიანისა და მთის ურთიერთობის შესახებ. ულამაზესი ბუნება, შეუდარებელი უშბა – განსაკუთრებული მთა **ალპინიზმის ისტორიაში...** რაინჰოლდის თქმით, საქართველოს მთები იდეალურია ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის განვითარებისათვის. კავკასიონის მთები **არაფრით ჩამოუვარდება** ალპებს. მისი აზრით, პროექტი დიდი შესაძლებლობაა საქართველოსათვის, მოექცეს მსოფლიო ალპინიზმის **ყურადღების ცენტრში.** ამის **პოტენციალი** საქართველოს ნამდვილად აქვს.

მესნერის ხელით დახაზული სქემის მიხედვით, ესაა **ყველა მხრიდან გახსნილი** მუზეუმი და მისი ყველა მიმართულებიდან ჩანს **უნიკალური ხედები**. აბსოლუტური **ჰარმონია ბუნებასთან,** განსაკუთრებით უშბასთან. მდებარეობა მაღლა მთაში, **მისასვლელი** საბაგირო გზით, რა თქმა უნდა, საავტომობილო გზაც იქნება. ამ მუზეუმიდან ჩანს ყველაფერი და ეს მუზეუმი ჩანს ყველა მხრიდან. უნიკალური პროექტი ჩვენი ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს საუკეთესოდ წარმოაჩენს მსოფლიოში.

3.3. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ტექსტის მიხედვით, ვინ არის საქართველოს სტუმარი?
2. რა პროექტის შესახებ არის საუბარი ტექსტში?
3. რა მნიშვნელობა ექნება ამ პროექტს?
4. როდის გადაწყდა ამ პროექტის განხორციელება?
5. რა უძღვის წინ აღნიშნულ პროექტს?
6. სად იგეგმება პროექტის განხორციელება და რატომ?
7. რომელი მთა არის მოხსენიებული ტექსტში განსაკუთრებულად?
8. როგორ არის გამოხატული საქართველოს და იტალიის მთების შედარება ტექსტში?
9. როგორი იქნება მუზეუმი?
10. როგორ მივლენ ტურისტები მუზეუმამდე?

ახალი სიტყვები:	ახალი ფრაზები:
ცნობილი მთამსვლელი უნიკალური გადაწყვეტილება ქსელი მშენებლობა ურთიერთობა შეუდარებელი განსაკუთრებული იდეალური განსაკუთრებით შესაძლებლობა ნამდვილად დახაზული მიმართულება მდებარეობა მოუთხრობს ეზიარება	„კავკასიის მთის ცენტრი“ კარგი შესაძლებლობა საჩვენებელი ადგილი მუზეუმების ქსელი სივრცის დაგეგმარების ექსპერტი ალპინიზმის ისტორიაში ყურადღების ცენტრში პოტენციალი აქვს / გააჩნია ყველა მხრიდან გახსნილი უნიკალური ხედები მისასვლელი საბაგირო გზა მომავალი წლიდან ხელით დახაზული მისი თქმით სქემის მიხედვით ყველა მიმართულებით

3.4. ისაუბრეთ: რა პოტენციალი არსებობს თქვენს რეგიონში ტურისტების მოსაზიდად?

დაიმახსოვრეთ!

სიტყვა	განმარტება
უნიკალური	ძალიან იშვიათი, ის, რაც უნიკუმს წარმოადგენს, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე
აბსოლუტური	თავისთავადი, სრული, სრულიად, არაშეფარდებითი.
იდეალური	საუკეთესო, სრულყოფილი, საუცხოო, სამაგალითო, შესანიშნავი, იდეალთან მიახლოებული.
ჰარმონია	კავშირო, თანხმობა, სხვადასხვა საგნების, სხვადასხვა ნაწილების მწყობრი, საუკეთესო შეხამება.

3.5. მოიძიეთ ეს სიტყვები ლექსიკონებში, ნახეთ, როგორ არის განმარტებული თქვენს მშობლიურ ენაზე:

3.6. განმარტეთ ქვემოთ მოცემული შესიტყვებების მნიშვნელობა, შემდეგ კი შეადგინეთ წინადადებები მათი გამოყენებით:

- უნიკალური ხედები
- უნიკალური შესაძლებლობა
- აბსოლუტური სმენა
- აბსოლუტური უმრავლესობა
- აბსოლუტური მონარქია
- აბსოლუტური ჭეშმარიტება
- იდეალური ადამიანი
- იდეალური სამყარო
- ჰარმონიული ხმები
- ჰარმონიული შეხამება
- ჰარმონიული სურათი

დაიმახსოვრეთ ფრაზეოლოგიზმები!

ბიძგს მისცემს – დაეხმარება განვითარებაში.
არაფრით ჩამოუვარდება – ნაკლები არ არის, მისი მსგავსია.
კულტურას ეზიარებიან – კულტურას გაეცნობიან, კულტურას გაითავისებენ.

3.7. მოიძიეთ ტექსტში ის წინადადებები, რომლებშიც არის გამოყენებული ეს ფრაზეოლოგიზმები და გადმოეცით წინადადებების შინაარსი განმარტებების ჩანაცვლებით.

3.8. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და ზეპირად, სხვა სიტყვებით, გადმოეცით ფრაზის მნიშვნელობა:

ბიძგს მისცემს – დაეხმარება განვითარებაში.

1. ახალი კანონი **ბიძგს მისცემს** ბიზნესის განვითარებას.
2. ამერიკის პრეზიდენტის სტუმრობა **ბიძგს მისცემს** ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებას.
3. ხელმძღვანელობის შეხვედრა თანამშრომლებთან **ბიძგს მისცემს** კომპანიის შემდგომ განვითარებას.
4. პრემიერის სტუმრობა კიდევ ერთ **ბიძგს მისცემს** ორი ქვეყნის დაახლოების პოლიტიკას.
5. პროექტი მასში ჩართულ ქვეყნებს **ბიძგს მისცემს** ეკონომიკის განვითარებაში.

არაფრით ჩამოუვარდება – ნაკლები არ არის, მისი მსგავსია.

1. მსახიობის ულამაზესი ქალიშვილი **არაფრით ჩამოუვარდება** დედას.
2. მაყვლის ღვინო **არაფრით ჩამოუვარდება** ყურძნის ღვინოებს და ტოლს არ უდებს, მაგალითად, საფერავს”
3. ქართული ღვინო **არაფრით ჩამოუვარდება** ფრანგულს და იტალიურს.
4. “ფორტუნამ” შეგირჩიათ 10 ცნობილი წიგნის ეკრანიზაცია, რომელიც რომანს **არაფრით ჩამოუვარდება**.
5. ჩვენი დედაქალაქი არც ერთ განვითარებულ ქალაქს **არაფრით ჩამოუვარდება**.

კულტურას ეზიარებიან – კულტურას გაეცნობიან, კულტურას გაითავისებენ.

1. ქართველი ბავშვები გაეცნობიან გერმანულ **კულტურას**, **ეზიარებიან** რაგბის ფასეულობებს და რაც მთავარია, დაინახავენ, რომ სწავლასა და სპორტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარებისთვის.
2. ტურისტები სხვადასხვა ტურის მეშვეობით არამატერიალური კულტურის ნიმუშებსაც ეზიარებიან და ასე იფართოებენ ცოდნას საქართველოს შესახებ.
3. მოსწავლეები საზაფხულო ბანაკებში განსხვავებულ **კულტურას ეზიარებიან**, ეჩვევიან პრობლემებზე საუბარს, ასევე ურთიერთობას სხვადასხვა ეროვნების თანატოლებთან.
4. ახალ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს მთის ტურიზმის განვითარებისთვის, მოიზიდავს უამრავ ტურისტს, რომლებიც **ეზიარებიან** უნიკალურ **კულტურას**.
5. სტუმრებს საკმაოდ დატვირთული პროგრამა ელით: ისინი საქართველოს ღირშესანიშნაობებს დაათვალიერებენ და ქართულ უნიკალურ **კულტურას ეზიარებიან**.
6. ამ პროექტის საშუალებით მეგობრდებიან ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები, **ეზიარებიან** განსხვავებულ ეროვნული **კულტურას,** სწავლობენ ქართულ ენას.

დაიმახსოვრეთ!

ყურადღება მიაქციეთ, ცხრილში ზოგიერთ ზმნასთან წარმოდგენილია როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითის ფორმები:

ზმნის აქტიური ფორმები:					
საწყისი	**ახლანდელი**	**მომავალი**	**წარსული**	**მომავალი + უნდა**	**თურმეობითი**
მსჯელობა	მსჯელობს	იმსჯელებს ის	იმსჯელა მან	უნდა იმსჯელოს	უმსჯელია
განხორციელება	ახორციელებს	განახორციელებს	განახორციელა	უნდა განახორციელოს	განუხორციელებია
	ხორციელდება	განხორციელდება	განხორციელდა	უნდა განხორციელდეს	განხორციელებულა
შექმნა	ქმნის	შექმნის	შექმნა	უნდა შექმნას	შეუქმნია
	იქმნება	შეიქმნება	შეიქმნა	უნდა შეიქმნას	შექმნილა
წვევა	ეწვევა	ეწვევა	ეწვია	უნდა ეწვიოს	სწვევია
მოქცევა	აქცევს	მოაქცევს	მოაქცია	უნდა მოაქციოს	მოუქცევია
	ექცევა	მოექცევა	მოექცა	უნდა მოექცეს	მოქცეულა
წარმოჩენა	წარმოაჩენს	წარმოაჩენს	წარმოაჩინა	უნდა წარმოაჩინოს	წარმოუჩენია
	წარმოჩნდება	წარმოჩნდება	წარმოჩნდა	უნდა წარმოჩნდეს	წარმოჩენილა

3.9. დაიყავით წყვილებად და შექმენით წინადადებები და მინიდიალოგები მოცემული ზმნების გამოყენებით:

3.10. გადმოეცით თხრობით ტექსტის შინაარსი და გამოიყენეთ ფრაზები:

- მისი (მესნერის) თქმით,
- მისი აზრით,
- რა თქმა უნდა,
- არავინ დავობს იმაზე, რომ...
- ერთი მხრი, ...
- მეორე მხრივ...
- თავის მხრივ...
- სტატისტიკური მონაცემების მიხედვით,...
- ისევე როგორც...
- არანაკლებ მნიშვნელოვანია...
- არაფრით ჩამოუვარდება...
- ბიძგს მისცემს...

3.11. წაიკითხეთ დიალოგი მეწყვილესთან ერთად და წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით:

ჟურნალისტი–ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენელს

— გამარჯობა, ბ–ნი გიორგი ბრძანდებით?
— დიახ, მე ვარ? თქვენ ვინ ბრძანდებით?
— მე საზოგადოებრივ მაუწყებელზე დილის გადაცემის პროდიუსერი ვარ, ეკა.
— სასიამოვნოა, გისმენთ!
— ხვალ, დილის გადაცემაში ვისაუბრებთ საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე და განვითარების ტენდენციებზე. თქვენი მოპატიჟება გვინდა, თუ თანახმა იქნებით.
— რა თქმა უნდა, სიამოვნებით! კიდევ იქნებიან სხვა სტუმრები?
— თქვენ იქნებით ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტიდან, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ტურისტული კომპანია „რუთენის“ წარმომადგენელი...
— ფორმატი როგორი იქნება?
— ჯერ სიუჟეტს ვნახავთ, შემდეგ ჟურნალისტი დაგისვამთ რამდენიმე კითხვას...
— სიუჟეტი რა თემაზეა?
— ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ჩვენმა ჟურნალისტებმა ბათუმში ჩაიწერეს უცხოელი ტურისტები.
— ძალიან კარგი! რომელ საათზე უნდა მოვიდე?
— 8:20–ზე სტუდიაში უნდა იყოთ!
— კეთილი, შევთანხმდით.
— დროებით, დიდი მადლობა!

3.12. გადმოეცით დიალოგის შინაარსი ტექსტის სახით:

3.13. მოუსმინეთ ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რის შესახებ არის ტექსტი?
2. საქართველოს რომელი მხარეები არის ნახსენები ტექსტში და რა არის ნათქვამი მათ შესახებ?
3. რა არის ტექსტში ნათქვამი პოზიტიური ნაბიჯების შესახებ?

3.14. ისაუბრეთ:

1. არის თუ არა ტურიზმი განვითარებული იმ რეგიონში, საიდანაც თქვენ ხართ?
2. თქვენი რეგიონიდან რომელ ადგილებს შეიტანდით ტურისტებისათვის დასათვალიერებელ სიაში?
3. რა არის საჭირო იმისათვის, რომ ამ ადგილებში მეტი დამთვალიერებელი მოვიდეს?

3.15. მოიძიეთ ინტერნეტში ინფორმაცია რომელიმე, თქვენთვის ნაცნობი ან საინტერესო ადგილის შესახებ, შეადგინეთ ტურისტული გეგმა, გიდის ტექსტი:

ჩამოწერეთ საკითხები, როგორ განავითარებდით ამ ადგილს მეტი ტურისტის მოსაზიდად – რას გააკეთებდით, რას შეცვლიდით ან დაამატებდით არსებულ ვითარებას.

ეს საინტერესოა!

მთამსვლელობის ლეგენდამ საკუთარი ცხოვრებით ადამიანის შესაძლებლობებზე წარმოდგენა კარდინალურად შეცვალა. 72 წლის რაინჰოლდ მესნერის მხრებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით ურთულეს მწვერვალებზე, ასზე მეტი პირველი ასვლაა. გამორჩეული კვალი მან, მთამსვლელობის მექაში დატოვა.

იტალიის გერმანულენოვან რეგიონში – სამხრეთ ტიროლის ალპებში გაზრდილი, რაინჰოლდი პირველად, ჰიმალაებში 1970 წელს, 26 წლის ასაკში გამოჩნდა და მომდევნო 16 წლის მანძილზე, „შეშლილი იდეა“, რომლისაც არავის სჯეროდა, ბოლომდე განახორციელა – ის დედამიწაზე პირველი იყო, ვინც მსოფლიოს ყველა, თოთხმეტივე რვა ათასიან მწვერვალზე ავიდა. ამათგან, რამდენიმე მარშრუტი დღემდე ალპინიზმის მასტერ–კლასად მიიჩნევა: მსოფლიოს უმაღლესს მწვერვალ ევერესტზე, 1978 წლის ასვლა ჟანგბადის გარეშე; იმავე წელს, 8162 მეტრიანი – ნანგა პარბატის „დაპყრობა“, მარტო, მხოლოდ 15 კილოგრამიანი ზურგჩანთის ამარა და ორი წლის შემდეგ, ლეგენდარული ასვლა ევერესტზე, მუსონების სეზონზე, ასევე, სრულიად მარტო, ჟანგბადისა და ტექნიკური აღჭურვილობის გარეშე.

ათ წელზე მეტია, მშობლიურ სამხრეთ ტიროლში, იტალიის ალპებში მთის მუზეუმების ქსელს ავითარებს, რომლებსაც უამრავი მნახველი ჰყავს. აქ გამოფენილია მესნერის უნიკალური ექსპედიციების ამსახველი ნივთები, ინსტალაციები, წარმოდგენილია მთისა და ალპინიზმის ისტორია.

მას კურორტ სოლდეში აქვს იაკების ფერმა და ნატურალურ პროდუქტს აწარმოებს. თავად კი ვალ–ვენოსტას ულამაზეს ხეობაში, კასტელ იუვალის შუა საუკუნეების ციხე–კოშკში ცხოვრობს. „მწვერვალზე ასვლა თავისებური გამოწვევაა, მაგრამ ხელოვნება ის კი არ არის სიკვდილი ვეძიოთ, არამედ ის, რომ ამ ორთაბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეთ“ – ეს სიტყვები ეკუთვნის ადამიანს, რომელმაც 1970 წელს, ნანგა პარბატზე, საკუთარი ძმა გიუნტერი დაკარგა, მას კი ფეხზე შვიდი გაყინული თითის ამპუტაცია დასჭირდა.

ამის მიუხედავად, რაინჰოლდ მესნერმა გაიარა წარმოუდგენელი გზა და ყველას დაგვანახა თუ რა ხდება „ბროლისფერი ჰორიზონტის“ მიღმა. აქტიური ალპინიზმის შემდეგ, მესნერმა ფეხით გადასერა ანტარქტიდა, გრენლანდია, ტაკლა–მაკანისა და გობის უდაბნოები, ჩრდილოეთი და სამხრეთ პოლუსები. „ახლა მე ნებაყოფლობით მივდივარ ჯოჯოხეთში“ – წერს იგი თავის ბოლო ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი ცხოვრება შესაძლებლობების ზღვარზე.“

3.16. მოიძიეთ ინტერნეტში მეტი ინფორმაცია ან ფოტომასალა ალპინიზმის / ქართული ალპინიზმის შესახებ და წარუდგინეთ თქვენს ჯგუფს პრეზენტაციის სახით.

3.17. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ტურიზმი და ჩემი რეგიონი**

შემაჯამებელი თავი II

1. **დააკავშირეთ ერთმანეთთან სურათები და ტექსტები:**

_____ _____ _____



_____ _____ _____



_____ _____



_____ _____

1. **შუშის ხიდი, ანუ მშვიდობის ხიდი** – ხიდი თანამედროვე თბილისში, გადის ხმელეთზეც და მდინარე მტკვარზეც, აერთიანებს მარჯვენა და მარცხენა ქალაქის სანაპიროებს. ხიდი განსაზღვრულია მხოლოდ ფეხით მოსიარულეებისათვის. წარმოადგენს თანამედროვე თბილისის ერთგვარ სიმბოლოს.

2. **ნარიყალა** – IV–VI საუკუნეების ციხე-სიმაგრე. ნარიყალაზე შეგიძლიათ მოხვდეთ საბაგიროს მეშვეობით ან ფეხით ძველი თბილისის გავლით. ძველად ციხე-სიმაგრეში იყო ადმინისტრაციული ცენტრი.

3. **ფუნიკულიორი და მთაწმინდის პარკი** – თბილისის ყველაზე მაღალ მთაზე აშენებული გასართობი ცენტრი. პარკში უამრავი ატრაქციონია, აქ არის ტელე–ანძა, რომელიც ღამით სხვადასხვა ფერით ანათებს. ტელეანძაზე არის რესტორანი. პარკში შეგიძლიათ სასიამოვნო დრო გაატაროთ ბავშვებთან ერთად.

4. **ბათუმის ბოტანიკური ბაღი** – მდებარეობს ბათუმიდან 3–5 კმ დაშორებით იდეალური ადგილი ლამაზი ხედებით და იშვიათი მცენარეთა სახეობით.

5. **დელფინარიუმი** – საოცარი სანახაობა ბათუმში, საინტერესო პროგრამა დელფინებთან ერთად.

6. **ბათუმის ბულვარი** – ზღვის სანაპირო ზოლი სასეირნო ფართო გზით, პალმებით, მშვენიერი ხედებით, რომლებიც განათებულია მთელი ღამით. მისი სიგრძე 10 კილომეტრია.

7. **ალავერდის მონასტერი** – მდებარეობს სოფელ ალავერდში, თელავიდან 20 კილომეტრში. დაარსებულია VI საუკუნეში, თავდაპირველად ეს იყო მამათა მონასტერი. მონასტერში შესანიშნავი ღვინის მარანია. აქ მზადდება ღვინო უძველესი რეცეპტით.

8. **გერგეტის სამების ტაძარი** – მდებარეობს სტეფანწმინდიდან 6 კილომეტრში, ზღვის დონიდან 2200 მეტრზე. ეს არსის XIV საუკუნის არქიტექტურული ძეგლი საოცარი ხედებით.

9. **გუდაური** – საზამთრო კურორტი ბუნების ულამაზესი ხედებით. მდებარეობს ყაზბეგის რაიონში, ზღვის დონიდან 2196 მეტრზე, თბილისიდან 120კილომეტრში. გუდაურში ლამაზი სათხილამურო ტრასები. კარგი თოვლი და ხანგრძლივი სათხილამურო სეზონი, დეკემბრიდან დაწყებული აპრილამდე, ქმნის სასიამოვნო ატმოსფეროს.

10. **მესტია** – რაიონი ზემო სვანეთში. მშვენიერი ხედებით და ისტორიული შენობების, სვანური კოშკებით. სვანეთში, ათასი კოშკის მხარეში, მოხვედრა საქართველოში ჩამოსულ ყველა სტუმარს უნდა.

2. წაიკითხეთ ტექსტი:

(1) „ყველა ადამიანს, მიუხედავად ფიზიკური ან სხვა სახის შეზღუდვებისა, უნდა ჰქონდეს თავისუფალი გადაადგილებისა და ტურისტული მომსახურების **თანაბარი უფლება**“ – გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციას 140 ქვეყანასთან ერთად საქართველოც აწერს ხელს.

(2) **ინკლუზიური ტურიზმის** განვითარება ქვეყნისათვის მხოლოდ მომგებიანი საქმე არაა, ის მისი **სოციალური პასუხისმგებლობის** ნაწილიცაა. ტურიზმის ეს ფორმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **(შშმ)** პირების გარდა **გათვლილია** მოხუცებსა და მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მოგზაურ ოჯახებზე. სხვადასხვა ქვეყანაში ინკლუზიური ტურიზმის მომხმარებლებს ცალკე პროდუქტს სთავაზობენ. დიდ ბრიტანეთში ამ პროდუქტს ეწოდება **„ტურიზმი ბარიერების გარეშე**“, ხოლო ავსტრალიაში – „**მისაწვდომი ტურიზმი**“.

(3) ინკლუზიური ტურიზმის ფარგლებში სასტუმროები სრულ მომსახურებას უნდა სთავაზობდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათთვის **ხელმისაწვდომი** იყოს ტურისტული ადგილები ქვეყნის მასშტაბით.

(4) საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ყველა სახის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მცხეთის ისტორიული **ძეგლების ადაპტირება** დაასრულა. განხორციელებული პროექტის ფარგლებში **შშმ პირთათვის** მოეწყო შიო მღვიმის სამონასტრო კომპლექსი. უსინათლოთათვის ეკლესიასთან დაიდგა **ტაძრის მაკეტი** და **ბრაილის შრიფტით** დაწერილი ინფორმაცია მონასტრის შესახებ. ეკლესიის მაკეტზე ხელის შეხებით უსინათლოები აღიქვამენ, თუ სად იმყოფებიან. **ეტლით მოსიარულეთათვის** კი **დამონტაჟდა პანდუსები**.

(5) ამჟამად ადაპტირებულია სვეტიცხოვლისა და სამთავროს დედათა მონასტერიც. შესასვლელებში განთავსდა ტაძრების მაკეტები და ინფორმაცია ბრაილის შრიფტით. სვეტიცხოვლის შესასვლელში ეტლით მოსარგებლეთათვის დამონტაჟდა ლიფტიც, რომლითაც ისინი ცენტრალური შესასვლელით ეზოში ჩადიან.

(6) დღეისთვის შეიძლება ითქვას, რომ ერთ–ერთი ტურისტულად ყველაზე მიმზიდველი ადგილი მცხეთა, სრულად არის ადაპტირებული შშმ პირებისათვის. საქართველოში ინკლუზიური ტურიზმის განვითარების კუთხით გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

3. შეარჩიეთ სწორი სათაური:

1. საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილები
2. ინკლუზიური ტურიზმი საქართველოში
3. თბილისი ტურისტებისათვის

4. მიუთითეთ, მოცემული ინფორმაცია სწორი, არასწორი თუ არაა ტექსტში მოცემული:

	სწორი	არასწორი	არაა მოცემული
ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს მოგზაურობის შესაძლებლობა			
თბილისის ყველა ადგილი ადაპტირებულია უნარშეზღუდული ტურისტებისათვის.			
სვეტიცხოველი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის			
კონვენცია ოცდაათი ქვეყანა აწერს ხელს			
ტექსტში მოცემულია სამთავროს დედათა მონასტრის დაარსების ისტორია			
ქუთაისის ღირსშესანიშნაობები უამრავ მნახველს აინტერესებს.			
დასრულდა მცხეთის ისტორიული ძეგლების ადაპტირება ინკლუზიური ტურიზმისათვის.			
შიო მღვიმის სამონასტრო კომპლექსი ადაპტირებულია შშმ პირებისათვის			
ტექსტში წარმოდგენილია გერმანიაში შშმ პირების ტურისტული მომსახურების ანალიზი			
ინკლუზიური ტურიზმი გათვლილია მოხუცებსა და მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მოგზაურ ოჯახებზე.			

5. ხელახლა წაიკითხეთ ტექსტი და შემოხაზეთ თითოეული აბზაცის მთავარი სათქმელი:

(1)
1. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა.
2. კონვენცია ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს.
3. ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება.

(2)
1. მოხუცებით ისევე მოგზაურობენ, როგორც ახალგაზრდები.
2. მცირეწლოვანი ბავშვების მოგზაურობა შესაძლებელი უნდა იყოს.
3. ინკლუზიური ტურიზმი სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილია.

(3)
1. ტურისტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასტუმროების ფასი.
2. სასტუმროები სრულ მომსახურეობას უნდა სთავაზობდნენ შშმ ტურისტებს.
3. სასტუმროები უფრო მრავალი უნდა იყოს.

(4)
1. ტექსტები უნდა დაიწეროს ძეგლების შესახებ.
2. პანდუსები მომავალში უნდა აშენდეს.
3. მცხეთის ადაპტირება დასრულებულია.

(5)
1. სამთავროს მონასტრის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სტენდებზე.
2. სვეტიცხოველის შესასვლელში ეტლის მოსარგებლეებისათვის დამონტაჟდა ლიფტი.
3. ტურისტები სვეტიცხოვლის შესახებ ინფორმაციას ეცნობიან შესასვლელში.

(6)
1. შშმ ტურისტებისათვის მიმზიდველი ადგილია მცხეთა.
2. საქართველოში ინკლუზიური ტურიზმი მაღალ დონეზეა განვითარებული.
3. ბევრი სხვა ადგილის მოეწყო ტურისტებისათვის.

6. მოუსმინეთ ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რომელი მუზეუმის შესახებ არის ტექსტი?
2. როგორი იყო საზოგადოების დამოკიდებულება საბჭოთა მემკვიდრეობის მიმართ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ?
3. რა მუზეუმი შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ?
4. რის შესახებ მოგვითხრობს ეს მუზეუმი?
5. რა აინტერესებთ უცხოელ სტუმრებს სტალინის მუზეუმში?
6. რა აინტერესებთ ადგილობრივ დამთვალიერებლებს სტალინის მუზეუმში?
7. იზრდება თუ იკლებს მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვი?
8. როდის იყო ყველაზე მეტი დამთვალიერებელი სტალინის მუზეუმში და თქვენი აზრით, რატომ?
9. თქვენ იცნობთ სტალინის მუზეუმს?
10. ისურვებდით თუ არა მის დათვალიერებას და რატომ?

7. **ისაუბრეთ თემაზე:**

თქვენი აზრით, როგორ უნდა მიეწოდოს დაინტერესებულ ტურისტებს ინფორმაცია საბჭოთა მემკვიდრეობის შესახებ?

8. **ქვემოთ მოცემულია დიალოგი არეული თანმიმდევრობით. ყურადღებით წაიკითხეთ და დაალაგეთ ის სწორი თანმიმდევრობით.**

დიალოგი (მუზეუმის თანამშრომელი – გაზეთის კორესპონდენტი)

— მუზეუმი ყოველ დღე მუშაობს?
— როდინდელი ექსპოზიცია წარმოდგენილი მუზეუმში?
— ყველაზე მეტი, ისრაელიდან და რუსეთიდან,
— ადგილობრივები თუ დადიან მუზეუმში?
— რა ღირს ბილეთი?
— აინტერესებთ, სტალინი დიდი ადამიანი იყო; ბოროტი იყო თუ ტირანი, გავლენიანი ადამიანი იყო, გენიოსი. არ შეიძლება ასეთი ადამიანი ინტერესს არ იწვევდეს.
— თქვენ მოგწონთ სტალინი?
— ყოველდღე 10 –დან 19 საათამდე, ორშაბათის გარდა.
— არასწორად დასმული კითხვაა, სტალინი არ შეიძლება მოგწონდეს და ასევე არ შეიძლება არ გაინტერესებდეს!
— დიდი მადლობა, რომ დრო დამითმეთ!
— ძირითადად სკოლის მოსწავლეები.
— თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ მოდიან სტალინის მუზეუმში?
— ეს ექსპოზიცია 1975 წელს მოეწყო და იმის შემდეგ პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. მუზეუმში 6 დარბაზია, მემორიალური სახლი და სტალინის პირადი ვაგონი.
— ყველაზე მეტი ვიზიტორი რომელი ქვეყნიდანაა?
— მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის 1 ლარი, მოზრდილებისათვის 5 ლარი, ხოლო უცხოელებისათვის 15 ლარი.

9. **წაიკითხეთ დიალოგი და ჩასვით შესაბამისი სიტყვები გამოტოვებულ ადგილებში.**

ინკლუზიური	უსინათლოებისათვის	ადაპტირება	რთულია	შესაძლებლობა
მხოლოდ	რამდენჯერ	ეტლში	პირებისათვისაც	ექსკურსიაზე

მეგობრების საუბარი

— გუშინ ჩემს დას გავყევი ———————————— მცხეთაში და ძალიან გაკვირვებული დავრჩი
— პირველად იყავი მცხეთაში?
— არა, რას ამბობ, არც კი ვიცი ———————————— ვარ ნამყოფი
— აბა რამ გაგაკვირვა?
— უკვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ———————————— ადაპტირებულია. იქაურობა და ძალიან გამიხარდა!
— მართლა? რა სასიამოვნოა... რამდენი ხანია ჩემი დის მეგობარი ———————————— ზის და ვერსად ვერ წაგვიყვანია... ძალიან ———————————— ასეთ ადგილებში გადაადგილება.
— იცი, ———————————— თითქმის ყველა ეკლესიასთან არის მაკეტი და ბრაილის შრიფტით

დაწერილი ადგილის ისტორია.
— ვაა, რა კარგია!.. ძალიან გამიხარდება, თუ მეტი რამ გაკეთდება... უსინათლოებისათვის ჩვენი გარემო კიდევ უფრო შეზღუდულია.... ———————————— მცხეთა გაკეთდა?
— როგორც ვიცი, ———————————— ტურიზმის ფარგლებში სხვა რეგიონებში მოხდება კულტურული ძეგლების ————————————, მგონი შემდეგი წყალტუბო უნდა იყოს...
— ძალიან კარგია, მაგრამ მაინც ცოტაა, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ————————————, დაათვალიეროს და ნახოს საქართველოს ღირსშესანიშნაობები!
— ეგ კი მომავლის საქმეა!

10. მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტში კურორტ წყალტუბოს შესახებ, შექმენით პრეზენტაცია და წარუდგინეთ ჯგუფს.

11. წერა

იმსჯელეთ, შემდეგ დაწერეთ ტექსტი: **ჩემთვის საყვარელი ტურისტული ადგილები საქართველოში**

_____

_____

_____

მოსასმენი ტექსტები:

I თავი

1.13.

,,მოხალისე მასწავლებელი“

— მე ,,მოხალისე მასწავლებელი“ ვარ ამერიკიდან...
— სასიამოვნოა, ჩვენს სკოლაში რამდენი ხნით დარჩებით?
— სკოლაში 1 წლით დავრჩები და ინგლისურში დავეხმარები მოსწავლეებს.
— საქართველოს შესახებ როგორ გაიგეთ?
— ჩემი მეგობარი იყო შარშან ჩამოსული და ძალიან მოეწონა.
— თქვენი მეგობარიც მასწავლებელია?
— არა, ის ისტორიკოსია და მოგზაურობა ძალიან უყვარს.
— როგორია თქვენი შთაბეჭდილება საქართველოზე?
— 2 კვირაა, რაც აქ ვარ, მაგრამ უკვე ძალიან მომწონს!
— ძალიან კარგი. წარმატებებს გისურვებთ!
— გმადლობთ!

2.10.

,,მეგობრები“

— ნინო, სად იყავი, რომ არ ჩანდი?
— ბაქოში ვიყავი 2 კვირით.
— დასასვენებლად იყავი თუ სამუშაო ვიზიტით?
— არა, მივლინებით ვიყავი უნივერსიტეტის ერთ თანამშრომელთან ერთად.
— მოგეწონა ქალაქი?
— კი, მშვიდი და სუფთა ქალაქია, ბევრი საინტერესო ადგილი ვნახეთ.
— კიდევ აპირებ წასვლას?
— მომავალ წელს კონფერენციაა დაგეგმილი. ინფორმაცია მოწვევის შესახებ უკვე მივიღეთ და წავალთ 3-დღიანი ვიზიტით.

3.13

მოგზაურობა დიდი სიამოვნებაა. ძალიან კარგია ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად მოგზაურობა, მაგრამ ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ მარტო მოგზაურობას მეტი პლიუსი აქვს. მეცნიერების აზრით, ადამიანმა ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა იმოგზაუროს მარტო, რადგან სწორედ ამ დროს მის წინაშე უამრავი ახალი შესაძლებლობა იშლება.
5 მიზეზი, რატომ უნდა იმოგზაუროთ მარტო:

1.**თქვენ მეტი ძალების მოზღვავებას იგრძნობთ.**

როცა მარტო მოგზაურობთ, არავიზე ხართ დამოკიდებული. თქვენ უფრო თავდაჯერებული ხდებით

და საკუთარი თავის მიმართ რწმენაც იზრდება. ამ დროს თქვენ შესაძლოა საკუთარ თავში ახალი შესაძლებლობებიც აღმოაჩინოთ.

2.მოგზაურობთ მაშინ, როცა თავად გინდათ.

მარტო მოგზაურობის კიდევ ერთი დიდი პლუსი ისაა, რომ არ ელით, როდის მოიცლის თქვენი პარტნიორი. მიემგზავრებით სამოგზაუროდ მაშინ, როცა ეს გინდათ და ხელს ამაში ვერაფერი შეგიშლით.

3.გაიცნობთ ახალ ადამიანებს.

თუ ახალი მეგობრების შეძენა გსურთ, ეს საუკეთესო შესაძლებლობაა. როცა ვინმესთან აზრის გაცვლა დაგჭირდებათ და გვერდით არავინაა, უცხო ადამიანთან საუბრის სურვილიც ავტომატურად მოდის.

4.გააკეთებთ იმას, რაც გინდათ.

ჩვენ მუდამ სხვებზე ვართ დამოკიდებულნი. სწორედ მარტო მოგზაურობა ხსნის ყველა შეზღუდვას – გადაწყვეტილების მიღება და სასურველი საქმის კეთება უფრო მარტივი ხდება.

5.იწავლით საკუთარ თავთან ურთიერთობას.

თქვენ აღმოაჩენთ, რომ საოცრად საინტერესო ადამიანი ხართ და თქვენთან ურთიერთობა ყველასთვის სასიამოვნოა.

II თავი

1.13.

ექსკურსია ქუთაისში – მღვიმეები

— გამარჯობა, ნანა, ახალი ამბავი უნდა გითხრა...
— გამარჯობა, ლევან, რა ახალი ამბავი?
— ჩვენი ჯგუფი 28 მაისს ექსკურსიას გეგმავს, ხომ არ წამოხვალ?
— მართლა? სად აპირებთ წასვლას?
— ქუთაისში გვინდა წასვლა, სათაფლიას და პრომეთეს მღვიმეებს დავათვალიერებთ...
— ჩვენ შარშან ვიყავით ქუთაისში და მღვიმეებიც ვნახეთ, მაგრამ დიდი სიამოვნებით წამოვალ შენს ჯგუფთან ერთად....
— მაინტერესებს, სათაფლია უფრო მოგეწონა თუ პრომეთეს მღვიმე?
— ორივე მომეწონა... საოცარი სანახავია სტალაქტიტები და სტალაგმიტები, ზღაპრულ სამყაროს ჰგავს...
— ვერ გავიგე, რა განსხვავებაა სტალაგმიტებსა და სტალაქტიტებს შორის...
— სტალაქტიტი სტალაგმიტისგან იმით განსხვავდება, რომ იგი ზევიდან, ქვაბულის თაღიდან ქვემოთ კონუსისებურ სვეტად ეშვება, ხოლო სტალაგმიტი მინერალური წვეთებისგან შექმნილი კონუსისებური შვერილია ქვაბულის ძირიდან ზევით.

— გასაგებია, ვიცოდი, მაგრამ სულ მერევა ხოლმე ერთმანეთში... ახლა დავიმახსოვრებ.
— საოცარი სანახაობა გველის...
— ნეტავ მალე მოვიდეს გამგზავრების დრო...

2.11.

— ელენე, მასალა უკვე მაქვს კვლევისთვის, მალე ჩვენს ჯგუფსაც გავაცნობ, შენ დაასრულე მუშაობა?
— მეც რამდენიმე დღეში დავასრულებ და ჯგუფსაც გავაცნობ. საინტერესო მონაცემებია, ნიკა?
— ძალიან საინტერესოა საერთაშორისო შემოსვლითი ტურიზმის როლი.
— ჩვენს ქვეყანაში როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ?
— 2018 წლის იანვარი-აპრილის პერიოდში 596,703 მოგზაური შემოვიდა ქვეყანაში.
— ეს შარშანდელზე მეტია თუ ნაკლები?
— წინა წელთან შედარებით 16%-ითაა გაზრდილი.
— რომელი ქვეყნებიდან იყვნენ საერთაშორისო ტურისტები?
— შემოსვლითი ტურისტების 80% მეზობელი ქვეყნებიდანაა, 20% კი სხვადასხვა ქვეყნიდან.
— გადაადგილების რომელ საშუალებებს იყენებენ საერთაშორისო ტურისტები?
— საქართველოში შემოსასვლელად საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სახმელეთო საზღვრებზე დაფიქსირდა 75.3%, შემდეგ მოდის საჰაერო 23.6% , სარკინიგზო 0.7% და ყველაზე ნაკლები რაოდენობა საზღვაო გზით შემოვიდა 0.4%.
— რომელი მეზობელი ქვეყნიდან შემოვიდა ყველაზე მეტი საერთაშორისო ტურისტი?
— აპრილში საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა აზერბაიჯანიდან
— შემოვიდა, შემდეგი არის რუსეთი, თურქეთი და სომხეთი. არამეზობელი ქვეყნებიდან კი ირანი ლიდერობს.

3.10.

ინტერვიუ - ებრაელ ტურისტთა შესახებ საქართველოში
(ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენელი და ჟურნალისტი)

— გამარჯობა, თუ შეიძლება გაგვაცანით ინფორმაცია საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის, კონკრეტულად კი ისრაელიდან ჩამოსული ტურისტების შესახებ.
— გამარჯობა, უნდა გითხრათ, რომ ისრაელისთვის საქართველო სულ უფრო პოპულარული მიმართულება ხდება. ამას ადასტურებს ის, რომ ისრაელიდან ჩამოსული ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად სტაბილურად იზრდება. მაგალითად, 2016 წლის 6 თვის მონაცემებით, ისრაელიდან საქართველოს 33 252 საერთაშორისო მოგზაური ეწვია. ეს მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 95.4%-ით.
— რა განაპირობებს ებრაელი ტურისტების დაინტერესებას საქართველოთი?
— მოგეხსენებათ, რომ საქართველოსა და ისრაელს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებს. საქართველოში ებრაული მოსახლეობა უძველესი დროიდან დასახლდა და აქტიურ როლს ასრულებდა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამას მათ მიერ შექმნილი საკმაოდ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობაც მოწმობს.
— ძირითადად რომელი ქალაქებისა და კულტურული ადგილების დასათვალიერებლად მოდიან ებრაელი ტურისტები?
— ებრაელი ტურისტების ერთ-ერთ უმთავრეს სფეროს საქართველოში არსებული ებრაული მატერიალური კულტურის ძეგლები წარმოადგენს. ისინი ინტერესდებიან სინაგოგებით, ასევე ძალიან პოპულარულია დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ებრაელთა საქართველოში ცხოვრების

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველი მასალა.
— რა საინფორმაციო კამპანიას აწარმოებს საქართველოს მთავრობა ებრაელ ტურისტთა ინტერესის გასაზრდელად?
— ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გამოსცა თემატური ბროშურა სახელწოდებით „საქართველო ებრაელ მოგზაურთათვის.“ ბროშურა ინგლისურ და ებრაულ ენებზე მომზადდა. იგი მოიცავს ინფორმაციას საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არსებული სინაგოგებისა და ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შესახებ.
— სად შეძლებს მის ნახვას დაინტერესებული პირი?
— ბროშურის პრეზენტაცია დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ–ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში გაიმართება.
— დიდი მადლობა ამომწურავი ინფორმაციისათვის.

III თავი

1.11.

სასტუმროს მენეჯერი – სასტუმროს ახალი თანამშრომელი

— სასტუმროს პერსონალისათვის მთავარი სტუმარი და მისი კმაყოფილებაა!
— გასაგებია.... და როგორ გავიგოთ მისი კმაყოფილება?
— საკმარისი არაა, შენ უღიმოდე სტუმარს, მთავარია მომხმარებლის ღიმილი!
— რა თქმა უნდა!
— თუ ჩვენ არ ვიზრუნებთ კლიენტზე, ამას სიამოვნებით გააკეთებენ ჩვენი კონკურენტები!
— კონკურენცია დიდია!
— ამიტომ ჩვენი კლიენტის შთაბეჭდილებამ უნდა გადააჭარბოს მოლოდინს!
— უშუალოდ ჩემი მოვალეობა რა იქნება?
— როგორც პორტიეს, გევალება: სტუმრის ბარგის მიტანა ნომერში, დოკუმენტაციის მოწესრიგება, ნომრის დალაგების კონტროლი, თავისუფალი ნომრების გასაღებების აღრიცხვა და სტუმართან კომუნიკაცია.
— სამუშაო გრაფიკი როგორი იქნება?
— მცოცავი
— მადლობა! ხვალ დილის 8 საათზე აქ ვიქნები. თუ კითხვები მექნება, თქვენ მოგმართავთ.

2.12.

სასტუმროს თანამშრომელი, პორტიე – სასტუმროს კლიენტი

— მოგესალმებით ქალბატონო, რით შემიძლია გემსახუროთ?
— გამარჯობა, თავისუფალი ნომრები გაქვთ?
— დიახ, რამდენი ხართ?
— მე და ჩემი მეუღლე.
— ორადგილიანი ნომერი ქალაქის ულამაზესი ხედით, გნებავთ?
— მმ.... ხმაურიანი ხომ არ იქნება? სხვა ნომრებიც გაქვთ?
— ხმაურიანი ნამდვილად არაა... ეს მშვიდი ქალაქია, თუმცა შემიძლია შემოგთავაზოთ ნომრები

ხედით შიდა ეზოზე, თან უფრო იაფიცაა!
— გასაგებია... მგონი, ქალაქის ხედით გვირჩევნია...
— რამდენი დღით გაჩერდებით?
— 3 ღამე დავრჩებით.
— თქვენი პასპორტი, ქალბატონო
— ინებეთ, საუზმე რომელ საათზეა?
— საუზმე 7-დან 10 საათამდე პირველ სართულზე. 24 საათი მუშაობს ბარი და კაფე, მესამე სართულზე ფიტნესდარბაზია, ნულ სართულზე სპა-საუნა. აი, ინებეთ თქვენი ნომრის გასაღები. ბარგს ჩვენი მოგართმევთ ნომერში.
— კეთილი, დიდი მადლობა!

3.10.

"ქართულმა სახლმა" ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებს უმასპინძლა
16 მარტს, 16:00, თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე , გ.ცაბაძის 2.

ტურისტული სეზონის მოახლოებასთან ერთად კომპლექსური ტიპის რესტორანმა „ქართულმა სახლმა" ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებს უმასპინძლა, სადაც ჩვენი სერვისებისა კომპანიებისთვის განსაკუთრებული შემოთავაზებების პრეზენტაცია შედგა. ნაჩვენები იყო ჩვენი მომსახურების შესახებ გადაღებული სარეკლამო რგოლები, წარვადგინეთ ჩვენი შემოთავაზებები თანამშრომლობაზე და ჩვენი მაღალი ხარისხის ღვინისა და კერძების დეგუსტაცია.
გაიმართა შეხვედრა ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან, რომლებსაც საქართველოში ჩამოჰყავთ სტუმრები. მათ საქართველოს ღირსშესანიშნაობებს აცნობენ და სთავაზობენ დასათვალიერებელი და დასასვენებელი ადგილების სიას, რომლებსაც თბილისში ყოფნისას უნდა ეწვიო. ჩვენ სურვილი გვაქვს რესტორანი „ქართული სახლი" შეთავაზებული იყოს, როგორც მაღალი კლასის რესტორანი თავისი მეცხრამეტე საუკუნის ინტერიერის ელემენტებით, სხვადასხვა დიზაინისა და მუსიკალური პროგრამით დატვირთული დარბაზებით, ტრადიციული და თანამედროვე უგემრიელესი, ლამაზად გაფორმებული კერძებით, კომფორტული — ძველი თბილისური ეზოების მსგავსი გადმოკიდებული აივნებითა და მყუდრო ბუხრიანი აპარტამენტებით.
ჩვენ გვინდა ვითანამშრომლოთ თქვენთან, გავხდეთ თქვენი სტუმრების მასპინძლები და საქართველოს, ქართული სტუმარმასპინძლობის, ჩვენი ცეკვის, სიმღერისა და დახვეწილი მომსახურების, ქართული ტრადიციული კერძების შესახებ მივაწოდოთ ინფორმაცია ამ გარემოში, სადაც თითოეული დეტალი, ორნამენტი ქართულ ხელოვნებასა და ჩვენს კულტურას უკავშირდება.
გვინდა ჯერ თქვენ მოგაწონოთ თავი, დარწმუნებით, რომ თქვენს სტუმრებს თამამად შესთავაზოთ ჩვენი რესტორანი, როგორც ადგილი, სადაც ერთ სივრცეშია თავმოყრილი ის რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია გაბნეული და მათ მოსანახულებლად რამდენიმე დღეც კი არ არის საკმარისი.
აქ მხოლოდ პროფესიონალები მუშაობენ. რესტორნის მაღალი ხარისხი და პოპულარობა სწორედ ამ დეტალების ერთიანობაზეა დამოკიდებული.
გელოდებით ჩვენთან და გვერწმუნეთ ჩვენი გაცნობის შემდეგ თქვენც აღიარებთ, რომ იპოვეთ თქვენი ქართული სახლი.

შემაჯამებელი თავი I

5.

ექსტრემალური ტურიზმი მსოფლიოში ერთ—ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია. ექსტრემალური ტურიზმის სახეობებია: ჯომარდობა, ველოტურები, ჯირითი, სათხილამურო ტურიზმი, პარაპლანით ფრენა, დაივინგი, სპელეოტური (მღვიმეების დალაშქვრა), და ა.შ.
ექსტრემალური ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით საქართველო საინტერესო და დიდი პოტენციალის ქვეყანაა.ტურიზმის ამ მიმართულებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოგრაფიული გარემო და ბუნებრივი რელიეფი .
ჯომარდობა — დღეისათვის ჯომარდობა საქართველოში გავრცელებული ექსტრემალური ტურიზმის ერთ—ერთი სახეობაა. ის ხშირად იმართება არაგვზე. საქართველოში უამრავი სწრაფი მდინარეა, ჯომარდობა სხვა მდინარეებზეც არის შესაძლებელი.
ქვეყანაში უამრავი მღვიმეა, მათი უმრავლესობა დღეისათვის არ არის გამოკვლეული. ძალიან ბევრი ადამიანია დაინტერესებული სწორედ ასეთი ამოუცნობი მღვიმეების დალაშქვრით. შესაბამისი აღჭურვილობისა და მომზადების საფუძველზე შესაძლებელი იქნება ასეთი მღვიმეების მონახულება. მაშასადამე, ექსტრემალური ტურიზმის განვითარება შესაძლოა ჩვენი ქვეყნის ერთ–ერთ პროიორიტეტს წარმოადგენდეს.
ველოტურები, ჯიპტურები, პარაპლანით ფრენა, ჯირითი – მოკლედ, საქართველოს შესაძლებლობა აქვს უამრავი სახის ექსტრემალური ტურიზმის განავითაროს. შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და წინაპირობების დაცვის შემთხვევაში ტურიზმის ამ სახეობებმა შესაძლებელია წარმატებებს მიაღწიოს. დღითიდღე იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სწორედ ექსტრემალური სწორედ ექსტრემალური ტურიზმით არიან დაინტერესებული. შესაბამისად, ტურიზმის ეს სეგმენტი ერთ—ერთი ყველაზე მზარდია. აქედან გამომდინარე, თუ ქვეყნის პრიორიტეტს ტურიზმის განვითარება წარმოადგენს, მაშინ სახელმწიფომ აღნიშნულ სეგმენტს უნდა შეუქმნას შესაბამისი პირობები

IV თავი

1.12.

დედა და შვილის მეგობარი

— გამარჯობა, მარიკა დეიდა, სონა სახლშია?
— გამარჯობა, ლიკა, შვილო! სონა ცოტა ხნის წინ გავიდა სახლიდან ბიბლიოთეკაში. გამოცდისათვის ემზადება ტურიზმის შესავალში.
— საწყენია, ვერ მოვუსწარი. თქვენ როგორ ბრძანდებით?
— კარგად არ ვარ, ამ ბოლო დროს წნევა მაქვს, სახსრებიც მაწუხებს, ღამე ვერ ვიძინებ! ექიმებმა, რევმატიზმიაო...!
— ვფიქრობ, ძალიან მოგიხდებათა ბალნეოლოგიური კურორტი ახტალა! ახტალის ტალახი აუჯობესებს სისხლის მიმოქცევას, აკაჟებს ორგანიზმს და რევმატიზმისთვისაც უებარი ყოფილა.
— გამიგია, მაგრამ....
— საოცარი ტალახი ყოფილა, სამკურნალო თვისებებით, სასწულებს ახდენს თურმე...
— აუცილებლად მოვიძიებ დამატებით ინფორმაციას ინტერნეტში ახტალის კურორტზე. სონაც დამეხმარება. მგონი, კახეთშია, არა?

— დიახ, თბილისიდან 120 კილომეტრში, გურჯაანის რაიონში. ნამდვილად უნიკალური კურორტია და ძალიან ბევრი დამსვენებელიც ჰყავთ. ინტერნეტში ნახეთ დაწვრილებით!
— აუცილებლად ვნახავ! დიდი მადლობა რჩევისთვის.

2.13.
დედა – შვილი

— დედა, ამ კვირის ბოლოს ექსკურსიაზე მივდივართ სკოლიდან!
— რა კარგია, საით გაქვთ მარშრუტი?
— ვაშლოვანის ნაკრძალი უნდა დავათვალიეროთ, ბოტანიკის მასწავლებელიც მოდის. თურმე ნაკრძალში უნიკალური ფლორა და ფაუნაა შემორჩენილი. მხოლოდ აქ ხარობს უიშვიათესი კამლის ხეები.
— გამიგონია, ვაშლოვანის ნაკრძალს ქართულ საჰარასაც უწოდებენ. იცი, რატომ ჰქვია ამ ადგილს ვაშლოვანი? ვაშლების გამო?
— კამლის ხეების ერთმანეთთან დაშორება ვაშლების ბაღს ჰგავს. სავარაუდოდ, ამის გამო შეარქვეს ამ ადგილს ვაშლოვანი.
— საინტერესოა, სამანქანო გზა თუ მიდის? მგონი, ნაკრძალში საფეხმავლო გზა იქნება მხოლოდ...
— მიდის, რა თქმა უნდა, თუმცა საფეხმავლო მარშრუტებიცაა და საცხენოსნოც. ჩვენ ალბათ ფეხით დავათვალიერებთ ხორნაბუჯის ციხეს და არწივის ხეობას.
— დარწმუნებული ვარ, საოცარი სანახაობა იქნება... ფოტოაპარატი წაიღე!
— მირჩევნია ტელეფონით გადავიღო ფოტოები. უფრო მოსახერხებელია და ფეისბუკზეც მარტივად ავტვირთავ.
— ყველაფერი გადაიღე, მაგრამ ფრთხილად იყავი, მგლებს და გველებს მოერიდე!
— კარგი, დედა, არ ინერვიულო! კვირამდე კიდევ კარგად მოვემზადები!

3.12.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნირებისა და კულტურის კომიტეტი ულოცავს ქართველ ხალხს სამივე სახეობის ქართული ანბანის მსოფლიო აღიარებას, იუნესკოს მიერ მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანას.
გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-11 სესიაზე (28 ნოემბერი-2 დეკემბერი).
მთავრობათაშორისმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მიერ წარდგენილ ნომინაციას და მიიჩნია, რომ იგი სრულად შეესაბამება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციით გათვალისწინებულ ყველა კრიტერიუმს.
საგარეო უწყების ინფორმაციით, **ნომინაცია იუნესკოს განსახილველად წარედგინა 2015 წელს და მისი მთავარი მიზანია, ხაზი გაუსვას ქართული დამწერლობის სისტემური ევოლუციის შედეგად შექმნილი ანბანის სამი სახეობის – მრგვლოვანი, ნუსხური, მხედრული – ჰარმონიულ თანაარსებობას თანამედროვე რეალობაში.**
„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ არის რიგით მესამე ნომინაცია, რომელიც შეიტანეს იუნესკს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში.
კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ, რომელშიც წარმოდგენილნი იყვნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში და იუნესკოში მუდმივი წარმომადგენელი **ეკატერინე სირაძე-დელონე,** საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი და საქართველოს

იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის გენერალური მდივანი **ქეთევან კანდელაკი,** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი **ნიკოლოზ ანთიძე** და შესაბამისი ექსპერტები.

1.15.

დამსაქმებელი – სამსახურის მაძიებელი

— გამარჯობა, ტურისტული კომპანია „რუთენია?“
— დიახ, გისმენთ!
— ინტერნეტში ვნახე ვაკანსიები გაქვთ, არა?
— დიახ, თქვენ რომელი ვაკანსია გაინტერესებთ?
— მე გიდობა მინდა!
— სამუშაო გამოცდილება გაქვთ?
— გამოცდილება აუცილებელია?
— აუცილებელი არა, მაგრამ სასურველია!
— გიდად არ მიმუშავია, თუმცა მეგობარს ვეხმარებოდი არაბ ტურისტებთან. არაბისტიკაზე ვსწავლობ, რუსული კარგად ვიცი, აზერბაიჯანელი დედა მყავს და თურქულადაც შემიძლია საუბარი!
— ძალიან კარგი! იმედია, გესმით, რომ გიდობა მარტივი არაა, ბევრი სიარული მოგიწევთ. მოთმინება და მოსმენის უნარიც აუცილებელია.
— ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი ვარ და მიყვარს განსხვავებული ადამიანების გაცნობა!
— ძალიან სასიამოვნოა! მაშინ ხვალ 14:45 საათზე გასაუბრებაზე გელოდებით ჩვენს ოფისში.
— დიდი მადლობა! აუცილებლად მოვალ. იმედი მაქვს, გამიმართლებს...
— წარმატებებს გისურვებთ!

2.14.

მეგობრები

— ანიკო, როგორ ხარ?
— კარგად ნათია, შენ? სად დაიკარგე?
— სამსახურში ბევრი საქმე იყო, რამდენიმე მარშრუტი მოვამზადეთ, ქვემო ქართლში ხშირად მიწევდა წასვლა, ძირითადად ბიბლიოთეკასა და არქივში ვიჯექი.
— რატომ? ტურისტულ კომპანიაში მუშაობ თუ ბიბლიოთეკაში?
— ტურის დაგეგმვა რთული პროცესია. მე ინფორმაციას ვაგროვებდი, უნდა მენახა წიგნები, ჟურნალები, გაზეთები. მარტივი არ იყო. ტექნოლოგიური რუკის შესადგენად ძირითადად შამილი დადიოდა ქვემო ქართლში. მეც გავყევი რამდენჯერმე.
— რა საინტერესოა! გამოდის, რომ ჯგუფურად მუშაობდით.
— ჯგუფურად და ინდივიდუალურად. საექსკურსიო ბარათებსა და ტექნიკური რუკაზე ჯგუფურად ვიმუშავეთ. ბიბლიოთეკაში კი მარტო ვიჯექი.
— რამდენი ობიექტი შეიტანეთ ტურში?
— სტუმრები ობიექტებს ქრონოლოგიური პრინციპით დაათვალიერებენ. ჯერ დმანისს მოინახულებენ, უძველესი ადამიანის განათხარს, შემდგომ ბოლნისის სიონს ნახავენ. აქ გვხვდება უძველესი ქართული წარწერა. ამავე ტურში შევიტანეთ წუღრუღაშენიც, რომელიც XIII საუკუნით თარიღდება.
— რა საინტერესოა, მეც მომინდა ტურში წამოსვლა.
— მოაგროვე 15–20 ადამიანი და გიდობას პირადად გაგიწევთ. დამიჯერე, ძალიან ისიამოვნებთ.

— ხვალვე ვეტყვი თანამშრომლებს. დარწმუნებული ვარ, დაინტერესდებიან. მანამდე კი ჩვენ შევხვდეთ ერთმანეთს. რას იტყვი?
— გამოვდივარ! მუზეუმის კაფეში შევხვდეთ!
— მეც გამოვდივარ!

3.14.

აბრეშუმის მუზეუმი ერთ-ერთი უძველესია საქართველოს მუზეუმებს შორის – დაარსდა 1887 წელს და წარმოადგენდა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ნაწილს. აბრეშუმის მუზეუმის ახლანდელი შენობა აშენდა 1889-1892 წლებში. შენობას ამჟამად ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს . მუზეუმში დაცულია მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი კოლექცია, რომელიც მოიცავს როგორც ადგილობრივად წარმოებულ, აგრეთვე მსოფლიოს 61 ქვეყნიდან შემოსულ ექსპონატებს. მუზეუმს ყოველწლიურად დაახლოებით 3 000 ადამიანი სტუმრობს. მუზეუმში დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პარკებისა და აბრეშუმის ძაფების უძველესი კოლექცია, საქსოვი დაზგები, ქსოვილები და აბრეშუმისგან დამზადებული ნივთები, ფოტომასალადა ეგზოტიკური პეპლების დიდი კოლექცია. მუზეუმი აბრეშუმისადმი მიძღვნილ მუზეუმებს შორის ერთ-ერთ უძველეს მუზეუმად ითვლება.

VI თავი

1.13.

კურსელები

— სად მიდიხარ წელს დასასვენებლად?
— ძალიან მინდა ზღვაზე წასვლა ბათუმში, ბევრი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი, კონცერტები, ფესტივალები.... ჩემი დის მეგობრებიც ჩამოდიან უკრაინიდან სპეციალურად ჯაზფესტივაზე დასასწრებად!
— მართლა? მეც მეყოლება ზაფხულის სეზონზე უცხოელი ტურისტები. ჩემი სტუმრები შეკვეთილში დარჩებიან. ერისიონის კონცერტის ნახვა უნდათ!
— წელს ძალიან ბევრი უცხოელი ტურისტი იყო ზამთრის სეზონზე გუდაურში...
— ბაკურიანშიც ძალიან ბევრი სტუმარი იყო. ნახე რეკლამა საქართველოს ზამთრის კურორტებზე?
— კი, ფეისბუკზე ჰქონდა გაზიარებული ვიღაცას, ნამდვილი საოცრებაა! მგონი ,,ბიბისიზე" გაუშვეს, არა?
— არა მხოლოდ... სატელევიზიო რეკლამა ძვირია, მაგრამ ძალიან ეფექტური! ასეთი რეკლამა უამრავ ტურისტს მოიზიდავს საქართველოში!
— ბევრი ასეთი სარეკლამო რგოლი უნდა დამზადდეს... მეტი ტურისტი მეტი შემოსავალია ქვეყნისათვის.
— რა თქმა უნდა... და მეტი დასაქმებულიც!

2.15.

მეგობრები

— სტუმარი ჩამომდის ლატვიიდან. სად წავიყვანო? რას მირჩევ?
— პირველ რიგში ქალაქი დაათვალიერებინე, მერე მცხეთა და ....
— მესამედ ჩამოდის, ეგენი უკვე ნანახი აქვს! საინტერესო რა იგეგმება ქალაქში, ხომ არ იცი?
— გამახსენდა, ,,ჩექ ინ ჯეოჯიას" საიტზე ნახე, საინტერესო ღონისძიებები ექნება! იცი, მიქელანჯელოს ნამუშევრები რომ ჩამოაქვთ ეროვნულ მუზეუმში?
— მართლა? რა კარგია, მაგას მეც სიამოვნებით დავათვალიერებ, მთელი ოჯახი წავალთ.
— საოცარი კონცერტები იმართება, მეგავარსკვლავები ჩამოჰყავთ! ელტონ ჯონი, რობი უილიამსი, ჯეიმს ბლანტი, გააჩნია რა ჟანრი მოგწონს...
— ჩემს სტუმარს ელექტრონული მუსიკა მოსწონს. მე კი მინდა ქართული ფოლკლორის კონცერტზე წავიყვანო, მოვასმენინო ჩვენი გენიალური მრავალხმიანობა!
— არტ გენი ეთნოგრაფიულ მუზეუმში!
— მშვენიერი იდეაა, თან ეთნოგრაფიულ მუზეუმს დავათვალიერებინებ ღია ცის ქვეშ!
— მგონი სუხიშვილების კონცერტი 23-შია!
— რა კარგია... სახელმწოფოს მხრიდან ასეთი ფესტივალების მხარდაჭერა უამრავ ტურისტს მოიზიდავს!
— აბა, დროებით! შევხვდებით არტ გენზე!
— შეხვედრამდე!

3.13.

საქართველოს საკმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი აქვს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, რაც გლობალური ტურისტული ბაზრისთვის ძალიან მიმზიდველია. ტურისტული სფეროს გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პოზიტიური იქნება ის გამოცდილება, რასაც ტურისტი საქართველოში ჩამოსვლიდან საქართველოს დატოვებამდე მიიღებს. საუბარია იმაზე, თუ რა შთაბეჭდილება დარჩებათ სტუმრებს ჩვენს ქვეყანაზე. ტურიზმის განვითარება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება შემუშავებული დარგის განვითარების სტრატეგია საწყის ეტაპზე. იმისთვის, რომ ტურისტები ადვილად გადაადგილდებოდნენ, მნიშვნელოვანია სატრანსპორტო მომსახურების განვითარება. საქართველოს იმის პოტენციალი აქვს, რომ აქცენტები ისეთ მიმზიდველ სფეროზე გააკეთოს, როგორიცაა კულტურა, აქტიური დასვენება, კურორტები, სპა ტურიზმი, ღვინო და მდიდარი სამზარეულო. საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას ტურიზმის სექტორში და დაეხმაროს კერძო ბიზნესს, რომ მათ მიერ შექმნილი ტურისტული გამოცდილება შეესაბამებოდეს საქართველოს სტრატეგიულ გეგმას..
სვანეთი რამდენიმე წელია ყურადღების ცენტრშია. იქ გარკვეული ღონისძიებები ტარდება იმისთვის, რომ საკურორტო ინფრასტრუქტურა განვითარდეს, მაგრამ ყურადღება სჭირდება რაჭას, რომელიც ულამაზესი კუთხეა. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მთიან აჭარასა და გურიაშიც. ბოლო დროს თუშეთსა და ხევსურეთში შედარებით გაუმჯობესდა ვითარება, მაგრამ ყურადღების მიღმაა დარჩენილი თრიალეთის ქედი, რომელიც ამ მიმართულებით უაღრესად საინტერესო ადგილია. ბევრი ისეთი ადგილი გვაქვს, რომლებიც სხვა ქვეყნებში სამთო ტურიზმის უდიდესი ცენტრები იქნებოდა.
ნელ-ნელა პოზიტიური ნაბიჯებიც იდგმება: დაიბეჭდა რუკები, ეროვნულ პარკებში დაიდგა ნიშნულები. ცხადია, ჯერ შორს ვართ იმისაგან, რაც უნდა იყოს, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში პროგრესი აშკარად იგრძნობა.

6.

საბჭოთა მემკიდრეობა და ტურიზმი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მოხდა ღირებულებების გადაფასება. საბჭოთა წარსული და მასთან დაკავშირებული მოვლენები კრიტიკის ობიექტი გახდა. წაიშალა და განადგურდა საბჭოთა სიმბოლიკა. საქართველოს მასშტაბით სულ უფრო ძნელად შეხვდებით საბჭოთა სისტემასთან დაკავშირებულ ძეგლებსა თუ შენობებს.
საბჭოთა სისტემისადმი დამოკიდებულების გამომხატველია სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკაც. ამ პოლიტიკის ნაწილია ოკუპაციის მუზეუმის შექმნაც. ოკუპაციის მუზეუმში მოთხრობილია საბჭოთა რეპრესიებისა და ტერორის შესახებ.
ამის პარალელურად სულ უფრო იზრდება ინტერესი და დამთვალიერებელთა რიცხვი სტალინის მუზეუმში. სტალინის მუზეუმი მდებარეობს გორში, სადაც საბჭოთა სისტემის ლიდერი სტალინი დაიბადა. მუზეუმი მოიცავს სტალინის ბავშვობის სახლს, ვაგონსა და მასთან დაკავშირებულ 40 000–ზე მეტ ექსპონატს. მიუხედავად იმისა, რომ სტალინის მუზეუმში პრაქტიკულად არაფერი შეცლილა გახსნის დღიდან მოყოლებული, დღეს იგი განსხვავებულად იკითხება.
სტალინის სახელმწიფო მუზეუმის მონაცემებით, 2016 წელს მუზეუმს 60 453 ტურისტი სტუმრობდა, 2014 წელს – 40 171, ხოლო 2015 წლის მონაცემებით, მუზეუმმა 53 094 დამთვალიერებელს უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ მუზეუმს დღემდე ყველაზე მეტი სტუმარი 1980 წელს ჰყავდა, მაშინ ტურისტების რიცხვმა 1 003 400 შეადგინა. ყველაზე ცოტა დამთვალიერებელი კი მუზეუმს 1998 და 2005 წლებში ჰყავდა – სტუმრების რიცხვი მაშინ 10 102–ს შეადგენდა.
მუზეუმის თანამშრომლების განმარტებით, უცხოელ ტურისტებს ძირითადად სტალინის პირადი ნივთები აინტერესებთ. მათი თქმით, დამთვალიერებელთა ინტერესი განსხვავებულია, დამოკიდებულია იმაზე, რომელი ქვეყნიდან არის ტურისტი. მუზეუმში ამბობენ, რომ მაგალითად, ევროპელებსა და ამერიკელებს რეპრესიებთან დაკავშირებული ექსპონატები და ისტორიები აინტერესებთ. ადგილობრივ სკოლის მოსწავლეებს კი შეკითხვები აქვთ სტალინის ბავშვობის, სემინარიის წლებისა და ოჯახის შესახებ.
სტალინის მუზეუმი, მისი შინაარსის მიუხედავად, აქტუალობას არ კარგავს და მნახველს ახალი ინტერპრეტაციებისათვის ეპატიჟება.

ლექსიკა

I თავი

მოგზაური	შემთხვევა
ტურისტი	სიამოვნება
ვიზიტორი	შეხედულება
სტუმარი	მიმოსვლა
მასპინძელი	ეტლი
ესკორტი	დამღლელი
პატივი	აღმართი
შთაბეჭდილება	დაღმართი
დათვალიერება	ავდარი
ვაჭარი	პაპანაქება
მნახველი	ნაკვალევი
ხომალდი	მხნე
პერიოდი	ჯილდო
განტვირთვა	

II თავი

მნახველი	ნაკადი
სურვილი	მოცულობა
მღვიმე	საგულისხმო
დარგი	დანახარჯი
მახასიათებელი	მიიზიდა
პოტენციალი	დანახარჯი, დანახარჯები
მიკროკლიმატი	მზარდი
გამოცდილება	განმეორებითობა
სანახაობრივი	სეზონურობა
მაღალანაზღაურებადი	განვითარება
ექსტრემალური	განვითარებადი
მონახულება	კლიმატი
მეცნიერი	ღირსშესანიშნაობა
საზღვარი	განსაკუთრებულობა
წყარო	მტაცებელი
შემოსავალი	ბალახისმჭამელი
არეულობა	ნაკრძალი
საფრთხე	აღმოჩენილია

III თავი

თანამშრომელი	ადგილმდებარეობა
მომუშავე	პრესტიჟული
დასაქმებული	უჩვეულო
პიროვნება	დაწესებულება
მოგება	ეგზოტიკური
მოვლენა	ყავახანა
სურვილი	თავშეყრის ადგილი
ვალდებულება	ტავერნა
ღირსება	კერძი
შიკრიკი	კონცეფცია
ნადიმი	ადგილობრივი
საჩუქარი	ურთიერთობა
მეწარმე	ინტერიერი
კრიტერიუმი	სომელიე
კლასიფიკაცია	მიმზიდველი
	მოწვეული

IV თავი

მაჩვენებელი	საკმლის ხე
მდებარეობა	ჯომარდობა
გაკაჟება	ფეთქავს
დაახლოებით	რესურსი
გარშემორტყმული	მოტივაცია
მარადმწვანე	მემკვიდრეობა
საძოვარი	მრავალფეროვნება
ნაკრძალი	ნუსხა
აღკვეთილი	მრავალხმიანობა
განლაგება	ქვევრი
საოცრება	ჯიში
საგანძური	კერები
სასწაული	რთველი
კრატერი	თათარა
ბილიკი	შემოდგომობით
ხეობა	დაგემოვნება

V თავი

გიდი	ქრონოლოგიური
ელჩი	დამუშავება
უნარი	შეჯერება
მოთმინება	ექსკურსიამძღოლი
კანონი	დაცულია
ტოლერანტობა	წარმოდგენილია
გაცნობა	დათარიღებული
შაბლონი	ექსპოზიცია
ნიჭიერი	გამოფენილი
გამართლება	ჰომინიდი
გაცნობა	თავის ქალა
ხელმძღვანელი	ფონდი
ხელმძღვანელობა	ექსპრესიულობა
მომხმარებელი	თემატური
კვალი	გამოფენა
მიზანი	ღელავს
ლიცენზირება	დავობს

VI თავი

მაყურებელი	ცნობილი
მაუწყებლობა	მთამსვლელი
ხელმძღვანელი	ფრენბურთი
წარმომადგენელი	ჯომარდობა
განხორციელება	საელჩო
ინტერნეტკამპანია	გამოფენა
საფუძველი	უნიკალური
აუდიტორია (სივრცე, საზოგადოება)	გადაწყვეტილება
იმიჯი	ქსელი
არხი	მშენებლობა
პრესკონფერენცია	ურთიერთობა
მიზნობრივი	შეუდარებელი
გაერთიანებული	განსაკუთრებული
თანამშრომლობს	იდეალური
ვრცელდება	განსაკუთრებით
შემსრულებელი	შესაძლებლობა
ინფრასტრუქტურა	ნამდვილად
მხარდაჭერა	დახაზული
მრავალფეროვნება	მიმართულება
სანახაობა	მდებარეობა
ფარიკაობა	მოუთხრობს
ჭადრაკი	ეზიარება

გრამატიკა

I თავი

სიტყვაწარმოება: სა – ო და –ობა დაბოლოებიანი სახელები (ზღვა – საზღვაო, საქმე–საქმიანობა)
ზმნის დროები – ახლანდელი და მომავალი დრო
და, თუ კავშირებით შეერთებულ სახელთა მართლწერა

II თავი

სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება (–ებ, –თა)
სახელთა რიცხვი რაოდენობის გამომხატველ სიტყვებთან – სხვადასხვა
ზმნის ახლანდელი, წარსული და მომავალი დროების ფორმები
სიტყვაწარმოება: სა–ო და –ობა ბოლოსართით ნაწარმოები სიტყვები.

III თავი

სიტყვაწარმოება: მო–ე აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები და მათ ფუნქცია (მო–მუშავ–ე)
ზმნის დროები: დასრულებული და დაუსრულებელი მოქმედება წარსულში, თურმეობითი
ამბობს და ეუბნება ზმნათა ფორმები.
დროითი მიმართების გამომხატველი სიტყვები: დიდი ხნის, დიდი ხანია, დიდხანს
მრავლობითი რიცხვი; რიცხვი სიმრავლის გამომხატველ სიტყვებთან: ბევრი, მრავალი

IV თავი

სიტყვაწარმოება: წარსული დროის მიმღეობა (შესწავლა–შესწავლილი)
ზმნის დროები: ახლანდელი, წარსული, მომავალი, თურმეობითი; ნანახი და უნახავი მოქმედება.
–დან/–მდე თანდებულები ადგილისა და დროის მონაკვეთის გამოსახატავად
ვითარებითი ბრუნვის –ად მიზნის გამოსახატავად (სასწავლებლად, დასათვალიერებლად).
ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმა (იშვიათი–უიშვიათესი)
ზმნის პასიური ფორმები.
არა უარყოფით ნაწილაკიანი ფორმები: არაუმეტეს, არაერთხელ, არაუადრეს, არაუგვიანეს.

V თავი

სიტყვაწარმოება: უარყოფითი მიმღეობები: დაწერა – დაუწერელი, შეცვლა – შეუცვლელი
ზმნის დროები: წარსული, ახლანდელი, მომავალი, თურმეობითი
აუცილებელი/სავალდებულო მოქმედება: უნდა+კავშირებითი (უნდა დაგეგმოს, უნდა გავაკეთოთ...)
ნაცვალსახელების მისი/თავისი მართებული გამოყენება
ზმნის პასიური ფორმები
–ზე თანდებულიანი ფორმები/კონსტრუქციები (გავლენას მოახდენს/ ახდენს –ზე)
სიტყვაწარმოება: პასივისა და აქტივის მიმღეობები (თქმა: სათქმელი – მთქმელი)
ტექსტის ან თხრობის ორგანიზებისთვის დამხმარე ენობრივი საშუალებები: თავის მხრივ, ერთი მხრივ, მეორე მხრივ...

VI თავი

გარეშე, გარდა, შესახებ თანდებულთა ფუნქციები; თანდებულიანი კონსტრუქცია: –ის ჩათვლით, –ის+ გარეშე, –ის+ გარდა, –ის შესახებ
დროითი/სივრცითი მიმართების გამომხატველი კონსტრუქციები: –დან … –მდე, …+ის ჩათვლით
ზმნის დროები: ახლანდელი, მომავალი, წარსული, კავშირებითი, თურმეობითი
ზმნის აქტიური და პასიური ფორმები
აუცილებელი/სავალდებულო მოქმედება: უნდა+კავშირებითი (უნდა იზრუნოს, არ უნდა გამოიჩინოს…)
რიცხვში შეთანხმების საკითხი უამრავი, არაერთი, რამდენიმე სიტყვებთან.

I თავი

საწყისი (რა?)	ახლანდელი (რას შვრება?)	მომავალი (რას იზამს?)	წარსული (რას შვრებოდა?) (რა ქნა?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	თურმეობითი ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
დაპატიჟება	პატიჟებს/ ეპატიჟება ის მას	დაპატიჟებს ის მას	პატიჟებდა/ ეპატიჟებოდა ის მას დაპატიჟა მან ის	უნდა დაპატიჟოს მან ის	დაუპატიჟებია მას ის
დათვალიერება	ათვალიერებს ის მას	დაათვალიერებს ის მას	ათვალიერებდა ის მას დაათვალიერა მან ის	უნდა დაათვალიეროს მან ის	დაუთვალიერებია მას ის
დარჩენა	რჩება ის	დარჩება ის	რჩებოდა ის დარჩა ის	უნდა დარჩეს ის	დარჩენილა ის
ცხოვრება	ცხოვრობს ის	იცხოვრებს ის	ცხოვრობდა ის იცხოვრა მან	უნდა იცხოვროს მან	უცხოვრია მას
მოგზაურობა	მოგზაურობს ის	იმოგზაურებს ის	მოგზაურობდა ის იმოგზაურა მან	უნდა იმოგზაუროს მან	უმოგზაურია მას
დახვედრა	ხვდება ის მას	დახვდება ის მას	ხვდებდა ის მას დახვდა ის მას	უნდა დახვდეს ის მას	დახვედრია ის მას
გაცილება	აცილებს ის მას	გააცილებს ის მას	აცილებდა ის მას გააცილა მან ის	უნდა გააცილოს მან ის	გაუცილებია მას ის
გაზიარება	უზიარებს ის მას მას	გაუზიარებს ის მას მას	უზიარებდა ის მას მას გაუზიარა მან მას ის	უნდა გაუზიაროს მან მას ის	გაუზიარებიამას ის
მოწყობა	უწყობს ის მას მას	მოუწყობს ის მას მას	უწყობდა ის მას მას მოუწყო მან მას ის	უნდა მოუწყოს მან მას ის	მოუწყვია მას ის
დაკავშირება	უკავშირდება ის მას	დაუკავშირდება ის მას	უკავშირდებოდა ის მას დაუკავშირდა ის მას	უნდა დაუკავშირდეს ის მას	დაკავშირებია ის მას
აგება	აგებს ის მას	ააგებს ის მას	აგებდა ის მას ააგო მან ის	უნდა ააგოს მან ის	აუგია მას ის
გამოყენება	იყენებს ის მას	გამოიყენებს ის მას	იყენებდა ის მას გამოიყენა მან ის	უნდა გამოიყენოს მას ის	გამოუყენებია მას ის
მოზიდვა	იზიდავს ის მას	მოიზიდავს ის მას	იზიდავდა ის მას მოიზიდა მან ის	უნდა მოიზიდოს მან ის	მოუზიდია მას ის
განვითარება	ავითარებს ის მას	განავითარებს ის მას	ავითარებდა ის მას განავითარა მან ის	უნდა განავითაროს მან ის	განუვითარებია მას ის
ჩათვლა	თვლის ის მას	ჩათვლის ის მას	თვლიდა ის მას ჩათვალა მან ის	უნდა ჩათვალოს მან ის	ჩაუთვლია მას ის
გამართვა	იმართება ის	გაიმართება ის	იმართებოდა ის გაიმართა ის	უნდა გაიმართოს ის	გამართულა ის
ჩამოყალიბება	ყალიბდება ის	ჩამოყალიბდება ის	ყალიბდებოდაის ჩამოყალიბდა ის	უნდა ჩამოყალიბდეს ის	ჩამოყალიბებულა ის
სარგებლობა	სარგებლობს ის	ისარგებლებს ის	სარგებლობდა ის ისარგებლა მან	უნდა ისარგებლოს მან	უსარგებლია მას
გაკვირვება	უკვირს მას ის	გაუკვირდება მას ის	უკვირდა მას ის გაუკვირდა მას ის	უნდა გაუკვირდეს მას ის	გაჰკვირვებია მას ის
დაბრუნება	ბრუნდება ის	დაბრუნდება ის	ბრუნდებოდა ის დაბრუნდა ის	უნდა დაბრუნდეს ის	დაბრუნებულა ის
გადაცემა	გადასცემს ის მას მას	გადასცემს ის მას მას	გადასცემდა ის მას მას გადასცა მან მას ის	უნდა გადასცეს მან მას ის	გადაუცია მას ის

საწყისი (რა?)	ახლანდელი (რას შვრება?)	მომავალი (რას იზამს?)	წარსული (რას შვრებოდა?) (რა ქნა?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	თურმეობითი ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
დაყოფა	ყოფს ის მას	დაყოფს ის მას	ყოფდა ის მას დაყო მან ის	უნდა დაყოს მან ის	დაუყვია მას ის
დაკავშირება	უკავშირდება ის მას	დაუკავშირდება ის მას	უკავშირდება ის მას დაუკავშირდა ის მას	უნდა დაუკავშირდეს ის მას	დაკავშირებია ის მას
დასწრება	ესწრება ის მას	დაესწრება ის მას	ესწრებოდა ის მას დაესწრო ის მას	უნდა დაესწროს ის მას	დასწრებია ის მას
დასვენება	ისვენებს ის	დაისვენებს ის	ისვენებდა ის დაისვენა მან	უნდა დაისვენოს მან	დაუსვენია მას
გაზრდა	ზრდის ის მას	გაზრდის ის მას	ზრდიდა ის მას გაზარდა მან ის	უნდა გაზარდოს მან ის	გაუზრდია მას ის
	იზრდება ის	გაიზრდება ის	იზრდებოდა ის გაიზარდა ის	უნდა გაიზარდოს ის	გაზრდილა ის
გაყოფა	იყოფა ის	გაიყოფა ის	იყოფოდა ის გაიყო ის	უნდა გაიყოს ის	გაყოფილა ის
მოხდენა	ხდება ის	მოხდება ის	ხდებოდა ის მოხდა ის	უნდა მოხდეს ის	მომხდარა ის
შესრულება	ასრულებს ის მას	შეასრულებს ის მას	ასრულებდა ის მას შეასრულა მან ის	უნდა შეასრულოს მან ის	შეუსრულებია მას ის
მოძიება	ეძებს ის მას	მოიძიებს ის მას	მოიძია მან ის	უნდა მოიძიოს მან ის	მოუძიებია
დათვალიერება	ათვალიერებს ის მას	დაათვალიერებს ის მას	დაათვალიერა მან ის	უნდა დაათვალიეროს მან ის	დაუთვალიერებია მას ის
გათვალისწინება	ითვალისწინებს ის მას	გაითვალისწინებს ის მას	ითვალისწინებდა ის მას გაითვალისწინა მან ის	უნდა გაითვალისწინოს მან ის	გაუთვალისწინებია მას ის
გავრცელება	ავრცელებს ის მას	გაავრცელებს ის მას	ავრცელებდა ის მას გაავრცელა მან ის	უნდა გაავრცელოს მან ის	გაუვრცელებია მას ის
შეთავაზება	სთავაზობს ის მას მას	შესთავაზებს ის მას მას	სთავაზობდა ის მას მას შესთავაზა მან მას ის	უნდა შესთავაზოს მან მას ის	შეუთავაზებია მას ის
დახარჯვა	ხარჯავს ის მას	დახარჯავს ის მას	ხარჯავდა ის მას დახარჯა მან ის	უნდა დახარჯოს მან ის	დაუხარჯავს მას ის
გადაკვეთა	კვეთს ის მას	გადაკვეთს ის მას	გადაკვეთა მან ის	უნდა გადაკვეთოს მან ის	გადაუკვეთია მას ის
ჩამოსვლა	ჩამოდის ის	ჩამოვა ის	ჩამოდიოდა ის ჩამოვიდა ის	უნდა ჩამოვიდეს ის	ჩამოსულა ის
დავიწყება	ავიწყდება მას ის	დაავიწყდება მას ის	ავიწყდებოდა მას ის დაავიწყდა მას ის	უნდა დაავიწყდეს მას ის	დავიწყებია მას ის
შეხვედრა	ხვდება ის მას	შეხვდება ის მას	ხვდებოდა ის მას შეხვდა ის მას	უნდა შეხვდეს ის მას	შეხვედრია ის მას

საწყისი (რა?)	ახლანდელი (რას შვრება?)	მომავალი (რას იზამს?)	წარსული (რას შვრებოდა?) (რა ქნა?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	თურმეობითი ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
თქმა	ამბობს ის მას	იტყვის ის მას	ამბობდა ის მას თქვა მან ის	უნდა თქვას მან ის	უთქვამს მას ის
	ეუბნება ის მას მას	ეტყვის ის მას მას	ეუბნებოდა ის მას მას უთხრა მან მას ის	უნდა უთხრას მან მას ის	უთქვამს მას ის
მოწონება	მოსწონს მას ის	მოეწონება მას ის	მოსწონდა მას ის მოეწონა მას ის	უნდა მოეწონოს მას ის	მოსწონებია მას ის
დაკავება	უკავია მას ის	დაიკავებს ის მას	ეკავა მას ის დაიკავა მან ის	უნდა დაიკავოს მან ის	დაუკავებია მას ის
დაჭერა	უჭირავს მას ის	დაიჭერს ის მას	ეჭირა მას ის დაიჭირა მან ის	უნდა ეჭიროს მას ის	დაუჭერია მას ის
ახსნა	ხსნის ის მას	ახსნის ის მას	ხსნიდა ის მას ახსნა მან ის	უნდა ახსნას მან ის	აუხსნია მას ის
დაძახება	ეძახის ის მას	დაუძახებს ის მას	ეძახდა ის მას დაუძახა მან მას	უნდა დაუძახოს მან მას	დაუძახებია მას
შეცვლა	ცვლის ის მას	შეცვლის ის მას	ცვლიდა ის მას შეცვალა მან ის	უნდა შეცვალოს მან ის	შეუცვლია მას ის
მომსახურება	ემსახურება ის მას	მოემსახურება ის მას	ემსახურებოდა ის მას მოემსახურა ის მას	უნდა მოემსახუროს ის მას	მომსახურებია ის მას
ჩამოყალიბება	ყალიბდება ის	ჩამოყალიბდება ის	ყალიბდებოდა ის ჩამოყალიბდა ის	უნდა ჩამოყალიბდეს ის	ჩამოყალიბებულა ის
დაკავება	იკავებს ის მას	დაიკავებს ის მას	იკავებდა ის მას დაიკავა მან ის	უნდა დაიკავოს მან ის	დაუკავებია მას ის
გაფართოება	ფართოვდება ის	გაფართოვდება ის	ფართოვდებოდა ის გაფართოვდა ის	უნდა გაფართოვდეს ის	გაფართოვებულა ის
მცდელობა	ცდილობს ის მას	ცდის ის მას	ცდილობდა ის მას სცადა მან ის	უნდა სცადოს მან ის	უცდია მას ის
გამოყენება	იყენებს ის მას	გამოიყენებს ის მას	იყენებდა ის მას გამოიყენა მან ის	უნდა გამოიყენოს მან ის	გამოუყენებია მას ის
დაკავშირება	უკავშირდება ის მას	დაუკავშირდება ის მას	უკავშირდებოდა ის მას დაუკავშირდა ის მას	უნდა დაუკავშირდეს ის მას	დაკავშირებია ის მას
გაგება	იგებს ის მას	გაიგებს ის მას	იგებდა ის მას გაიგო მან ის	უნდა გაიგოს მან ის	გაუგია მას ის
გახსნა	იხსნება ის	გაიხსნება ის	იხსნებოდა ის გაიხსნა ის	უნდა გაიხსნას ის	გახსნილა ის
გადაქცევა	იქცევა ის (–ად)	გადაიქცევა ის (–ად)	(გადა)იქცა ის (–ად)	უნდა (გადა)იქცეს ის (–ად)	გადაქცეულა ის (–ად)
დახვეწა	იხვეწება ის	დაიხვეწება ის	იხვეწებოდა ის დაიხვეწა ის	უნდა დაიხვეწოს ის	დახვეწილა ის
განვითარება	ვითარდება ის	განვითარდება ის	ვითარდებოდა ის განვითარდა ის	უნდა განვითარდეს ის	განვითარებულა ის
მიბაძვა	ბაძავს ის მას	მიბაძავს ის მას	ბაძავდა ის მას მიბაძა მან მას	უნდა მიბაძოს მან მას	მიუბაძავს მას (მისთვის)
გავრცელება	ვრცელდება ის	გავრცელდება ის	ვრცელდებოდა ის გავრცელდა ის	უნდა გავრცელდეს ის	გავრცელებულა ის
გაყოფა	ყოფს ის მას	გაყოფს ის მას	ყოფდა ის მას გაყო მან ის	უნდა გაყოს მან ის	გაუყვია მას ის
	იყოფა ის	გაიყოფა ის	იყოფოდა ის გაიყო ის	უნდა გაიყოს ის	გაყოფილა ის

საწყისი (რა?)	ახლანდელი (რას შვრება?)	მომავალი (რას იზამს?)	წარსული (რას შვრებოდა?) (რა ქნა?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	თურმეობითი ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
განვითარება	ვითარდება ის	განვითარდება ის	ვითარდებოდა ის განვითარდა ის	უნდა განვითარდეს ის	განვითარებულა ის
მომატება	იმატებს ის	მოიმატებს ის	იმატებდა ის მოიმატა მან	უნდა მოიმატოს მან	მოუმატებია მას
შეხვედრა	ხვდება ის მას	შეხვდება ის მას	ხვდებოდა ის მას შეხვდა ის მას	უნდა შეხვდეს ის მას	შეხვედრია ის მას
დამშვიდება	ამშვიდებს ის მას	დაამშვიდებს ის მას	ამშვიდებდა ის მას დაამშვიდა მან ის	უნდა დაამშვიდოს მან ის	დაუმშვიდებია მას ის
	მშვიდდება ის	დამშვიდდება ის	მშვიდდებოდა ის დამშვიდდა ის	უნდა დამშვიდდეს ის	დამშვიდებულა ის
გაუმჯობესება	აუმჯობესებს ის მას	გააუმჯობესებს ის მას	აუმჯობესებდა ის მას გააუმჯობესა მან ის	უნდა გააუმჯობესოს მან ის	გაუუმჯობესებია მას ის
	უმჯობესდება ის	გაუმჯობესდება ის	უმჯობესდებოდა ის გაუმჯობესდა ის	უნდა გაუმჯობესდეს ის	გაუმჯობესებულა ის
მოხდენა	უხდება ის მას	მოუხდება ის მას	უხდებოდა ის მას მოუხდა ის მას	უნდა მოუხდეს ის მას	მოხდომია მას ის
დაბრუნება	ბრუნდება ის	დაბრუნდება ის	ბრუნდებოდა ის დაბრუნდა ის	უნდა დაბრუნდეს ის	დაბრუნებულა ის
განკურნება	კურნავს ის მას	განკურნავს ის მას	კურნავდა ის მას განკურნა მან ის	უნდა განკურნოს მან ის	განუკურნავს ის მას
მოგონება	აგონებს ის მას მას	მოაგონებს ის მას მას	აგონებდა ის მას მას მოაგონა მან მას ის	უნდა მოაგონოს მან მას ის	მოუგონებია მას ის
შეთავაზება	სთავაზობს ის მას მას	შესთავაზებს ის მას მას	სთავაზობდა ის მას მას შესთავაზა მან მას ის	უნდა შესთავაზოს მან მას ის	შეუთავაზებია მას ის
მიღწევა	აღწევს ის მას	მიაღწევს ის მას	აღწევდა ის მას მიაღწია მან მას	უნდა მიაღწიოს მან მას	მიუღწევია მას
დაარსება	აარსებს ის მას	დააარსებს ის მას	აარსებდა ის მას დააარსა მან ის	უნდა დააარსოს მან ის	დაუარსებია მას ის
გამოცხადება	აცხადებს ის მას	გამოაცხადებს ის მას	აცხადებდა ის მას გამოაცხადა მან ის	უნდა გამოაცხადოს მან ის	გამოუცხდებია მას ის
დაზიანება	აზიანებს ის მას	დააზიანებს ის მას	აზიანებდა ის მას დააზიანა მან ის	უნდა დააზიანოს მან ის	დაუზიანებია მას ის
	ზიანდება ის	დაზიანდება ის	ზიანდებოდა ის დაზიანდა ის	უნდა დაზიანდეს ის	დაზიანებულა ის
ჩატარება	ატარებს ის მას	ჩაატარებს ის მას	ატარებდა ის მას ჩაატარა მან ის	უნდა ჩაატაროს მან ის	ჩაუტარებია მას ის
	ტარდება ის	ჩატარდება ის	ტარდებოდა ის ჩატარდა ის	უნდა ჩატარდეს ის	ჩატარებულა ის
მოწყობა	აწყობს ის მას	მოაწყობს ის მას	აწყობდა ის მას მოაწყო მან ის	უნდა მოაწყოს მან ის	მოუწყვია მას ის
	ეწყობა ის	მოეწყობა ის	ეწყობოდა ის მოეწყო ის	უნდა მოეწყოს ის	მოწყობილა ის
დაგეგმვა	გეგმავს ის მას	დაგეგმავს ის მას	გეგმავდა ის მას დაგეგმა მან ის	უნდა დაგეგმოს მან ის	დაუგეგმავს მას ის
	იგეგმება ის	დაიგეგმება ის	იგეგმებოდა ის დაიგეგმა ის	უნდა დაიგეგმოს ის	დაგეგმილა ის
შექმნა	იქმნება ის	შეიქმნება ის	შეიქმნა ის	უნდა შეიქმნას ის	შექმნილა ის
გაერთიანება	აერთიანებს ის მას	გააერთიანებს ის მას	გააერთიანა მან ის	უნდა გააერთიანოს მან ის	გაუერთიანებია მას ის
გამართვა	იმართება ის	გაიმართება ის	გაიმართა ის	უნდა გაიმართოს ის	გამართულა ის
ამოვლება	ავლებს ის მას	ამოავლებს ის მას	ავლებდა ის მას ამოავლო მან ის	უნდა ამოავლოს მან ის	ამოუვლია მას ის

საწყისი (რა?)	ახლანდელი (რას შვრება?)	მომავალი (რას იზამს?)	წარსული (რას შვრებოდა?) (რა ქნა?)	მომავალი+უნდა (რა უნდა ქნას?)	თურმეობითი ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
მიწოდება	აწოდებს ის მას მას	მიაწოდებს ის მას მას	აწოდებდა ის მას მას მიაწოდა მან მას ის	უნდა მიაწოდოს მან მას ის	მიუწოდებია მას ის
მოთმინება	ითმენს ის მას	მოითმენს ის მას	ითმენდა ის მას მოითმინა მან ის	უნდა მოითმინოს მან ის	მოუთმენია მას ის
მოსმენა	ისმენს ის მას	მოისმენს ის მას	ისმენდა ის მას მოისმინა მან ის	უნდა მოისმინოს მან ის	მოუსმენია მას ის
დაწყება	იწყებს ის მას	დაიწყებს ის მას	იწყებდა ის მას დაიწყო მან ის	უნდა დაიწყოს მან ის	დაუწყია მას ის
	იწყება ის	დაიწყება ის	იწყებოდა ის დაიწყო ის	უნდა დაიწყოს ის	დაწყებულა ის
გამოყენება	იყენებს ის მას	გამოიყენებს ის მას	იყენებდა ის მას გამოიყენა მან ის	უნდა გამოიყენოს მან ის	გამოუყენებია მას ის
გათვალისწინება	ითვალისწინებს ის მას	გაითვალისწინებს ის მას	ითვალისწინებდა ის მას გაითვალისწინა მან ის	უნდა გაითვალისწინოს მან ის	გაუთვალისწინებია მას ის
გამართლება	უმართლებს მას	გაუმართლებს მას	უმართლებდა მას გაუმართლა მას	უნდა გაუმართლოს მას	გამართლებია მას
ცხოვრება	ცხოვრობს ის	იცხოვრებს ის	ცხოვრობდა ის იცხოვრა მან	უნდა იცხოვროს მან	უცხოვრია მას
გაწევა	უწევს ის მას მას	გაუწევს ის მას მას	უწევდა ის მას მას გაუწია მან მას ის	უნდა გაუწიოს მან მას ის	გაუწევია მას ის
შესრულება	ასრულებს ის მას	შეასრულებს ის მას	ასრულებდა ის მას შეასრულა მან ის	უნდა შეასრულოს მან ის	შეუსრულებია მას ის
	სრულდება ის	შესრულდება ის	სრულდებოდა ის შესრულდა ის	უნდა შესრულდეს ის	შესრულებულა ის
დამუშავება	ამუშავებს ის მას	დაამუშავებს ის მას	ამუშავებდა ის მას დაამუშავა მან ის	უნდა დაამუშავოს მან ის	დაუმუშავებია მას ის
	მუშავდება ის	დამუშავდება ის	მუშავდებოდა ის დამუშავდა ის	უნდა დამუშავდეს ის	დამუშავებულა ის
გადაწყვეტა	წყვეტს ის მას	გადაწყვეტს ის მას	წყვეტდა ის მას გადაწყვიტა მან ის	უნდა გადაწყვიტოს მან ის	გადაუწყვეტია მას ის
	წყდება ის	გადაწყდება ის	წყდებოდა ის გადაწყდა ის	უნდა გადაწყდეს ის	გადაწყვეტილა ის
ჩაბარება	აბარებს ის მას მას	ჩააბარებს ის მას მას	აბარებდა ის მას მას ჩააბარა მან მას ის	უნდა ჩააბაროს მან მას ის	ჩაუბარებია მას ის (მისთვის)
	ბარდება ის მას	ჩაბარდება ის მას	ბარდებოდა ის მას ჩაბარდა ის მას	უნდა ჩაბარდეს ის მას	ჩაბარებულა ის მას
შექმნა	ქმნის ის მას	შექმნის ის მას	ქმნიდა ის მას შექმნა მან ის	უნდა შექმნას მან ის	შეუქმნია მას ის
შედგენა	ადგენს ის მას	შეადგენს ის მას	ადგენდა ის მას შეადგინა მან ის	უნდა შეადგინოს მან ის	შეუდგენია მას ის
წერა	წერს ის მას	დაწერს ის მას	წერდა ის მას დაწერა მან ის	უნდა დაწეროს მან ის	დაუწერია მას ის
	იწერება ის	დაიწერება ის	იწერებოდა ის დაიწერა ის	უნდა დაიწეროს ის	დაწერილა ის
მომზადება	ამზადებს ის მას	მოამზადებს ის მას	ამზადებდა ის მას მოამზადა მან ის	უნდა მოამზადოს მან ის	მოუმზადებია მას ის
	მზადდება ის	მომზადდება ის	მზადდებოდა ის მომზადდა ის	უნდა მომზადდეს ის	მომზადებულა ის
დაგეგმვა	გეგმავს ის მას	დაგეგმავს ის მას	გეგმავდა ის მას დაგეგმა მან ის	უნდა დაგეგმოს მან ის	დაუგეგმავს მას ის
	იგეგმება ის	დაიგეგმება ის	იგეგმებოდა ის დაიგეგმა ის	უნდა დაიგეგმოს ის	დაგეგმილა ის

გაღება	აღებს ის მას	გააღებს ის მას	აღებდა ის მას გააღო მან ის	უნდა გააღოს მან ის	გაუღია მას ის
	იღება ის	გაიღება ის	იღებოდა ის გაიღო ის	უნდა გაიღოს ის	გაღებულა ის
დახურვა	ხურავს ის მას	დახურავს ის მას	ხურავდა ის მას დახურა მან ის	უნდა დახუროს მან ის	დაუხურავს მას ის
	იხურება ის	დაიხურება ის	იხურებოდა ის დაიხურა ის	უნდა დაიხუროს ის	დახურულა ის
აღმოჩენა	აღმოაჩენს ის მას	აღმოაჩენს ის მას	აღმოაჩინა მან ის	უნდა აღმოაჩინოს მან ის	აღმოუჩენია მას ის
	აღმოჩნდება ის	აღმოჩნდება ის	აღმოჩნდა ის	უნდა აღმოჩნდეს ის	აღმოჩენილა ის
მოწყობა	აწყობს ის მას	მოაწყობს ის მას	აწყობდა ის მას მოაწყო მან ის	უნდა მოაწყოს მან ის	მოუწყვია მას ის
განსაზღვრა	განსაზღვრავს ის მას	განსაზღვრავს ის მას	განსაზღვრავდა ის მას განსაზღვრა მან ის	უნდა განსაზღვროს მან ის	განუსაზღვრავს მას ის
მიცემა	აძლევს ის მას მას	მისცემს ის მას მას	აძლევდა ის მას მას მისცა მან მას ის	უნდა მისცეს მან მას ის	მიუცია მას ის (მისთვის)

VI თავი

საწყისი (რა?)	ახლანდელი (რას შვრება?)	მომავალი (რას იზამს?)	წარსული (რას შვრებოდა?) (რა ქნა?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	თურმეობითი ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
კვლევა	იკვლევს ის მას	გამოიკვლევს ის მას	იკვლევდა ის მას გამოიკვლია მან ის	უნდა გამოიკვლიოს მან ის	გამოუკვლევია მას ის
ჩამოყალიბება	აყალიბებს ის მას	ჩამოაყალიბებს ის მას	აყალიბებდა ის მას ჩამოაყალიბა მან ის	უნდა ჩამოაყალიბოს მან ის	ჩამოუყალიბებია მას ის
	ყალიბდება ის	ჩამოყალიბდება ის	ყალიბდებოდა ის ჩამოყალიბდა ის	უნდა ჩამოყალიბდეს ის	ჩამოყალიბებულა ის
განხორციელება	ახორციელებს ის მას	განახორციელებს ის მას	ახორციელებდა ის მას განახორციელა მან ის	უნდა განახორციელოს მან ის	განუხორციელებია მას ის
	ხორციელდება ის	განხორციელდება ის	ხორციელდებოდა ის განხორციელდა ის	უნდა განხორციელდეს ის	განხორციელებულა ის
განვითარება	ავითარებს ის მას	განავითარებს ის მას	ავითარებდა ის მას განავითარა მან ის	უნდა განავითაროს მან ის	განუვითარებია მას ის
	ვითარდება ის	განვითარდება ის	ვითარდებოდა ის განვითარდა ის	უნდა განვითარდეს ის	განვითარებულა ის
მომზადება	ამზადებს ის მას	მოამზადებს ის მას	ამზადებდა ის მას მოამზადა მან ის	უნდა მოამზადოს მან ის	მოუმზადებია მას ის
	მზადდება ის	მომზადდება ის	მზადდებოდა ის მომზადდა ის	უნდა მომზადდეს ის	მომზადებულა ის
გაგრძელება	აგრძელებს ის მას	გააგრძელებს ის მას	აგრძელებდა ის მას გააგრძელა მან ის	უნდა გააგრძელოს მან ის	გაუგრძელებია მას ის
	გრძელდება ის	გაგრძელდება ის	გრძელდებოდა ის გაგრძელდა ის	უნდა გაგრძელდეს ის	გაგრძელებულა ის
დაწყება	იწყებს ის მას	დაიწყებს ის მას	იწყებდა ის მას დაიწყო მან ის	უნდა დაიწყოს მან ის	დაუწყია მას ის
	იწყება ის	დაიწყება ის	იწყებოდა ის დაიწყო ის	უნდა დაიწყოს ის	დაწყებულა ის

გამართვა	მართავს ის მას	გამართავს ის მას	მართავდა ის მას გამართა მან ის	უნდა გამართოს მან ის	გაუმართავს მას ის
	იმართება ის	გაიმართება ის	იმართებოდა ის გაიმართა ის	უნდა გაიმართოს ის	გამართულა ის
შეძენა	იძენს ის მას	შეიძენს ის მას	იძენდა ის მას შეიძინა მან ის	უნდა შეიძინოს მან ის	შეუძენია მას ის
დაგეგმვა	გეგმავს ის მას	დაგეგმავს ის	გეგმავდა ის მას დაგეგმა მან ის	უნდა დაგეგმოს მან ის	დაუგეგმავს მას ის
	იგეგმება ის	დაიგეგმება ის	იგეგმებოდა ის დაიგეგმა ის	ინდა დაიგეგმოს ის	დაგეგმილა ის
ჩატარება	ატარებს ის მას	ჩაატარებს ის მას	ატარებდა ის მას ჩაატარა მან ის	უნდა ჩაატაროს მან ის	ჩაუტარებია მას ის
	ტარდება ის	ჩატარდება ის	ტარდებოდა ის ჩატარდა ის	უნდა ჩატარდეს ის	ჩატარებულა ის
მოწყობა	აწყობს ის მას	მოაწყობს ის მას	აწყობდა ის მას მოაწყო მან ის	უნდა მოაწყოს მან ის	მოუწყვია მას ის
შედგენა	ადგენს ის მას	შეადგენს ის მას	ადგენდა ის მას შეადგინა მან ის	უნდა შეადგინოს მან ის	შეუდგენია მას ის
დახარჯვა	ხარჯავს ის მას	დახარჯავს ის მას	ხარჯავდა ის მას დახარჯა მან ის	უნდა დახარჯოს მან ის	დაუხარჯავს მას ის
	იხარჯება ის	დაიხარჯება ის	იხარჯებოდა ის დაიხარჯა ის	უნდა დაიხარჯოს ის	დახარჯულა ის
მსჯელობა	მსჯელობს ის (–ზე)	იმსჯელებს ის (–ზე)	მსჯელობდა ის იმსჯელა მან (–ზე)	უნდა იმსჯელოს მან (–ზე)	უმსჯელია მას (–ზე)
შექმნა	ქმნის ის მას	შექმნის ის მას	ქმნიდა ის მას შექმნა მან ის	უნდა შექმნას მან ის	შეუქმნია მას ის
	იქმნება ის	შეიქმნება ის	იქმნებოდა ის შეიქმნა ის	უნდა შეიქმნას ის	შექმნილა ის
წვევა	ეწვევა ის მას	ეწვევა ის მას	ეწვია ის მას	უნდა ეწვიოს ის მას	სწვევია ის მას
მოქცევა	აქცევს ის მას (–ში)	მოაქცევს ის მას (–ში)	აქცევდა ის მას მოაქცია მან ის (–ში)	უნდა მოაქციოს მან ის	მოუქცევია მას ის (–ში)
	ექცევა ის (–ში)	მოექცევა ის (–ში)	ექცეოდა ის მოექცა ის (–ში)	უნდა მოექცეს ის (–ში)	მოქცეულა ის (–ში)
წარმოჩენა	წარმოაჩენს ის მას	წარმოაჩენს ის მას	წარმოაჩენდა ის მას წარმოაჩინა მან ის	უნდა წარმოაჩინოს მან ის	წარმოუჩენია მას ის
	წარმოჩნდება ის	წარმოჩნდება ის	წარმოჩნდებოდა ის წარმოჩნდა ის	უნდა წარმოჩნდეს ის	წარმოჩენილა ის